

03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარინე დარსაველიძე

სიტყვის თავისუფლების დემონტოლოგიური ასპექტები

**ჟურნალისტიკაში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაკრებლად წარდგენილი**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ფილოსოფიის დოქტორი ჟურნალისტიკაში,
პროფესორი მარინე ვეკუა

თბილისი 2009

სარჩევი:

შესავალი – გვ.3

I თავი – სიტყვის თავისუფლების ისტორიული ასპექტები – გვ.9

- სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ძირითადი ტენდენციები – გვ.9
- საჯაროობა და ცენზურა – გვ.18

II თავი – სიტყვის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტები – გვ.26

- პრესის თავისუფლების ფილოსოფიური განსჯანი – გვ.26
- გაცნობიერებული აუცილებლობა, როგორც ფილოსოფიური კატეგორია – გვ.35
- მასმედიის თავისუფლება გაცნობიერებული აუცილებლობის პირობებში – გვ.42

III თავი – სიტყვის თავისუფლების თანამედროვე ასპექტები – გვ.49

- პოსტსაბჭოთა მედია: თავისუფლება, თუ შეზღუდვის მითოლოგია – გვ.49
- მასმედიაზე ზემოქმედების ბერკეტები და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება – გვ.51
- სიტყვის თავისუფლების ეკონომიკური ასპექტები – გვ.56
- პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციები მედია და სახელმწიფოს ურთიერთობებში – გვ.67

IV თავი – სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები – გვ.80

- სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი ნორმები – გვ.80
- სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი დაცვის ტრადიცია – გვ.93
- ჟურნალისტური საქმიანობის ეთიკური პრობლემატიკა – გვ.99
- ეთიკური პრობლემების შესწავლა – გვ.115
- ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსები – გვ.121

დასკვნა – გვ.149

შესავალი

სიტყვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და ინფორმაციის თავისუფლების უფრო ზოგადი უფლებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს უფლება მოიცავს საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) საკუთარი მოსაზრებების დაუბრკოლებლად გამოხატვას. დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება კანონიერი ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებებს, კანონით დაცულ საიდუმლოებათა გამჟღავნებას, ეროვნული, რასობრივი და რელიგიური შუღლის გაღვივებას, სხვათა შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, საზოგადოებრივი მორალისა და ზნეობრივი ფასეულობების ხელყოფას; მაგრამ სამართლებრივი რეგულირების გარდა, არსებობს თავად ჟურნალისტების მიერ შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმები, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს თავისუფლებისა და ეთიკის საკითხების ურთიერთკავშირსა და განუყოფლობას.

თემის აქტუალობა. სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტური ეთიკის საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი და მათი აქტუალობა მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ დასავლეთის წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხარისხს ადამიანის უფლებების, კერძოდ კი, სიტყვის თავისუფლების ხარისხით განსაზღვრავენ. ამ თემაზე ძალიან ბევრს მსჯელობენ უმაღლესი დონის შეხვედრებზე, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სემინარებზე. ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია ყველგან, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ერთ-ერთ ყველაზე საჭირობო საკითხად რჩება.

თემის აქტუალობას პირობითად სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მათგან პირველია ის, რომ თანამედროვე ეტაპზე სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობა, საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიული რეფორმირება და ამ პროცესებში საზოგადოების ყველა ფენის

მონაწილეობა, მედიის ეფექტიან ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული.

ეს შედეგი კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც საინფორმაციო პოლიტიკა მასმედიას სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზაციის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს: მედია უპირობოდ დგას საზოგადოების სამსახურში, იცავს მის ინტერესს და არ ემსახურება მხოლოდ პირად, პოლიტიკოსთა თუ ბიზნესმენტა ვიწრო ამბიციებს. მედიის საქმიანობა კი იქითკენ არის მიმართული, რომ ხელისუფლების ქმედებები ღია, გასაგები და საზოგადოების მიერ კონტროლირებადი იყოს.

მეორე ფაქტორად შესაძლოა დასახელდეს ის გარემოება, რომ ინფორმაციის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას შეუზღუდავად ისარგებლოს არსებული საინფორმაციო რესურსებით. სწორედ ამიტომ, აქტუალური რჩება ინფორმაციისა და საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხი. მესამე ათასწლეულის დასაწყისი კი იმით აღინიშნა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საყოველთაო კონცეფცია სამოქალაქო საზოგადოების ძირითად საყრდენად იქცა.

ხოლო მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ინფორმაციას ღია, სამოქალაქო საზოგადოების თითოეული წევრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მასზე უმეტესწილად დამოკიდებულია თითოეული ადამიანის კეთილდღეობა. რა თქმა უნდა, სიტყვის თავისუფლებაზე საუბრის დროს გასათვალისწინებელია ეკონომიკური და იურიდიული ფაქტორები, მაგრამ თავისუფლების ხარისხი, ზემოთ ნახსენები ტენდენციის გამო, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჟურნალისტის სამოქალაქო პოზიციაზე, როდესაც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შინაგანი განცდა და გააზრება მისი ძირითადი ორიენტირია ინფორმაციის მოძიებისა და მიწოდების დროს.

თემის მეცნიერული სიახლე. იქედან გამომდინარე, რომ ჟურნალისტიკის ისტორიის მანძილზე გამუდმებით მიმდინარეობდა პოლემიკა სიტყვის თავისუფლების აუცილებლობაზე, შესაბამისად ამ თემის ირგვლივ ქართულ ენაზე არაერთი სამეცნიერო სტატია და გამოკვლევა შეიქმნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ეს თემა ფილოსოფიური კუთხით ასეთი ფართომასშტაბიანი მეცნიერული კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია. სიტყვის თავისუფლების ფილოსოფიური თეორიებისა და თავისუფლების,

როგორც გაცნობიერებული აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორიის ანალიზის საფუძველზე, ეს სიტყვის თავისუფლების აუცილებლობის დასაბუთებისა და ამ პრობლემის სირთულის ყოველმხრივ დანახვის პირველი მცდელობაა.

კვლევის მიზანი. ნაშრომის ძირითადი მიზანია, რომ კვლევის შედეგად დავადგინოთ სიტყვის თავისუფლების, როგორც ფენომენის დეონტოლოგიური არსი და სიღრმეები, მისი ისტორიული, ფილოსოფიური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა; ასევე სიტყვის თავისუფლების, როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ფაქტორის, როლი და მნიშვნელობა განათლებული, ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული, პროგრესული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

საკითხის ამგვარი კომპლექსური და სიღრმისეული კვლევისა და შესწავლისთვის გამოიკვეთა:

I ამოცანა სიტყვის თავისუფლების ისტორიული ასპექტები. სიტყვის თავისუფლების თანამედროვე დამოკიდებულების სრულყოფილი შეფასებისთვის ინტერესს წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები და ასევე ის დოკუმენტური მასალა, რომელიც მათ ფონზე შეიქმნა, მათი ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა და მიღებული შედეგების საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანა, რომლებიც არ კარგავენ აქტუალობას თანამედროვე რეალობაში.

II ამოცანა სიტყვის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტები. ჟურნალისტიკის თეორიასა თუ პრაქტიკაში სიტყვის თავისუფლება მრავალი ასპექტით განიხილება, მათ შორის ფილოსოფიური ერთ-ერთ ფუნდამენტურ ცნებას წარმოადგენს. იქედან გამომდინარე, რომ მედია უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებასა და მსოფლმხედველობაზე, პრესის თავისუფლების შესახებ შექმნილ ფილოსოფიურ თეორიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტიკაში ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებისა და ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რაც თავისთავად საზოგადოებაზე და მის თითოეულ წევრზე აისახება. სწორედ ამიტომ, სიტყვის თავისუფლების, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული ფასეულობის ფილოსოფიური სათავეების მოძიება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს ფილოსოფიური ტრაქტატები

ხანგრძლივი ევრო-ამერიკული რევოლუციების შედეგად შეიქმნა, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ღოზუნგი პრესის თავისუფლება იყო. სწორედ ამიტომ, მათზე მსჯელობისას ტერმინს – „პრესის თავისუფლება“ გამოვიყენებთ, ვინაიდან თანამედროვე გაგებით სიტყვის თავისუფლება წარსულში ბეჭდვური მედიის თავისუფლებასთან იყო გაიგივებული. იგივე უნდა აღინიშნოს სიტყვის თავისუფლების ისტორიულ ასპექტებზე საუბრისას.

III ამოცანა – სიტყვის თავისუფლების თანამედროვე ასპექტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ყოფილ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებულ ტენდენციების კვლევა მეტად მნიშვნელოვანია საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის. თემის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ პარტიული იდეოლოგიის მარწუხებიდან გათავისუფლებულმა მედიამ დღეს დამოკიდებულების ფორმა შეიცვალა, რის გამოც ამჟამად მედია მკვლევარები თავისუფლებისა და მისი შეხედულის მითოლოგიაზე საუბრობენ... მედიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად საინტერესოა თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური ასპექტები სიტყვის თავისუფლების ხარისხზე, როგორ რეგულირდება მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები, ასევე მედიაზე ზემოქმედების რა ბერკეტი არსებობს და როგორ იქცევა იგი თავად ზემოქმედების საშუალებად.

IV ამოცანა – სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების საკითხი და სწორედ ამიტომ საინტერესოა რა სამართლებრივი და ეთიკური ნორმებით ხდება ამ ურთიერთობების დარეგულირება, რამდენად იყენებს ხელისუფლება საკუთარი ინტერესებისთვის მედიას, როგორც ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას და რამდენად აცნობიერებენ ჟურნალისტები მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს.

კვლევის მეთოდოლოგია. საკითხის სიღრმისეული კვლევისთვის აუცილებელად მივიჩნევთ ემპირიული მასალის გაანალიზება და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება. სწორედ ამიტომ, სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ამ თემის ირგვლივ შექმნილ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულ-განზოგადებულია ევროპის ქვეყნებში, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთში,

ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში სიტყვის თავისუფლებისათვის და ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითები. სადისერტაციო თემის ირგვლივ განხილული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბრიტანელი მედია მკვლევარის ჯონ კეინის ნაშრომი „მედია და დემოკრატია“ (1991), რომელიც განიხილავს სიტყვის თავისუფლების ისტორიულ განვითარებას ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაში და შესაბამის აქცენტებს აკეთებს წარსულშიც და თანამედროვე ეტაპზეც არსებულ გამოწვევებზე.

პოსტაბჭოთა სივრცეში სიტყვის თავისუფლების თანამედროვე ტენდენციების განხილვისას მნიშვნელოვნად მივიჩნიე რუსი მედია მკვლევარის ვლადიმერ ვოროშილოვის მრავალპლანიანი ნაშრომი „ჟურნალისტიკა“ (1999), რომელიც თავს უყრის იმ საჭირობორტო და პრობლემურ საკითხებს, რომელთა წინაშეც ახალ რეალობაში პარტიული მარწუხებიდან გათავისუფლებული მედია აღმოჩნდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მედია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში და კერძო კაპიტალის ინტერვენცია ჟურნალისტიკაში, რამაც, ფაქტობრივად, პოსტსაბჭოთა სივრცეში მასმედიის სამყაროში ახალი ეკონომიკური დამოკიდებულების პრეცედენტი შექმნა.

მედია ეთიკის თვალსაზრისით კი, მეტად საინტერესოა პარიზის უნივერსიტეტის ფრანგული პრესის ინსტიტუტის პროფესორის კოლდ-ჟან ბერტრანის „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ (2004) და ამერიკელი მედია მკვლევარების ქლიფორდ ქრისტიანსის, კიმ როტზოლისა და მარკ ფეკლერის „მედია ეთიკა: ფაქტები და მორალური არგუმენტაცია“ (1991). ისინი ამ სფეროში არსებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მასმედიის ფუნქციონირების დეონტოლოგიურ ასპექტებზე, ეთიკური პრობლემების შესწავლასა და თვითრეგულირების მექანიზმებზე, რაც შესაძლოა ჟურნალისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებადაც მივიჩნიოთ.

სადისერტაციო ნაშრომი თავისთავად წარმოადგენს საკითხის კომპლექსურ და მრავალასპექტიან კვლევას. მასში თავმოყრილი და განზოგადებულია ამ თემის ირგვლივ შექმნილი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევები. სიტყვის თავისუფლების თითოეული ასპექტის განხილვის შედეგად კი, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და დასახულია პრობლემის მოგვარების გზები. მაგალითად, საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის

ქვეყნების რეალობიდან გამომდინარე, განხილულია თანამედროვე ჟურნალისტიკის ძირითადი პრობლემატიკა, შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები და სადისერტაციო პრობლემის გარშემო გაანალიზებულია ის ნაშრომები, რომლებიც ემპირიული თუ თეორიული მასალის სინთეზურ კვლევას წარმოადგენენ. ამრიგად, კვლევის დროს გამოყენებულია ტრადიციული მეთოდოლოგია: ანალიზი, სინთეზი, შეპირისპირებითი ანალიზი, დაკვირვება.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისგან, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი მოიცავს ორ ქვეთავს, მეორე – სამს, მესამე ოთხს, ხოლო მეოთხე – ხუთს. ნაშრომს ასევე ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

თავი I

სიტყვის თავისუფლების ისტორიული ასპექტები

- სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ძირითადი ტენდენციები

მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბებული მასობრივი კომუნიკაციების გლობალური სისტემა გასული საუკუნის ფენომენად იქცა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საინფორმაციო-კულტურულმა სფერომ რადიკალური ცვლილებები განიცადა და ჩამოყალიბდა მედიის მრავალი დამოუკიდებელი საშუალება, შეიცვალა აუდიტორიაც, შესაბამისად მისი პრიორიტეტები, ფასეულობები და მოთხოვნები.

ახალ საინფორმაციო სივრცეში კვლავ მიმდინარეობს მედიის განახლებისა და გარდაქმნის პროცესი. ამავე დროს ის ბევრი საზოგადოებრივი პროცესისა და მოვლენის გამომწვევი და ინიციატორი ხდება, რაც ახალ რეალობაში კიდევ უფრო ზრდის მედიის ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას. ასეთ პირობებში კიდევ უფრო მტკიცდება მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების ძალაუფლება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს პოლიტიკური სისტემის ნგრევასა და შენებას, ხელყოს ან დაიცვას პიროვნების რეპუტაცია, უარყოს ძველი სტერეოტიპები და დაამკვიდროს ახალი სტანდარტები... იმის გათვალისწინებით, რომ დღეს მედიის ფუნქცია ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ საზოგადოების ინფორმირება, შესაბამისად დიდია მოლოდინი მის მიმართ; ვინაიდან საზოგადოება გრძნობს მედიის რეალურ ძალაუფლებას, რომ მას მართლაც შესწევს ძალა, რომ მეოთხე ხელისუფლების როლი შეასრულოს, გარდამტეხი ცვლილებები მოახდინოს და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წინაპირობა შექმნას.

ამ ძალაუფლებიდან გამომდინარე, მედიას დიდი როლი ეკისრება დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ამ როლის სრულყოფილად შესრულება კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მედია, როგორც საზოგადოების დარაჯი, გამოაფხიზლებს და მოდუნების საშუალებას არ მისცემს საზოგადოების სამსახურისთვის შექმნილ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. შესაბამისად ქვეყნის სასიკეთოდ ამ ფუნქციის შესრულება კი, ეთიკის ნორმების დაცვისა და

პროფესიული უნარ-ჩვევების გარეშე შეუძლებელია, ისევე როგორც დაუშვებელია მისთვის უსაზღვრო თავისუფლების მინიჭება. მაგალითად, როდესაც საუბარია ვინმეს პატივისა და ღირსების დაცვაზე, მაშინ ლოგიკურად სხვა პიროვნების სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ვიგულისხმოდ, რაც ზოგადად და იმავდროულად სიტყვის თავისუფლების ხელყოფას არ ისახავს მიზნად. ამ მოსაზრებას სხვა ფორმულირება რომ მივცეთ, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ პიროვნების თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვისი იწყება და ზღვარი კი მათ შორის იმის შესაბამისად გადის, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ვეკიდებით არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის თავისუფლებასაც და რამდენად ვაღიარებთ და ვიცავთ არა მხოლოდ საკუთარ უფლებებს, არამედ ჩვენს მოვალეობებსაც სხვების წინაშე.

ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის თანამედროვე სისტემაზე საუბრის დაწყებამდე, დეონტოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელია იმის გარკვევა თუ რა გზა განვლო შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე სიტყვის თავისუფლების ლოზუნგმა, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რა ცვლილებებს განიცდიდა და როგორ ხდებოდა მისი ცხოვრებაში ტრანსფორმაცია.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პრესის სფეროს არც ერთ პრობლემას არ გამოუწვევია ისეთი დიდი ინტერესი, პოლემიკა და აჟიოტაჟი, როგორც სიტყვის თავისუფლების პრობლემას. ამ თემას უამრავი წიგნი, სტატია, ლექცია და დებატი მიეძღვნა. ჟურნალისტიკის ისტორიას მუდამ თან ახლდა დისკუსიები პრესის რაობაზე, საუკუნეების მანძილზე განუწყვეტლივ საუბრობდნენ საზოგადოებაზე მისი გავლენისა და მმართველ სტრუქტურებთან ურთიერთობის შესახებ.

ხანგრძლივი დისკუსიისა და კამათის შედეგად ორი მიმართულება ჩამოყალიბდა – ჰუმანიტარულ-დემოკრატიული და მონოიდეოლოგიურ-მარქსისტული. ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ მიმართულებას საფუძველი განმანათლებლობის ეპოქაში ჩაეყარა. მისი წარმომადგენლები საღი აზრისა და სულიერი შემოქმედების დასაცავად გამოდიოდნენ და ჟურნალისტიკაში კლერიკალურ და საერო ჩარევას ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი პრესას საზოგადოების მიერ თავის შეცნობის საშუალებად განიხილავდნენ და ამავე დროს მიიჩნევდნენ, რომ პრესის თავისუფლება არ შეიძლება უსაზღვრო იყოს, რადგან მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ხალხის წინაშე. ეს

მიმართულება განმანათლებელთა და მწერალ-ჰუმანისტთა შარლ ლუი მონტესკიეს, ვოლტერის, დენი დიდროს და სხვათა იდეების გავლენით შეიქმნა, რომლებმაც სულიერად მოამზადეს ფრანგი რევოლუციონერები. მაგალითად, ჟან-ჟაკ რუსოს ტრაქტატებმა ხალხთა შორის უთანასწორობასა და ადამიანის ბუნებრივ უფლებებზე იდეურად შეაიარაღეს ფრანგი იაკობინელები. მისი ამოსავალი დებულებაა კაცობრიობა შეადგენს ხალხს. ის, რაც ხალხზე მალდა დგას იმდენად მცირეა, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. რადიკალური შეხედულებების გამო მისი ტრაქტატი „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ (1998) საეკლესიო ხელისუფალთა ინიციატივით პარიზში და ჟენევაში ცეცხლს მისცეს. ამ ტრაქტატში ჟან-ჟაკ რუსო ახალ საზოგადოებრივ საწყისებს წარმოგვიდგენს, რომლის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ჰარმონიული საზოგადოებრივი თანაცხოვრებისთვის ერთიანდებიან და ქმნიან სუვერენულ, ერთიან სახელმწიფოებრივ სხეულს. სახელმწიფო კი მშვიდობიანი ცხოვრების სახით თითოეული ადამიანის პირად უფლებებსა და მათ ჰარმონიულ თანაცხოვრებას უზრუნველყოფს. ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ამგვარი სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რადგან დესპოტური სახელმწიფოები ნებით არ დათმობენ ძალადობით მოხვეჭილ პრივილეგიებს (Pycco, 1998).

საფრანგეთის რევოლუციის ლიდერი რობესპიერი პრესის თავისუფლებას განსხვავებულ მოსაზრებათა თავისუფლად გამოქვეყნებაში ხედავდა. რობესპიერის თანახმად, აზრთა ჭიდილით, ანალიზით, თითოეული მათგანის სამართლიანობისა და არგუმენტირებულობის მეოხებით, ჩვეულებრივი გონება, რომელიც ადამიანს აქვს, ბოროტისა და კეთილის განსხვავების შესაძლებლობას იძლევა. ამ გზით კი, ადამიანი ერთი იდეის შერჩევასა და მეორეს უარყოფას სწავლობს, მაგრამ როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა აზრთა ჭიდილი, რომელიც რობესპიერს ჭეშმარიტების დადგენის აუცილებელ პირობად მიაჩნდა, საფრანგეთში ლაძღვა-გინებისა და შეურაცხყოფათა კორიანტელში გადაიზარდა.

ამ პერიოდში „მესამე ფენა“, ანუ ბურჟუაზია საზოგადოების პრივილეგირებული ფენების – დიდგვაროვნებისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ გამოვიდა. თავისთავად რევოლუციის ლიდერები განმანათლებელთა იდეებით იყვნენ შეაიარაღებულნი, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო ერთი უფრო პროგრესული ფენის ბრძოლა უკვე მოძველებულისა და დრომოჭმულის

წინააღმდეგ. მარქსისტული თეორია კი, რომელიც მოგვიანებით კლასობრივი დაპირისპირების გამწვავების პირობებში წარმოიშვა, მხარს უჭერდა თეზისს პრესის საშუალებითა და მონაწილეობით კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობის შესახებ.

კარლ მარქსი, რომელმაც პრესის კლასობრივი თეორია ჩამოაყალიბა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პრესა ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავს. როდესაც კლასი პროგრესულია და მოძველებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ გამოდის, მაშინ პრესა მოწინავე იდეების გამტარებელია (Пронин, 1980). ამ თეორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით საბჭოთა პერიოდში პრესის კომუნისტური თეორია შეიქმნა.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პრესის თავისუფლების ღოზუნგმა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან იგი პროგრესული ბურჟუაზიის ინტერესებს, ფეოდალებისა და სამღვდლოების წინააღმდეგ მის ბრძოლას გამოხატავდა. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, იცვლებოდა პრესისადმი დამოკიდებულებაც. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გავლენას ახდენდა არა მარტო საგაზეთო საქმის განვითარებაზე, არამედ ზრდიდა მოთხოვნას პრესის თავისუფლებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს „მესამე ფენის“, ბურჟუაზიული პრესის როლი პროგრესული იმდენად იყო, რამდენადაც ისტორიის ამ მონაკვეთზე პროგრესული იყო ეს საზოგადოებრივი კლასი; მაგრამ, თუ მოწინავე აზრი ცენზურას ებრძოდა, ამისთვის ხანდახან მიუღებელ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდა, რისი კლასიკური მაგალითია საფრანგეთის რევოლუციის დროს განვითარებული მოვლენები.

ძველი რეჟიმის ბატონობის ქვეშ მყოფ საზოგადოებას არ ჰქონდა თავისუფლებისა და სხვისი თავისუფალი აზრის პატივისცემის უნარი, ამიტომ რევოლუციური პრესა ხელს უწყობდა საერთო ანარქიის გადრმავებას, რაც საბოლოო ჯამში, არსებული წყობის ნგრევამ, ხალხის უბედურებებმა, მშფოთვარე მითქმა-მოთქმამ და კონტრევოლუციის მცდელობებმა გამოიწვია. ყველა რადიკალური გამოცემა, რომელთა ფურცლებზე საერთო განწყობა და საზოგადოებაში გავრცელებული ხმები აისახებოდა, ვითარებას კიდევ უფრო ძაბავდა. ისინი ჩრდილს აყენებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ბრალს სდებდნენ ცალკეულ პირებს, მოქალაქეთა მთელ კატეგორიებს და ძალადობის პროპაგანდას ყველაზე უხეში ფორმით ეწეოდნენ. რევოლუციონერებს სურდათ,

რომ სასულიერო ფენისთვის პრესისა და პროპაგანდის თავისუფლება აუკრძალათ. გახშირდა კლერიკალური გაზეთებისა და ბროშურების დაწვის ფაქტები... მაგალითად, 1790 წელს ზაფხულში ბრბო ტიპოგრაფიაში შეიჭრა და გაზეთ „ლეს აქტეს დეს აპოტრესი“ 1200 ეგზემპლარი გაანადგურა. დაიწვა კლერიკალური „გაზეტე დე პარიზი“, ეპისკოპოსთა გზავნილები, პაპის ბულები და კატეხიზმობები. ფრანკოტენში დააგნორიეს დაზგები, რომლებზედაც არასასურველი შინაარსის მასალები იბეჭდებოდა (Домниц, 1960).

ბრძოლის მსგავს მეთოდებს იყენებდნენ ის გაზეთებიც, რომლებიც სუბსიდიებს სამეფო კარისგან იღებდნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ მოწინააღმდეგის ძალის გამოყენებით გაჩუმების ხერხს, გამომცემლობებსა და რედაქტორებს შეურაცხყოფდნენ, გაზეთებს საზეიმოდ აუტო-და-ფეს გადასცემდნენ რომელიმე შენობის წინ, სადაც მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იკრიბებოდნენ. რა თქმა უნდა, ბევრი საპირისპირო მაგალითის მოყვანაც შეიძლება. გაზეთი „რევოლუსიონ დე პარიზი“ მომხდარი აჯანყების შესახებ წერდა, რომ კონტრევოლუცია მხოლოდ სასულიერო პირების დამსახურება იქნება. იქედან გამომდინარე, რომ არისტოკრატებს ხალხზე გავლენა არა აქვთ, მათი დანდობა არ შეიძლება. იგივე გაზეთი აღსარების გაუქმებას მოითხოვდა, რადგან მას მღვდლები პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ვერ გააქარწყლებენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელობას. ხალხის რევოლუციურმა სულისკვეთებამ და ბურჟუაზიის ხანგრძლივმა მცდელობებმა მიღწეულის შესანარჩუნებლად შედეგად ის გამოიღო, რომ დამფუძნებელი კომისიის წევრებმა მიიღეს „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებების შესახებ“. ეს მნიშვნელოვანი საპროგრამო დოკუმენტი 1789 წლის 26 აგვისტოს გამოქვეყნდა, რომელსაც საფუძვლად დაედო ფილოსოფოს-განმანათლებელთა პრინციპები ადამიანის ბუნებრივ უფლებებზე სიტყვის, პიროვნების, სინდისის თავისუფლების შესახებ. ამ დეკლარაციის მოწინავე იდეებს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ის მომავალი კონსტიტუციის პრეამბულა უნდა გამხდარიყო (Робеспьер, 1965).

ეს დეკლარაცია კიდევ ერთხელ მეტყველებს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუხედავად იმისა, რომ მასში აღიარებული

უფლებების, კერძოდ, ბეჭდვითი სიტყვის უფლების პრაქტიკული გამოყენება ხშირად მიუღებელი ხერხებითა და მეთოდებით ხდებოდა...

იმდროინდელი მოთხოვნა პრესის თავისუფლებაზე გულისხმობდა გაბატონებული აზრის შეცვლას შედარებით უფრო მოწინავე იდეებით, რომელიც საკუთარი შეხედულებების გარდა, ყველაფრის მიმართ შეურიგებელი იყო. პრესა, როგორც ბრძოლის იარაღი და ამა თუ იმ ფენის ინტერესთა გამოსატყვის საშუალება, ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდენციურ ხასიათსაც იღებდა. დღევანდელი გაგებით კი, პრესის (სიტყვის) თავისუფლება აზრთა სხვადასხვაობის არსებობასა და განსხვავებული მოსაზრებების პატივისცემას ნიშნავს; თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან სიტყვის თავისუფლების მიმართ თანამედროვე დამოკიდებულება საუკუნეების გამოცდილებამ, შეცდომების გათვალისწინებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია...

ევროპაში პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად 1792 წლის დეკემბერში ლონდონის რატუშაში განვითარებული მოვლენები შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც სასამართლოს წინაშე „ადამიანის უფლებების“ ავტორი ტომ პეინი წარსდგა. მას ბრალად ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და ამბოხებისკენ მოწოდება ედებოდა. ამ ფაქტს ბრიტანელი მედია მკვლევარები ინგლისში პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლის საამაყო მაგალითად მიიჩნევენ და არაერთ ნაშრომში დეტალურად აღწერენ.

როგორც ბრიტანელი მედია მკვლევარი ჯონ კეინი (1991) წერს, ტომ პეინის ბრალი სასამართლოს პატივცემულმა სპენსერ პერსივალმა გააცნო, რომელიც 17 წლის შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა. მან ტომ პეინი დაახასიათა, როგორც ქვეყნის მოღალატე, უწესო ადამიანი, რომელიც საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციებს აქტიურად უჭერდა მხარს. მისი თქმით, ტომ პეინმა აუგად მოიხსენია პარლამენტი, მეფე და რჩეული საზოგადოება.

პერსივალის მიმოხილვისა და შეჯამების შემდეგ ტომ პეინის დასაცავად თომას ერსქაინი, უელსის პრინცის ნდობით აღჭურვილი გენერალი წამოდგა. ერსქაინის მიერ დასახული მიზნის მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები მტრულად იყვნენ განწყობილნი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე

ერსქაინმა, როგორც საფრანგეთის რევოლუციის მიმდევარმა კონსერვატორული პრესა სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

ერსქაინი კანონიერების დამცველ პიროვნებად იყო ცნობილი, იგი ასევე ნათელი გონებითა და მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა. არც 1792 წლის 18 დეკემბერი აღმოჩნდა გამონაკლისი. მისი მოხსენება ოთხი საათის განმავლობაში გაგრძელდა და თითოეული სიტყვა დიდი მონდომებით იქნა ჩაწერილი ჯოზეფ გარნის მიერ, რომელიც იმდროინდელი ლონდონის წამყვანი სტენოგრაფისტი იყო. მოგვიანებით მთელი ტექსტი რამოდენიმე გამოცემად დაიბეჭდა, რომელიც ბრიტანეთის ბიბლიოთეკებში ინახება.

ერსქაინის არგუმენტი გახლდათ ის, რომ პეინის წინააღმდეგ ბრალის დადება „ამბოხურ ცილისწამებაში“ (seditious libel) უსამართლო იყო, რადგან ირღვეოდა ძირითადი პრინციპი ბრიტანეთის კონსტიტუციისა პრესის თავისუფლების პრინციპი. ერსქაინმა იმ შეხედულებების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელსაც უილიამ ბლექსტონი, მთავარი მოსამართლე მანსფილდი და კონსერვატორი მწერლები იცავდნენ, რომელთა თანახმადაც პარლამენტი სუვერენული ძალაუფლების განსახიერებაა.

ერსქაინმა გააკრიტიკა თანამდებობრივი პოლიტიკის სუვერენული პრინციპები. ის შეეხო პირველი ცვლილების შეტანას ამერიკის კონსტიტუციაში (15 დეკემბერი, 1791), სადაც მითითებულია, რომ კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც სიტყვისა და პრესის თავისუფლებას ზღუდავს. ერსქაინმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ძალაუფლება შეზღუდულია ცალკეული პიროვნებების მიერ, რომლებსაც უფლება აქვთ თავისუფლად გამოთქვან და გამოაქვეყნონ საკუთარი აზრი. პრესის თავისუფლება არის ღმერთის მიერ ბოძებული ბუნებრივი უფლება. ის არ უნდა დაარღვიოს მიწიერმა ძალაუფლებამ, მით უმეტეს კორუმპირებულმა ხელისუფლებამ, რომელიც მხოლოდ თავის გადარჩენაზე ზრუნავს. თითოეულმა პიროვნებამ კი უნდა გააანალიზოს კონსტიტუციის პრინციპები, მიუთითოს ხელისუფლების შეცდომებსა და ხარვეზებზე, განიხილოს, გამოიკვილოს და გამოაშკარაოს კორუფცია და გარყვნილება: „თავისუფალი პრესა ხელისუფლების პოლიტიკისაგან მიყენებულ ტკივილს აშუშებს. მოდით ყველამ თავისუფლებას დაუკავშიროს გონება და მათი აღშფოთება გაქრება. როგორც გაგრძელებული ცეცხლი მთელს ზედაპირზე, როგორც დაფანტული ტყვია-წამალი, ისინი ააღდებიან და გაერთიანდებიან; მაგრამ აფეთქება არც ხმაურიანია და არც

საშიში; ეს არის ფარული ცეცხლი, რომლის მღელვარება დაფარულია მანამ, სანამ მიწისძვრად ან ვულკანად არ მოგვევლინება” (Keane, 1991, გვ.5). ამ არგუმენტებმა გააქვავა მსაჯულები. მოსამართლე წამოდგა, მაგრამ მისტერ კემპბელმა, ნაფიც მსაჯულთა ხელმძღვანელმა მას შეაწვევინა და განაცხადა, რომ ის მსაჯულებთან ერთად ითათბირებდა, რათა დაუფიქრებელი განაჩენი არ გამოეტანათ.

ვიგების პარტიის წევრებმა და რადიკალებმა წინადადება შემოიტანეს, რომ ერსქაინი სახლამდე ხელში აყვანილი მიეცილებინათ. ხალხმა იგი მართლაც ხელში აყვანილი აპლოდისმენტების თანხლებით სახლამდე მიიყვანა. ლონდონის ვიწრო ქუჩებში მას უამრავი ხალხი ეგებებოდა შეძახილებით - „ერსქაინი და პრესის თავისუფლება“. ქალები ცხვირსახოცების ქნევით იძახდნენ: „ღმერთმა დაგლოცოს ერსქაინი“. ერსქაინს სახლთან უამრავი მხარდამჭერი ელოდებოდა. იგი დაეშვა მიწაზე, მუხლი მოიდრიკა მათ წინაშე და ათასობით ადამიანის აპლოდისმენტების თანხლებით შინ შევიდა.

ეს ამბავი პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლის მდიდარი და რთული ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია, რომელიც პრესის ცენზურის „ბოქლომის“ დამსხვრევის ადრეულ მცდელობას ასახავს. პრესის თავისუფლების მოთხოვნა თანამედროვე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სამყაროს საერთო დამახასიათებელი პრინციპია, რომელიც სწორედ აქ ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ორი ეპოქალური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება - 18-ე საუკუნის ბოლოს სწორედ აქ იქნა მიღებული, რაც გარდამტეხი აღმოჩნდა სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში და რამაც არა მარტო საფუძველი ჩაუყარა, არამედ სამომავლოდ კიდევ უფრო გაამყარა სიტყვის თავისუფლების თანამედროვე პრინციპები.

დღესაც აშშ-ში სიტყვის თავისუფლების უპირველეს სამართლებრივ გარანტიას კონსტიტუციის სწორედ ეს ნაწილი იძლევა, სადაც ნათქვამია, რომ კონგრესს არა აქვს უფლება ისეთი კანონი მიიღოს, რომელიც სიტყვის თავისუფლებისა და პრესის შეზღუდვას ოდნავ მაინც გულისხმობს. ამერიკის პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. მან განაცხადა, რომ მზად არის სიცოცხლეც კი გასწიროს, რათა მის მტრებსაც ჰქონდეთ სიტყვის თავისუფლება. ბევრად

უფრო ადრე კი, 1787 წელს თომას ჯეფერსონმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „რამდენადაც ჩემი მთავრობის საფუძველი ხალხია, იმდენად სიტყვის თავისუფლების დაცვაც ჩვენი უმთავრესი მიზანია და მე რომ მომანდონ იმის გადაწყვეტა თუ რა არის უმჯობესი – ხელისუფლება გაზეთის გარეშე, თუ გაზეთი ხელისუფლების გარეშე, მე დაუყოვნებლივ უპირატესობას ამ უკანასკნელს მივანიჭებდი“ (Keane, 1991, გვ.2). მისი აზრით, ქვეყნის თავისუფლება დამოკიდებული იყო პრესის თავისუფლებაზე, რომლის შეზღუდვა პრესის სრულ განადგურებას ნიშნავდა. თომას ჯეფერსონის დამსახურებაა 1778 წელს ვირჯინიის შტატში პრესის თავისუფლების კონსტიტუციურად გამოცხადება. მანამდე კი 1776 წელს თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა გამოაცხადა. ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება მიზნად ისახავდა ფართო გასაქანი მიეცა იდეათა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისთვის, მაგრამ როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზეც დავინახეთ, იდეათა პრაქტიკული ხორცშესხმა ყოველთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პრესის თავისუფლებას პირველი სერიოზული საფრთხე ამბოხებათა შესახებ კანონებით შეექმნა, რომელიც კონგრესმა 1793 წელს მიიღო. აღნიშნული კანონების თანახმად, სასამართლოებს უფლება ეძლეოდათ დაესაჯათ ესა თუ ის პირი მთავრობის, კონგრესისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ცრუ, ცილისმწამებლური, ბოროტგანზრახული წერილებისთვის, თუ ეს წერილები, სასამართლოს აზრით, მიზნად ისახავდნენ ვინმესთვის სახელის გატეხვას, ხალხში სიძულვილის გაღვივებას ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისკენ და ამბოხებისკენ მოწოდებას. ხალხის უარყოფითი განწყობა იმდენად ძლიერი იყო, რომ კონგრესი იძულებული გახდა ოთხი წლის შემდეგ კანონი გაეუქმებინა.

სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა აშშ-ში ბევრად უფრო უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, ვიდრე ევროპის კონტინენტზე და ეს ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული. ამის მიზეზები თავად ამერიკის ისტორიაში უნდა ვეძებოთ. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის მთელს კონტინენტზე პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციას წარმოადგენდა, რომელმაც კაპიტალიზმის განვითარების პირობები შექმნა. ეს იყო ბევრად უფრო თავისუფალი საზოგადოება, სადაც არ არსებობდა

აბსოლუტური მონარქია და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ეს იყო ქვეყანა, სადაც პრესის თავისუფლებაზე სახელმწიფოს ფორმირების პროცესშივე ზრუნავდნენ.

- **საჯაროობა და ცენზურა**

ბრძოლა საჯაროობისა და თავისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა. საფრანგეთში ოფიციალური ცენზურა 1629 წელს ლუდოვიკო XVIII-ის ინიციატივით შემოიღეს, ამ დროს საფრანგეთში სანქციის გარეშე რაიმეს დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. კატეგორიულად იკრძალებოდა რელიგიის, მეფის, ზნეობის, კერძო პირების ღირსებისა და რეპუტაციის წინააღმდეგ მიმართული ნაბეჭდი პროდუქცია. 1660-1756 წლებში პრესის დანაშაულებრივი ქმედებების გამო 869 ავტორი, ტიპოგრაფისტი, წიგნის გამყიდველი და გაზეთის მწარმოებელი ბასტილიის ციხეში ჩასვეს. მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა მე-18 საუკუნის ბოლომდე გამოიყენებოდა.

მე-16 საუკუნის დასაწყისიდანაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ პრესაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. ყველაფერი ე.წ. ვარსკვლავთა პალატის ხელში იყო. 1641 წელს ის გააუქმეს, მაგრამ პრესის კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდა. აიკრძალა პუბლიკაციები თემთა პალატაზე, 1643 წელს კი, ცენზურა დაწესდა.

მოთხოვნა პრესის თავისუფლებაზე მთელს ევროპულ კონტინენტზე არათანაბრად გავრცელდა. უდავოა, რომ დასავლეთ ევროპაში, სადაც შუა საუკუნეების ფეოდალიზმი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და პროგრესული განვითარების მუხრუჭს წარმოადგენდა, პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლას უფრო მძლავრი ხასიათი ჰქონდა. ეს ტენდენციები ყველა ევროპულ თვითმპყრობელურ სახელმწიფოში შეინიშნებოდა. ბრიტანელი მკვლევარების აზრით, ყველგან, სადაც ევროპელები დასახლდნენ ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიებზე, ინდოეთსა თუ აფრიკაში, თავისუფალი მედიის მოდელი შექმნეს.

სხვადასხვა ცივილიზაციაში ყველაფერი რადიკალურად განსხვავებული იყო. მაგალითად, ოტომანის იმპერიაში თურქულად და არაბულად ბეჭდვა 1727 წლამდე აკრძალული იყო. ერთადერთი საბეჭდი დაწესებულება 1727 წელს შეიქმნა და იმავე წელს პოლიტიკური ზეწოლის შედეგად დაიხურა, მისი

აღდგენა მხოლოდ 1784 წელს მოხერხდა. იაპონიაში ახალი ამბების პერიოდული გამოცემა დასავლური მოდელის გავლენით 1860 წლიდან დაიწყო. ჩინეთში, სადაც პერიოდული ახალი ამბების ფურცლები მსოფლიოში პირველად, მერვე საუკუნეზე ადრე გამოჩნდა, პრესა მიჩნეული იყო ძალაუფლების გაძლიერების განსაკუთრებულ იარაღად.

ევროპულ კონტექსტში ხანგრძლივი და გაჭიანურებული ბრძოლა პრესის თავისუფლებისთვის პირველად ყველაზე მკაფიოდ ბრიტანეთში გამოვლინდა, საიდანაც სწრაფად გავრცელდა ამერიკასა და შედარებით ნაკლები ტემპით კი, მთელს კონტინენტზე. ეს ბრძოლა ინგლისის რევოლუციასთან ერთად დაიწყო, რის შედეგადაც შეიქმნა მილტონის „არეოპაგიტিকা“, უილიამ უოლვინის „კეთილი სამარიტანელი“ და ის განსაცვიფრებელი ნაშრომები, რომელთა ავტორებიც პრესის თავისუფლების დასაცავად გამოდიოდნენ.

იმ დროისათვის, როდესაც ინგლისში ბეჭდვას ჯერ კიდევ წვრილმან საქმიანობად თვლიდნენ, პოლიტიკურმა მოძრაობამ და საზოგადოებრივმა ზეწოლამ ხელი შეუწყო ხალხის გაერთიანებას შედარებით იაფი და პორტატიული პრესის გავრცელებისთვის. ის ჯერ კიდევ კაპიტალისტური ინდუსტრიის ინტერესების სფეროში არ შედიოდა. იმ პერიოდის პოლიტიკურ სიმწვავეს კიდევ უფრო აღრმავებდნენ და ინტელექტუალურ შეფერილობას აძლევდნენ სოციალური თანასწორობის მომხრე მწერლები, მბეჭდავები, მოკალმეები და სწორედ ეს შედარებით იაფფასიანი პორტატიული გაზეთები, რომლებიც ხალხის თავშეყრის ადგილზე ვრცელდებოდა.

ხანგრძლივი რევოლუცია პრესის თავისუფლების მოსაპოვებლად ქვეყანაში არსებული ლიცენზირების სისტემის პარალიზებითა და 1694 წელს ბეჭდურ გამოცემათა რეგულირების შესახებ აქტის გაუქმებით დასრულდა. „უწესრიგობის“ აქტი ღვთისმგმობელი, ამბოხური, ცილისმწამებლური და უხამსი მასალების გამოქვეყნებას სამართალდარღვევად მიიჩნევდა, მაგრამ ფორმალურად მინიჭებულმა თავისუფლებამ ნებისმიერი მასალის გამოქვეყნების შესახებ გზა გაუკვალა პირველი ყოველდღიური გაზეთის „დეილი კურანტი“-ს გამოცემას (1702).

მიუხედავად იმისა, რომ მედიაზე კონტროლის დაწესების მცდელობა გამუდმებით არსებობდა, ბრძოლა პრესის თავისუფლებისათვის არ შეჩერებულა. ის კიდევ უფრო გაძლიერდა და დიდ წარმატებას მიაღწია ჯორჯ III-ის მმართველობის დროს ჯონ უაილკის წარმატებული კამპანიის შედეგად. იგი

პარლამენტის წევრების მიერ, ცილისწამებისა და უსაფუძვლო ბრალდებისაგან თავის დასაცავად, საგაზეთო ფურცლის გამოყენებასა და საპარლამენტო სხდომების გაშუქებას მოითხოვდა. ამის მეოხებით პრესის მიერ ღია საპარლამენტო პროცესების დაკანონება მოხდა.

1760 წლის განმავლობაში ორი ძირითადი სასამართლო პროცესის Leach v. Money and Entick v. Carrington შედეგად, გაუქმდა მთავრობის ლეგალური უფლებამოსილება საყოველთაო ორდერის გაცემის შესახებ (Keane, 1991). ამ დროიდან სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა დაეპატიმრებინა ნებისმიერი ეჭვმიტანილი პიროვნება, რომელსაც ხელთ ექნებოდა „ამბოხური ცილისწამების“ პუბლიკაცია, ასევე გაეჩხრიკათ სახლები, ოფისები და ამოეღოთ ნებისმიერი მამხილებელი საბუთი.

ამერიკული გაზეთების, პამფლეტების, განცხადებების, აღმანახებისა და კალენდრების დაბეგვრა ამერიკის კოლონიებში 1766 წელს ოპოზიციის ძალისხმევით გაუქმდა.

უდიდესი ინტერესი პრესის თავისუფლების მიმართ საფრანგეთის რევოლუციით შთაგონებულმა პამფლეტების ომმა გამოიწვია. 1780-90 წლებში მერი უოლსტონკრაფტი, ტომ პეინი, რიჩარდ პრაისი, უილიამ გოდვინი და სხვები თავის ნაშრომებში სახელმწიფოს მმართველებს აღწერდნენ, როგორც მუქთახორებს, თაღლითებს, არამზადებს, არაკომპეტენტურებს და უქნარებს. მათ ასევე შეადგინეს წარჩინებულ პირთა პოპულარული ლექსიკონი, რითიც ხელი შეუწვევს ქვეყანაში დემოკრატიული პრესის ჩამოყალიბებას. მათი ძირითადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა მოქალაქეს, ქალსაც და კაცსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც...

ამ აგიტაციას უკვალოდ არ ჩაუვლია, მას გამოძახილი მთელს მსოფლიოში ჰქონდა და ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმების წინაპირობა გახდა, როგორიცაა კაბალური კანონების, მონობის გაუქმება და საშუალო ფენებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემა. სააგიტაციო საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა და განსაკუთრებულ სიძლიერეს სახელმწიფო ცენზურის, გადასახადებისა და კაბალური ფასების წინააღმდეგ პრესის თავისუფლებისათვის საშუალო ფენის ბრძოლის დროს მიადწია... ამ დაპირისპირებამ ნაყოფი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გამოიღო, როდესაც პირველი დაუბეგრავი გაზეთები გამოვიდა, როგორიცაა „დესთრაქტივი“, „პორ

მენს გარდიანი”, „რედ რეპაბლიკანი“. ისინი პურით, ვაშლებით და ბინძური თეთრეულით დაფარული პარკებით, ყუთებითა და კალათებით ლონდონის ღარიბი უბნების მაღაზიებიდან მალულად ქვეყნის ყველა კუთხეში გადაჰქონდათ.

რუსეთში ივანე მრისხანეს დროიდან მოყოლებული ცენზურა, როგორც თავისუფალი, საღი აზრის წინააღმდეგ მიმართული იარაღი, თავის პოზიციებს არ თმობდა. ის ყველაზე მეტად რუსეთში პრესის თავისუფლებას ემტერებოდა. პეტრე I-ის დროს რუსეთში კერძო ტიპოგრაფიები გაჩნდა, მაგრამ უკვე 1729 წელს ბეჭდვით სიტყვაზე კონტროლი დაწესდა. 1796 წელს ეკატერინე II-მ ოფიციალური ცენზურა დააწესა და ყველა დამოუკიდებელი ტიპოგრაფია გააუქმა, რომელიც მეცნიერებათა აკადემიისა და 1783 წლის ბრძანებულების თანახმად არსებობდნენ. ალექსანდრე I-მა მეფობის დასაწყისში აღადგინა ეს კერძო ტიპოგრაფიები და უცხოეთიდან პერიოდული გამოცემებისა და წიგნების შემოტანა დაუშვა. 1804 წელს იმპერატორმა რუსეთში პირველი საცენზურო წესდება შემოიღო, რომელიც პრესაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების განხილვას კრძალავდა, ასევე დაუშვებელი იყო მთავრობის, ზნეობის, საღვთო რწმუნისა და მოქალაქეთა პირადი ღირსებისთვის მიუღებელი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ისეთი კანონი მიიღეს, რომელიც გაზეთების საცალო ვაჭრობას და პერიოდულ გამოცემებში კერძო პირთა განცხადებების განთავსებას კრძალავდა. იურიდიულად პრესის მდგომარეობას განსაზღვრავდნენ დროებითი დებულებები, რომლებმაც 1825 წლამდე მიღებული ყველა კანონი და ბრძანება შეცვალეს. ამ დებულებების მიხედვით, სახელმწიფო ცენზურას ექვემდებარებოდა პროვინციული პრესა, რისგანაც თავისუფალი იყო ქალაქში გამომავალი ყველა ჟურნალ-გაზეთი, თუმცა ცენზურა მათი კონტროლის უფლებას მაინც ინარჩუნებდა. შინაგან საქმეთა მინისტრის მესამე გაფრთხილების შემდეგ გაზეთის ამ ჟურნალის გამოცემა ნახევარი წლით ჩერდებოდა. შესაძლებელი იყო გამომცემლის სასამართლოში გამოძახება, მაგრამ გამოცემის საბოლოო აკრძალვა მხოლოდ სასამართლოს შეეძლო. ალექსანდრე I-ის შედარებით ლიბერალური პოლიტიკა წლების შემდეგ ალექსანდრე III-ს მიერ პრესის მიმართ მიღებული მკაცრი ზომებით შეიცვალა. 1882 წელს დროებითი წესების შემოღებით პრესაზე

კონტროლი გაძლიერდა, გამოცემების შეჩერების უფლება კი, მინისტრების სათათბიროთა კავშირს მიეცა.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, აქ შეიძლება საცენზურო ისტორიის ხუთი ეტაპი გამოვყოთ:

1) 1917-1919 წლები კომისრების მმართველობის პერიოდი იყო. სწორედ ამ დროს მიიღეს პირველი დეკრეტები პრესაზე, ჩამოყალიბდა კომისართა პრესის ინსტიტუტი და დაწესდა ცენზურა „წითელ და თეთრ“ პრესაზე.

2) 1919-1922 წლებში სახელმწიფო გამომცემლობა „გოსიზდატი“ ცენზურის ცენტრს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ხელისუფლება სახელმწიფოებრივი მასშტაბით ცენზურის ცენტრალიზაციას ცდილობდა, რაც იმ კერძო გამომცემლობების პროტესტს იწვევდა, რომლებიც ავტონომიის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

3) 1922-1927 წლები „გლავლიტის“ ცენზურის პერიოდია, რომელიც სახელმწიფოს ახალი საცენზურო დაწესებულება გახდა. ამავე პერიოდში „გლავლიტი“ პარტიული სტრუქტურების დაქვემდებარებაში გადავიდა. ის საწყის ეტაპზე პატარა დაწესებულება იყო მცირე შტაბით, რომელიც 30-იან წლებში ძალიან გაფართოვდა და ყველაფრის, მათ შორის სავიზიტო ბარათებზე წარწერების გაკონტროლება დაიწყო.

4) 1928-1980 წლები პარტიული ცენზურის ბატონობის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. ეს პერიოდი განვითარების რამდენიმე ეტაპით ხასიათდება. ეს არის ომამდელი (1940 წლამდე) პერიოდი, საომარი, ომის შემდგომი, დათბობისა და 1970-80 წლებში კი, უძრაობის პერიოდი.

5) 90-იანი წლებში კი საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად ვითარება შეიცვალა, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ტენდენციების თანახმად, სახელმწიფო მის ხელთ არსებული ხერხებითა და საშუალებებით მედიაზე კონტროლის დაწესებას კვლავ ცდილობს. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად ყველგან შეინიშნება, მაგრამ ამ თვალსაზრისით დღემდე ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი და ბელორუსი წარმოადგენს (Ворошилов, 1999).

ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, მედია ყოველთვის იღებს იმ სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის იერს, რომლის ჩარჩოებშიც ის არსებობს. პირველ რიგში, ის ასახავს იმ სოციალური კონტროლის სისტემას, რომლის საშუალებითაც ინდივიდსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის

ურთიერთობების დარეგულირება ხდება. მედია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, სარკისებურად აირეკლავს არა მარტო მიმდინარე მოვლენებსა და ფაქტებს, არამედ ქვეყნის განვითარების ტენდენციებსა და მიმართულებებს. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკელმა მეკლევარებმა ფრედ სიბერტმა, თეოდორ პიტერსონმა და უილბურ შრამმა პრესის ოთხი თეორია – ავტორიტარული, ნების თავისუფლების (libertarian), სოციალური პასუხისმგებლობისა და კომუნისტური – ჩამოაყალიბეს (Зачурский, 1967).

საგულისხმოა, რომ პრესის ავტორიტარული და ნების თავისუფლების თეორიები თითქმის ერთდროულად მე-16 და მე-17 საუკუნეებში ევროპაში ჩამოყალიბდა. მაშინ, როდესაც ავტორიტარული თეორიის თანახმად, პრესის მთავარი ფუნქცია სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა და ხელისუფლების სამსახურში ყოფნაა, ნების თავისუფლების თეორიის თანახმად, პრესა ხელისუფლების კონტროლისა და საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებად განიხილება.

ფრედ სიბერტს, თეოდორ პიტერსონსა და უილბურ შრამს თავის ნაშრომში „პრესის ოთხი თეორია“ მოჰყავთ პრესის, როგორც მეოთხე ხელისუფლების (Fourth Estate) განმარტება, რომელიც საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად ხალხის სამსახურში უნდა იდგეს. ამავე ნაშრომში ისინი პრესის ახალ კონცეფციას აყალიბებენ, რომელსაც სოციალური პასუხისმგებლობის თეორია ეწოდება (Siebert, Peterson & Schramm, 1956). პირველად ამ თეორიის შესახებ საუბარია პრესის თავისუფლების კომისიის მოხსენებაში, რომელიც მსხვილი ამერიკული ჟურნალების კონცერნის მფლობელის ჰენრი ლუისის ინიციატივით 1942 წელს მოიწვიეს. ამ კომისიის მუშაობისთვის, რომელსაც სათავეში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი რობერტ ჰატჩინსი ედგა ლუისმა 200 ათასი დოლარი გამოყო. მას პასუხი უნდა მოეძებნა ერთ ძირითად კითხვაზე – იდგა თუ არა სიტყვის თავისუფლება საფრთხის ქვეშ ამერიკის შეერთებულ შტატებში?

ამ კითხვაზე პასუხის ძიების პროცესში კომისიის წევრებმა საზოგადოების წინაშე პრესის პასუხისმგებლობის თეზისი წამოაყენეს და პრესის საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევის აუცილებლობის საკითხი დააყენეს.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორია პრესას საზოგადოების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის შესრულებას ავალდებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, რომელიმე ორგანომ მედიის საშუალებებს ამ ვალდებულებათა შესრულება უნდა მოსთხოვოს. მისი კონტროლი საზოგადოებრივი აზრით, მომხმარებელთა ქმედებებითა და ჟურნალისტური კოდექსებით ხორციელდება. თეორიის ავტორთა აზრით, ამ თეზისების განხორციელებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სიტყვის თავისუფლების ხარისხი.

შედარებით უფრო მოგვიანებით ამერიკელმა მკვლევარებმა პრესის ობიექტური თეორია წამოაყენეს, რომლის ძირითადი პოსტულატები მოცემულია თოედორ პიტერსონის, ჯეი ჯენსონისა და უილიამ რივერისის წიგნში „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და თანამედროვე საზოგადოება“ (1966). ის დანარჩენი ორი თეორიისგან იმით განსხვავდება, რომ მას არანორმატიული ხასიათი აქვს და ობიექტს მიუკერძოებლად, სუბიექტის გამორიცხვით განიხილავს. ამ თეორიის თანახმად, ჟურნალისტიკა ადამიანური ურთიერთობების სისტემად, სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური კონტროლის საშუალებად განიხილება. ობიექტური თეორიის ავტორთა აზრით, ჟურნალისტიკა თავისუფალი უნდა იყოს იდეოლოგიური და სხვადასხვა კულტურის გავლენისაგან. წიგნის ავტორთა აზრით, ობიექტური თეორია არ ეწინააღმდეგება სხვა დანარჩენ ნორმატიულ თეორიებს, მაგრამ მას სხვა თვალთახედვა აქვს, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სოციალური პროცესების კონტექსტში მიუკერძოებლად განიხილავს (Peterson et al., 1966).

რაც შეეხება კომუნისტურ თეორიას, მისი ძირითადი დებულებები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის ძლიერ ნაცნობი უნდა იყოს. ახლო წარსულში მკვლევარები ყოვლად უსუსური არგუმენტებით ცდილობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში სიტყვის თავისუფლების არსებობა დაემტკიცებინათ. ამ იდეის განხორციელება ფიქცია სწორედ იმიტომ იყო, რომ კომუნისტური პარტია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მონოპოლიურად ფლობდა და მათზე კონტროლს აწარმოებდა.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური სახელმწიფოს გამყარებისა და განვითარების მიზნით, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ: სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობისა და დემონსტრაციების გამართვის

თავისუფლება. ამ პოლიტიკური თავისუფლებების უზრუნველყოფა მოქალაქეებისთვის შენობების, ქუჩებისა და მოედნების გადაცემით, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენებით ხდება“ (Пронин, 1980, გვ.4-5). როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირში კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება რეალურად არ ხდებოდა.

80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პროცესები დაიწყო, რის შედეგადაც პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება ხმამაღლა ალაპარაკდა საჯაროობასა და აზრთა პლურალიზმზე, რაც მანამდე ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. სწორედ ამ მოვლენებმა სათავე დაუდო დემოკრატიზაციის პროცესებს, რამაც საბოლოოდ საბჭოთა კავშირის ნგრევა გამოიწვია.

ბუნებრივია, რომ სიტყვის თავისუფლებაზე საუბრისას უნდა შევეხოთ საჯაროობის საკითხსაც, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა, ინფორმაციის მოპოვებისა და მისი საჯარო განხილვის შესაძლებლობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დაუფარაობა, ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემების დემოკრატიული გზით გადაჭრაში საზოგადოებრივი აზრის მონაწილეობა. მისი განვითარება კი ხალხის პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, სახელმწიფოებრივ საქმეებში მათი მონაწილეობის გაზრდას და თანამდებობის პირების ფსიქოლოგიურ გარდაქმნას იწვევს.

საჯაროობის პირობებში ჟურნალისტიკა უფრო მეტად შესძლებს თავისი ფუნქციების შესრულებას. თუ საჯაროობა ქვეყანაში სოციალური კლიმატის მახასიათებელია, მაშინ მედიის თავისუფალი ფუნქციონირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა, რა ურთიერთობებია ხელმძღვანელ სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის, რა სოციალური პასუხისმგებლობა აკისრიათ ჟურნალისტებს.

საჯაროობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შეუძლია გზა გაუხსნას სიტყვის თავისუფლებას, როდესაც საკანონმდებლო აქტებით და ქვეყნის კონსტიტუციით იკრძალება ცენზურა და როდესაც საზოგადოება ხელისუფლებას არ მისცემს იმის უფლებას, რომ თუნდაც დროებითი ადმინისტრაციული ზომებით შეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა.

თავი II

სიტყვის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტები

- პრესის თავისუფლების ფილოსოფიური განსჯანი

პრესის თავისუფლების შესახებ პირველი კითხვის ფორმულირება შემდგენიარად შეიძლება: რამდენად შედის სახელმწიფოს ინტერესებში თავისუფალი მედიის არსებობა?

ხანგრძლივმა ევრო-ამერიკულმა რევოლუციებმა, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ღოზუნგი თავისუფალი პრესის მოთხოვნა იყო, განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში სახელმწიფო ცენზურის შეზღუდვის თაობაზე ნოვატორული შეხედულებები ჩამოაყალიბეს. ამ ფილოსოფიურ ტრადიციებს დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა, სიმათლე რომ ითქვას, ისინი დავიწყებას მიეცა, ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გვახსენდება. მედიის ფუნქციონირებისა და პოლიტიკური მეცნიერების შესახებ არსებულ წიგნებსა თუ სახელმძღვანელოებში ამ ფილოსოფიურ ტრაქტატებს იშვიათად ვხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფრიად საგულისხმო მოსაზრებებს შეიცავენ. პირველი არგუმენტი სახელმწიფო ცენზურის შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ ამ მრავალმხრივ და ერთმანეთისგან განსხვავებულ ფილოსოფიურ შეხედულებებს ემყარება. დიდ ბრიტანეთში, სადაც პრესის თავისუფლების თანამედროვე პრინციპებს ჩაეყარა საფუძველი, სულ ცოტა, ოთხი თეორია შეიქმნა. ისინი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან და, რაც მთავარია, მათ ნიადაგი მოამზადეს მასმედიის თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ჩამოსაყალიბებლად...*

I. რელიგიური თეორია სახელმწიფო ცენზურას განიხილავდა, როგორც ერთ-ერთ ბერკეტს ადამიანისთვის ღვთისგან ნაბოძები უფლებების შესახლუდად. ეს თეორია ყველაზე გავრცელებული და წარმატებული ინგლისის სამოქალაქო ომის პერიოდში იყო, რაც ნათლად აისახა ნაშრომებში: ჰენრი ბარტონისა

* თითოეული თეორიის განხილვის დასაწყისში ჩამოთვლილ ნაშრომებთან მითითებულია მათი პირველად გამოქვეყნების წლები.

„ეკლესიათა დასაცავად, რასაც ჩვეულებრივ თავისუფლება ეწოდება” (1644), ჰენრი რობინსონისა „სინდისის თავისუფლება” (1644) და უილიამ უოლვინისა „კეთილი სამარიტანელი” (1644). რელიგიური თეორიის ძირითადი დებულებები პრესის თავისუფლების მხარდასაჭერად ყველაზე დამაჯერებლად ახსნილი და ინტერპრეტირებულია ჯონ მილტონის წიგნში „არეოპაგიტიკა” (1644). ამ თეორიამ სწორედ მილტონის ფილოსოფიურ ნაშრომში ჰპოვა განვითარება.

სახელმწიფოს მოთხოვნას წიგნის ლიცენზირებისა და ცენზურის შესახებ მილტონი „არეოპაგიტიკაში” პრესის თავისუფლების აუცილებლობას უპირისპირებს, როგორც ღვთისადმი სიყვარულის გამოვლენისა და თავისუფალი ნების მქონე ადამიანის „სულის აყვავების” საშუალებას. მილტონი ამტკიცებს, რომ პრესის თავისუფლების სრული შეზღუდვა უიმედო და განუხორციელებელია. ამ მხრივ სახელმწიფოს მცდელობებს ავტორი გონებაშეზღუდული ადამიანის იმ სასაცილო ქმედებას ამსგავსებს, რომელიც გააკეთებულ ბრბოს ოთახში შემწვედევას და კარების ჩაკეტვას ცდილობს. ცენზურა, პირველ რიგში, იმიტომ არის მიუღებელი, რომ ის თავისუფალი აზროვნებისა და არჩევანის უფლებას ზღუდავს. ცენზორს, რომელსაც „უცოდველობისა და გაურყვნელობის” (Milton, გვ.13)* ნიღაბი აქვს აფარებული, არ შეუძლია გადაწყვიტოს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა. ღმერთმა ადამიანებს განსჯის უნარი უბოძა და, აქედან გამომდინარე, სწორი არჩევანის გაკეთებისა და სინდისის კარნახით ბოროტისა და კეთილის გარჩევის შესაძლებლობა მისცა. ღმერთის ნდობა ადამიანებისადმი იმითაც გამოიხატება, რომ ის საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი წიგნი ჩვენი სურვილისამებრ წავიკითხოთ და საკუთარი დასკვნები გამოვიტანოთ. სწორედ ამიტომ ილაშქრებს მილტონი განსჯის უნარის შეზღუდვის წინააღმდეგ. მისი აზრით, პიროვნების შესაძლებლობები და ღირსებები დაპირისპირებული შეხედულებებისა და განსხვავებული გამოცდილების მქონე პირთა კამათის გზით უნდა განვითარდეს. ღირსება არ არის დამყარებული უცოდველობაზე, სანამ ბოროტი და კეთილი ერთმანეთის გვერდით არსებობენ: „ადამიანისთვის შეუძლებელია განასხვავოს ხორბალი ბრინჯისგან და კარგი საქონელი ცუდისგან. ნებისმიერ შემთხვევაში მოკვდავის ხელიდან გამოსულ საგანთა უშეცდომო გარჩევა მხოლოდ ანგელოზს შეუძლია” (Milton, გვ.32). განსხვავებულ

* ციტირების დროს არ არის მითითებული ნაშრომის გამოცემის წელი, ვინაიდან ტექსტში გამოყენებულია წიგნის ელექტრონული ვერსია.

და საპირისპირო მოსაზრებათა მიმართ შემწყნარებლობა პიროვნების ღირსებისა და კეთილგონიერების მაჩვენებელია: „ჩვენი განწმენდა შინაგანად გარკვეული გამოცდის შედეგად ხდება, გამოცდა კი, საპირისპიროსთან შეჯახების გზით ხორციელდება” (Milton, გვ.11).

მილტონი არ იყო პრესის სრული თავისუფლების მომხრე. ის ამტკიცებდა, რომ წიგნები, რომლებიც ფანატიზმს და ბრმად მორწმუნეობას ქადაგებდნენ, ყველა მართლმორწმუნესთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ზნეობრიობისთვის ბრძოლის დროს ადამიანებს მსგავსი გამოცემების მიმართ შეუწყნარებლობა უნდა გამოეჩინათ და გაენადგურებინათ. მილტონი მოითხოვდა შესაბამისი კანონის შემოღებას, რომელიც სათანადოდ დასჯიდა პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას. მილტონი თავისუფალი აზრის ჩახშობას და პრესის საშუალებით მის შეზღუდვას ბოროტებად თვლიდა. ავტორი მცდარად მიიჩნევდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადამიანებმა ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარისთვის ხარკი უნდა გადაიხადონ. მისი აზრით, ასეთი დამოკიდებულება მათ ღირსებებს ამდაბლებს და პიროვნებებს ზედაპირულ, გარყვნილ და ცოდვილ არსებებად წარმოაჩენს. ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვა ცენზურა უარყოფს ღვთისგან ნაბოძები საჩუქრის განსჯის უნარის არსებობას. ეს არის საღი აზრის მკვლელობის ერთ-ერთ ფორმა: “ის, ვინც ანადგურებს ადამიანს, კლავს გონიერ არსებას, ღვთის ხატს, ხოლო ის, ვინც ანადგურებს საღ აზრს, კლავს განსჯის უნარს, ღვთის ხატებას, რაც პირველ რიგში, ადამიანთა გონებაზე აისახება” (Milton, გვ.4).

II. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პრესაზე ნებისმიერი ზემოქმედება ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანთა ბუნებრივი უფლებების დაცვის პრინციპზე, მოცემულია ჯონ ლოკის ნაშრომში *Epistola de Tolerantia and Clurissimum Virum* (1689) და უფრო ღრმად განვითარებულია ჯონ ასგილის წიგნში „ესსე პრესაზე” (1712). მსგავსი შეხედულებები მოცემულია უცნობი ავტორის ნაშრომში „ესსე ყოველი ადამიანის ბუნებრივ უფლებაზე თავისუფალ სახელმწიფოში აზრის თავისუფლად გამოხატვის შესახებ, იმისთვის, რომ დაცული იქნას საზოგადოებრივი უფლებები და ხელი შეეწყოს საზოგადოების კეთილდღეობას” (1772). ეს იდეა კიდევ უფრო პოპულარული გახდა კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების შემდეგ, რომლებიც ამერიკისა და ევროპის რევოლუციებს მოჰყვა. ადამიანის ბუნებრივ უფლებებზე საუბარია

ტომ პეინის პოლიტიკური ხასიათის ნაშრომში „ადამიანის უფლებები“, 1791-1792) და მერი უოლსტონკრაფტის (1644), „ქალთა უფლებების დაცვა“ (1792).

პრესის თავისუფლების იდეა, როგორც ადამიანთა ბუნებრივი უფლებების თეორია, პირველად ყველაზე ნათლად გადმოცემული იქნა მეთიუ ტინდალის ნაშრომში „პრესის შეზღუდვის საწინააღმდეგო არგუმენტები“ (1704). ტინდალი უარყოფს რელიგიური თეორიის საშუალებით სიტყვის თავისუფლების აუცილებლობის დასაბუთებას. მისი აზრით, თეოკრატიული მმართველობის მსურველები მორწმუნე თაღლითები და საშინელი მატყუარები არიან, რომელთაც ქრისტიანობის არასწორი გაგების საფუძველზე ადამიანების კვლავ მონობაში დაბრუნება აქვთ განზრახული. მილტონის მსგავსად ტინდალი თვლის, რომ ადამიანებს, როგორც გონიერ არსებებს ღვთისგან ბოძებული აქვთ აზრთა სისწორისა და მცდარობის გარჩევის უნარი, მაგრამ ტინდალი უფრო შორს მიდის და ამ მოსაზრებას სხვა მიმართულებას აძლევს. მისი აზრით, ყოველი ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, რომ რელიგიის საკითხებზე საკუთარი დასკვნები გააკეთოს. პრესის ნებისმიერი ხერხითა და მეთოდით შეზღუდვა კი, არაქრისტიანულია და ადამიანის ბუნებრივ უფლებებს ეწინააღმდეგება: „ბეჭდვის კეთილშობილური საქმე ღვთის განგებით სასულიერო პირთა ტირანიისგან ადამიანთა გასათავისუფლებლად იქნა გამოგონილი და, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ადამიანები კვლავ სამღვდელთა მონობაში ამყოფოს“ (Keane, 1991, გვ.14).

ტინდალი ბუნებრივი უფლებების თეორიას კიდევ უფრო აფართოებს და რელიგიიდან პოლიტიკის სფეროში გადაჰყავს. ის კიცხავს პრივილეგირებულ სასულიერო პირთა ქმედებას, რომლებიც სახელმწიფო ძალაუფლებისკენ მიისწრაფიან. მთელს ევროპაში კი, ყველა ხელისუფლება ცდილობს, თავისი შავბნელი საქმეები სასამართლოსა და ქვეშევრდომთა საშუალებით მიაჩუმათოს. ისინი მზად არიან ნებისმიერ მიუღებელ საქციელს გამართლება მოუძებნონ. სახელმწიფო ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ხალხისთვის და ქვეყნისთვის საზიანო ქმედებაც კი, თვალწარმტაც ფერებში წარმოადგინოს. ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ ადამიანებს ბუნებრივი უფლებების გამოყენება შეუძლიათ. მათ შორისაა აზრის თავისუფლად გამოხატვა. დამოუკიდებელი პრესა საშუალებას იძლევა, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საზოგადოება დროულად იყოს ინფორმირებული. ეს ხელისუფლების მონობისგან, პოლიტიკოსების მიერ ხალხის მოტყუებისა და დაცინვისგან

თავდაღწევის თავისებური გარანტიაა. მედია მკვლევარის ჯონ კეინის (1991) აზრით, ტინდალის ნაშრომი განსაკუთრებულ გამოცხადებს პოულობს მასმედიის თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაში, კერძოდ კი ის მოსაზრება, რომ პრესის თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში, რომელიც ბუნებრივი უფლებების პატივისცემაზე იქნება დამყარებული. ასეთ სახელმწიფოში მოქალაქეები ქვეყნის მმართველობით ორგანოებში მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან ერთად, კანონის უზენაესობის ქვეშ სრული თანხმობით ერთიანდებიან; მაგრამ მიუღებლად მიმაჩნია რომელიმე თეორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, ვინაიდან მეტ-ნაკლებად თითოეულ მათგანს აქვს თანამედროვე გამოცხადილი და მასმედიის თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაზე მათი დებულებების გავლენისა და პარალელების მოძიება თამამად შეიძლება.

III. უტილიტარული თეორია ხელისუფლების მიერ დაწესებულ ცენზურას მოიაზრებს, როგორც დესპოტიზმის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორს, ხალხისთვის ბედნიერების წართმევის საუკეთესო საშუალებას. უილიამ გოდვინის „გამოკვლევა პოლიტიკური სამართლის საკითხებზე“ (1798) და ჯეიმს მილის „პრესის თავისუფლება“ (1811) ამ თეორიის რამდენიმე დებულებას განიხილავს.

სახალხო დებატების თავისუფლების იდეა ყველაზე ნათლად იერემია ბენტამის ესპანელი მკითველისადმი მიწერილ წერილებში წარმოჩინდა „პრესისა და სახალხო დებატების თავისუფლების შესახებ“ (1820-1821). ბენტამის აზრით, საუკეთესო ხელისუფლება ის არის, რომელიც ცდილობს ხალხს რაც შეიძლება მეტი ბედნიერება და სიხარული მიანიჭოს. მთავარი პოლიტიკური პრობლემაა არადესპოტური სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება, ლეგალიზება და ისეთი კანონშემოქმედებითი საქმიანობის წარმოება, რომელიც ხალხის ბედნიერებას ითვალისწინებს.

გონივრული პოლიტიკური სისტემა ძირითადად ორი ასპექტით უნდა იყოს გამორჩეული: უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთი მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც კანონის უზენაესობაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის საშუალებით, ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნებს. მეორე ასპექტი ხელისუფლების თვითნებობისგან ხალხის დაცვაა. ბენტამი დარწმუნებით აცხადებს, რომ ნებისმიერ ხელისუფლებას ყოველთვის პირადი ინტერესი ამოძრავებს. იმ ადამიანთა

ბუნება, რომელთაც ძალაუფლება უპყრიათ ხელთ, ძალიან მარტივია. რაც უნდა უღირსი საქციელი ჩაიდინონ, სულაც არ ანადგვებთ, თუ რას იტყვის ან იფიქრებს ხალხის ამაზე და როგორ განსჯის მომავალში. მათი საზრუნავი და საფიქრალი მხოლოდ დღევანდელი დღით შემოიფარგლება. ბენტამის აზრით, ქცევის ასეთი წესები ყველაზე მეტად ესპანეთში და ინგლისშია გავრცელებული, ანუ ისეთ ქვეყნებში, სადაც არისტოკრატია ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მონარქიებთან ალიანსს ქმნიდა. წინააღმდეგ ასეთი დესპოტიზმისა, რომელსაც „ძალადობაზე დამყარებული ძალაუფლებისკენ სწრაფვა შეიძლება ეწოდოს“, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთხელ გამოიყენეს. ეს არის ხელისუფლების მიერ ხალხისთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლების – უსახელო კენჭისყრისა და ხშირი არჩევნების მექანიზმის დამკვიდრება. ამ მხრივ თავისუფალი პრესა, როგორც ამომრჩეველთა სურვილებისა და შეხედულებების გამომხატველი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს. მის გარეშე პერიოდული არჩევნები ფერმას დაემსგავსება, სადაც „წელიწადში რვა თვის განმავლობაში ცხვრების მოდარაჯე ძაღლები ჩამწვედეულები იქნებიან, მათ ფუნქციას კი მგლები შეასრულებენ“ (Keane, 1991, გვ.16). აქედან გამომდინარე, უტილიტარული თეორია გულისხმობს, რომ თავისუფალი პრესა, როგორც მმართველი კლასის ქმედებათა კონტროლის საუკეთესო საშუალება, აუცილებლად უნდა ეწინააღმდეგებოდეს დესპოტურ ხელისუფლებას. ის აგრეთვე მხარს უნდა უჭერდეს ისეთი კანონების შემუშავებას და მიღებას, რომლებიც უმრავლესობის ინტერესების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ.

თავისუფალი პრესა არა მხოლოდ თვალყურს ადევნებს მმართველთა საქციელს, აკვირდება მათ თანდაყოლილ თვისებებს, არამედ ამხელს მათ შავბნელ, დაფარულ მხარეებს და აიძულებს პატივი სცენ, ემსახურონ ხალხს. ის ზრდის გონივრული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე. თავისუფელი პრესა თვალს არ აშორებს ბიუროკრატიას და ამით ხელს უშლის პროტექციონიზმის წარმოშობას კანონმდებლებსა და ადმინისტრატორებს შორის.

ერსკინისა და ბევრი მისი წინამორბედის მსგავსად, ბენტამი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ თავისუფალმა პრესამ ქვეყანა შეიძლება არეულობამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანოს. უბედურება არ შეიძლება იყოს თავისუფალი

პრესის პირში: „ყველა სახის თავისუფლებას თან ახლავს მეტ-ნაკლები საშიშროება” (Keane, 1991, გვ.17). ხალხზე მზრუნველი პრესა საზოგადოებას ხელისუფლების კრიტიკას სთავაზობს და საჭიროების შემთხვევაში მისი გადაყენების ეფექტიან გზებსაც სახავს.

თავისუფალი პრესა ასევე ცდილობს ხალხის ინტერესებს ემსახუროს და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მისი სურვილები. პოლიტიკურ ცხოვრებაში კი ბედნიერების ფორმულა ასეთია: რაც უფრო მეტი აქვს მმართველ უმცირესობას, მით უფრო უბედურია ხალხის უმრავლესობა.

IV. პრესის თავისუფლების მეოთხე თეორია გულისხმობს მოქალაქეთა შორის წარმოებული საჯარო და შეუზღუდავი დებატების გზით სიმართლის დადგენას. ინგლისში შექმნილ ფილოსოფიურ თეორიებს ამ იდეამდე მივყავართ. მათ შორის აღსანიშნავია ლეონარდ ბუშერის „რელიგიური სიმშვიდე ანუ მოთხოვნა სინდისის თავისუფლებაზე” (1614).

როგორც აღინიშნა, პრესის თავისუფლების მოთხოვნის დასაბუთებული არგუმენტები ინგლისში მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჯოზეფ პრისტოლის ნაშრომი „ესსე სახელმწიფოს ძირითად პრინციპებსა და პოლიტიკური, სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების შესახებ” (1768) ამის ნათელი მაგალითია. ხსენებული იდეის ყველაზე გავლენიანი და მომავალში ფართოდ გავრცელებული ვერსია ინგლისში მე-19 საუკუნეში შეიქმნა ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომით „თავისუფლებაზე” (1859). ამ ესსეში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ პრესის თავისუფლების უტილიტარული თეორია მოკლებულია დამაჯერებლობას, სავსეა სკეპტიციზმით და ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ადამიანებისთვის მთავარია არა მოსაზრებათა სისწორე (სიმართლე), არამედ მათი რენტაბელურობა. უტილიტარულ თეორიაში უფრო მეტად საუბარია შეხედულებათა სარგებლიანობასა და სარფიანობაზე, ვიდრე მათ მართებულობაზე, თუმცა ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსაზრებათა სარგებლიანობა თავისთავად გულისხმობს სიმართლის ძიებას. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ შეხედულებათა მართებულობა მათი პრაქტიკულობის, მართებულობის ძირითადი ნაწილია. მილის აზრით, პიროვნების განვითარებისთვის, განათლებისთვის და ზოგადად, კაცობრიობის კეთილდღეობისთვის აუცილებელია აზრის გამოხატვის თავისუფლება.

მისი მტკიცება ეყრდნობა სამ საბუთს: ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც მიუღებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, ვითომდა მათი სიცრუისა და არამართებულობის გამო, ყოველთვის მართალი და ხალხისთვის საკეთილდღეოა. ის, ვინც ცდილობს ცენზურის ქვეშ მოაქციოს პოტენციურად მართალი საზოგადოება, ფაქტობრივად უარყოფს მის სიმართლეს. ცენზორს სურს, რომ მისი პირადი შეხედულებები საყოველთაო იყოს მაშინ, როდესაც აზრის გამოხატვისას თავად ითვალისწინებს იმას, თუ რომელ პარტიას, სექტას, რელიგიას თუ სოციალურ კლასს მიეკუთვნება. უცოდველობის ნიღბის ქვეშ ცენზორი ახშობს და თრგუნავს სიმართლეს. ცენზურის არსებობა უკვე თავისთავად გულისხმობს სიმართლის დადგენას გარკვეული შეხედულებების მიხედვით, რაც საწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობას გამორიცხავს. ცენზორი თვლის, რომ მის მიერ ჭეშმარიტად მიჩნეული ფაქტი სხვის მიერაც ასევე უნდა იყოს აღქმული.

მეორე „საბუთი“: ნებისმიერი სიცრუე მცირედენ სიმართლეს მაინც შეიცავს. ესა თუ ის გავრცელებული და აღიარებული მოსაზრება ძალიან იშვიათად არის სრული სიმართლე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ საწინააღმდეგო აზრთა შეჯახებითა და დაპირისპირებით არის შესაძლებელი სიმართლის დადგენა. საზოგადოებრივი საქმიანობის დროს სიმართლე მოითხოვს საპირისპირო მოსაზრებებთან შეგუებას, შეთანხმებას და მათ გვერდით თანაარსებობას. „მაშინაც კი, როდესაც პიროვნება ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ სწორ მოსაზრებას, მაინც საჭიროა მას გავეცნოთ, რადგან ამ დისიდენტის უგულებელყოფით უფრო მეტს დაგკარგავთ“ (Mill, 1977, გვ.254).

საბოლოოდ კი მილი ასკვნის: იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება დროთა განმავლობაში ცვლილებას არ განიცდის, მაშინ ის მალე დეგრადირდება და ცრურწმენად, მკვდარ ღოგმად გადაიქცევა: „კაცობრიობის საბედისწერო შეცდომა ის არის, რომ იგი თავს აღარ იწუხებს იმგვარ საგნებზე ფიქრით, რომლებიც, მისი აზრით, უქცველი და შეუვადია“ (Mill, 1977, გვ.250). ამ შეცდომას ისტორიული ეპოქები უფრო უშვებენ, ვიდრე ცალკეული პიროვნებები. მიუხედავად ამისა, ადამიანები მიდრეკილნი არიან, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეიქმნან და მკვდარი, ცრუ მოსაზრებები აღიარონ. სწორედ ამიტომ კაცობრიობა განწირულია იტანჯოს წინაპართა შეცდომების გამო: „უდავოა, რომ ბევრი მოსაზრება, რომელიც ამჟამად

მნიშვნელოვანია, მომავალი თაობების მიერ უარყოფილი იქნება, ისევე, როგორც ბევრი ერთ დროს მნიშვნელოვანი აზრი, ამჟამად მიუღებელი და უარყოფილია” (Mill, 1977, გვ.230). სიმართლე ცრურწმენად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა, თუ მისი გამოცდა და კორექტირება საპირისპირო მოსაზრებებით არ მოხდება.

საქმე მაშინ რთულდება, როდესაც ცრურწმენა საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად არის გამოცხადებული, რაც ადამიანის გონებრივ განვითარებას აფერხებს. მისაღები უნდა იყოს სხვისი მოსაზრებების მნიშვნელობის, არსის წვდომისა და შესწავლის პრაქტიკა. აღიარებული შეხედულებები გონებას აჩლუნგებს და ადამიანის ღირსებებზე, მორალურ ფასეულობებზე უარყოფითად მოქმედებს. იმისათვის, რომ ცხოვრება წინ წავიდეს და განვითარდეს, აუცილებელია გონების მუდმივი ვარჯიში. მილის გაგება განსხვავდება მხატვრული, პოლიტიკური თუ ეთიკური ხასიათის მქონე ნაშრომებში მოცემული განსაზღვრებისაგან. მათი ძირითადი მიზანი, ხოტბის შესხმა, გაკიცხვა ან შთაგონებაა. მილის ნაშრომში „თავისუფლებაზე” (1977) ასევე უარყოფილია ის მოსაზრება, რომ უნდა არსებობდეს დაპირისპირებულ აზრთა განუსაზღვრელი რაოდენობა და რომ მათ მშვიდობიანი თანაარსებობა არ შეუძლიათ. მაგალითად, სექტანტობის მავნე ზეგავლენის აღმოფხვრა მხოლოდ ფრთხილი და წინდახედული დისკუსიების საშუალებით არის დასაშვები, რაც ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის შესაძლებლობას გამორიცხავს. სექტანტობის შეზღუდვა ასევე მისაღებია იმ შეხედულებების აკრძალვით, რომლებიც ზიანს აყენებენ საზოგადოების კეთილდღეობას. „უდავოა, რომ ადამიანის აზრი უფრო თავისუფალია, ვიდრე ქმედება. იმ დროს, როდესაც მოსაზრება კარგავს თავის სიცოცხლისუნარიანობას, გარემო, რომელშიც მისი ჩამოყალიბება და გამოხატვა ხდება, შესაძლოა საზიანო, მავნე ქმედებების გამომწვევი გახდეს” (Mill, 1977, გვ.259). ამავე დროს, მილი ეჭვის ქვეშ აყენებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სიმართლე საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს. ისტორიას უხვად აქვს დათრგუნული და უარყოფილი სიმართლის მაგალითები. მას არა აქვს შეზღუდვისგან, ცენზურისგან თავის დაღწევის თანდაყოლილი უნარი. სიმართლე საჭიროებს პრესის, როგორც მისი ერთგული მომხრისა და მოკავშირის თავისუფლებას. არც ერთ კანონს არ შეუძლია შეზღუდოს გაზეთის, ჟურნალისა და წიგნის საშუალებით მოწინავე იდეების გავრცელება. მხოლოდ დამოუკიდებელი პრესა ახდენს მოსაზრებათა კორექტირების ჩვევის

სრულყოფას, რადგან მხოლოდ ის არის სიმართლის სიცრუეზე გამარჯვების მყარი გარანტი.

ამრიგად, ინგლისში შექმნილი თეორიები, რომლებიც სახელმწიფო ცენზურის შესახებ პირველ მყარ არგუმენტებს გვთავაზობენ, საინტერესო მასალასაც გვაწვდიან სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის შესასწავლად. როგორც უკვე აღინიშნა, სამწუხაროდ, ისინი უკვე დავიწყებას მიეცა, დღეს კი, როდესაც ძალიან მწვავედ დგას მასმედიის თავისუფლებისა და სახელმწიფოს მიერ მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი, როდესაც დემოკრატიის მშენებლობის პროცესში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის ბუნებრივი უფლებების, მათ შორის, სიტყვის თავისუფლების დაცვას, ისინი აქტუალობას არ კარგავენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც იძენენ...

ამ თეორიული მოსაზრებების გაცნობა არა მარტო გააფართოებს ჟურნალისტთა თვალსაწიერს, აამაღლებს მათ დონეს, არამედ კიდევ უფრო გააღრმავებს პასუხისმგებლობის იმ გრძნობას, რომელიც ამ პროფესიის წარმომადგენლებს აკისრიათ საზოგადოების წინაშე.

- **გაცნობიერებული აუცილებლობა, როგორც ფილოსოფიური კატეგორია**

პრესის თავისუფლების ფილოსოფიური თეორიების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა ძალიან საინტერესო ნაშრომები ზოგადად თავისუფლების რაობისა და თავისუფლების, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორიის შესახებ. თუ სიტყვის თავისუფლების რელიგიური თეორია ნების თავისუფლებას აღიარებს და მის შეზღუდვას ღვთის მიერ ადამიანისადმი მინიჭებული უფლების წართმევად მიიჩნევს, მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი პანთეისტი ფილოსოფოსი ბენედიქტ სპინოზა უარყოფს ნების თავისუფლებას და მას გონებასთან აიგივებს.

თუ რელიგიური თეორიის მიხედვით, თავისუფალი ნება და განსჯის უნარი ღვთის საჩუქარია, ფილოსოფოს ბენედიქტ სპინოზას შეხედულების თანახმად, გონება აუცილებლობის გაცნობიერების გზით თავად განაპირობებს სულისა და აზროვნების თავისუფლებას. სპინოზას შეხედულებები თავისუფლებისა და აუცილებლობის ფილოსოფიურ კატეგორიაზე მოცემულია მის ძირითად ნაშრომში „ეთიკა“ (1957). ფილოსოფოსი თავისუფლებას სულის

ნეტარებას უწოდებს. აქედან გამომდინარე, ნების უარყოფით ის ამავე დროს ცნობს გაცნობიერებული თავისუფლების აუცილებლობას და მიიჩნევს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მარადიული და უსასრულო სუბსტანცია ღმერთი, ანუ ბუნება, რომელიც შინაგანი აუცილებლობის, ე. ი. თავისუფლების მატარებელია და თავისი თავის მიზეზია (causa sui). „თავისუფალია საგანი, რომლის არსებობა მხოლოდ მისი ბუნებიდან გამომდინარე აუცილებლობით არის განპირობებული და თავადვე არის მისი ქმედებების განმსაზღვრელი. აუცილებელი, უფრო ზუსტად კი, იძულებითია საგანი, რომლის არსებობასაც და ქმედებებს განსაზღვრული მეთოდით გარეშე რაღაც განაპირობებს” (Спиноза, 1957, გვ.362). სუბსტანცია თავისუფალია, როგორც თავისი თავის მიზეზი, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, როგორც ამ მიზეზის შედეგი. აქედან გამომდინარეობს თავისუფალი აუცილებლობის გაგება.

თავისუფლებას სპინოზა იძულებას, ძალადობას უპირისპირებს და არა აუცილებლობას, ვინაიდან მისი აზრით, სიცოცხლის და სიყვარულის სურვილის არ არის იძულებითი, მაგრამ ამის აუცილებლობა ყოველთვის არსებობს (Соколов, 1957, გვ.54). სპინოზას ნააზრევს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ყველაფერს აუცილებლობით, „ღვთის განგებით აკეთებენ“, ისინი მაინც თავისთავად მოქმედებენ, თუ, რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობას ბოლომდე აცნობიერებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში (ანუ თუ აუცილებლობის შეცნობა ბოლომდე არ ხდება) თავისუფლებაზე ცრუ წარმოდგენები იქმნება. ეს გამოწვეულია ადამიანის მიერ გარემო სინამდვილის არასაკმარისი ცოდნით, რის შედეგადაც იგი არა გონებით, გათვითცნობიერებული სინამდვილით, არამედ აფექტებით (ვნებებით) ხელმძღვანელობს.

ადამიანის უძლურებას თავისი ვნებების მოთოკვისა და შეზღუდვის წინაშე სპინოზა მონობას უწოდებს, რადგან ადამიანი, რომელიც ვნებებს ემორჩილება, თავის თავს აღარ ეკუთვნის. იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს, მან ეს ვნებები უნდა შეიცნოს, გააცნობიეროს და მათზე ძალაუფლება მოიპოვოს. ეს კი, გონების საშუალებით უნდა განხორციელდეს. აფექტების, ანუ ვნებების შეცნობა კი მათ სრულ ანულირებას კი არ იწვევს, როგორც ამას სტოიკები მიიჩნევდნენ, არამედ მათი ზემოქმედების შესუსტებას განაპირობებს. სპინოზას აზრით, თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე ადამიანის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი მისი იდეების საგნებთან შესაბამისობაში მოყვანაა, ამიტომ ისინი უნდა ზრუნავდნენ, იმაზე, რომ თავად დაემორჩილონ

მას. ამისთვის კი, აუცილებელია გარემო სინამდვილის გაცნობიერება, იდეების არა მარტო საგნებთან, არამედ სხეულთან ჰარმონიაში მოყვანა და საკუთარ ვნებებზე (აფექტებზე) გაბატონება. ამ გზით ადამიანი „ეს რთული მოღუსი“, გარემოს გაცნობიერების საფუძველზე მოიპოვებს თავისუფლებას. სწორედ ამაში მდგომარეობს თავისუფლების შესახებ სპინოზას სწავლების არსი...

საინტერესოა მე-18-19 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელის მიერ თავისუფლების განმარტება. მისი აზრით, აბსოლუტური თავისუფალი ნება პირობითი თავისუფლებისაგან იმით განსხვავდება, რომ აბსოლუტური ნების საგანი საკუთრივ ის არის, პირობითის კი რაღაც შეზღუდული. „ნების თავისუფლება არის ზოგადად თავისუფლება, სხვა დანარჩენი კი მისი სახეობებია. არსებობს სამი სახის თავისუფლება სამოქალაქო, სიტყვის, რელიგიური და პოლიტიკური, რომლებიც თავისუფლების საყოველთაო გაგებიდან მომდინარეობენ. ისინი მხოლოდ გარკვეულ საგანთან მიმართებაში გამოიყენება“ (Гегель, 1973, გვ.25). როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, მაშინ ჩვეულებრივ პირობით თავისუფლებას ვგულისხმობთ, ანუ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს რაღაცის გაკეთება შეუძლია, რაღაცის კი არა.

ის მოსაზრება, რომ თავისუფლებასაც თავისი კანონები აქვს, გამოძახილს ჰეგელის ნაშრომებში პოულობს. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შეხედულებები იმის შესახებ, რომ თავისუფლება განუკითხაობასა და თვითნებობაში არ უნდა გადაიზარდოს. „განუკითხაობა თავისუფლებაა, მაგრამ ის ფორმალურია“ (Гегель, 1973, გვ.29). ადამიანს რომ არ ჰქონდეს ნება, მაშინ არ იარსებებდა საყოველთაო კანონები, რომლებიც ადამიანს პასუხისმგებლობის, მოვალეობის გრძნობას გამოუმუშავებენ. მათ გარეშე ყველა სურვილისამებრ მოიქცეოდა და ყურადღებას არ მიაქცევდა სხვათა თავნებობას.

ჰეგელის აზრით, ნების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მისი თავისუფლება განხორციელდეს და შენარჩუნდეს. ამავე დროს, ნებას აქვს გარკვეული მიზნები და მდგომარეობები, რომლებსაც ნების თავისუფლების განსახორციელებლად აუცილებელ საშუალებებად და გარემოებად იყენებენ. ეს კი, კანონისა და გარკვეული ინსტიტუტების არსებობას აუცილებელს ხდის განუკითხაობისა და თავაშვებულობის შესაზღუდად. მაგალითად, აღზრდის მიზანია, რომ ადამიანი დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოაყალიბოს, რომელსაც

თავისუფალი ნება ექნება. ამიტომ ხშირად ბავშვებს მათ სურვილებს უკრძალავენ. მათ მორჩილება უნდა ისწავლონ, რომ ნება მათსავე გრძნობებზე დამოკიდებული არ იყოს ამ გზით კი, ნება თავისუფლებას მოიპოვებს. სწორედ აქ იჩენს თავს სპინოზას გავლენა, რომელიც თავისუფლების მოპოვების აუცილებელ პირობად აფექტების, ვნებების დამორჩილებას მიიჩნევდა. გარკვეული შეზღუდვების არსებობა, პირადულზე მაღლა დადგომა და ემოციების დაძლევა აუცილებელია ადამიანის გასათავისუფლებლად, დამოუკიდებელ, სრულყოფილ პიროვნებად ჩამოსაყალიბებლად. საკუთარი სურვილების, გრძნობების მორჩილება და მხოლოდ მათ შესრულებაზე ზრუნვა ობიექტურად ადამიანის მათზე დამოკიდებულებას წარმოშობს.

„ხშირად ამბობენ, რომ ჩემი ნება განისაზღვრებოდა გარკვეული მოტივებით, გარემოებებით, ცდუნებებითა და ზრახვებით. ეს ფრაზა გულისხმობს იმ აზრს, რომ მე იმ დროს პასიური ვიყავი. სინამდვილეში კი, აქტიური ვიყავი, რადგან ჩემმა ნებამ ეს გარემოებები მოტივებად მიიღო... გარემოება არ არის მიზეზი, ნება კი „შედგვი“ (Гегель, 1973, გვ.26). თუ ადამიანი აცხადებს, რომ გზიდან აცდენა გარემოებებმა, ცდუნებებმა გამოიწვია, მაშინ იგი პასუხისმგებლობას იხსნის ჩადენილის გამო... ეს საქციელი კი მან და არა ვინმე სხვამ ჩაიდინა. გარემოებები და მოტივები ადამიანზე იმდენად მოქმედებენ, რამდენადაც ის მათ ამის უფლებას აძლევს. ჰეგელს მაგალითად აიაქსის საქციელი მოჰყავს, რომელმაც იმის გამო, რომ აქილეუსის იარაღი არ ერგო, ბერძნების ხარები და ცხვრები დახოცა. „მან ეს თავის უგუნურებას დააბრალა, ვითომდა იმ მომენტში იგი სხვა პიროვნება იყო, მაგრამ საბოლოოდ, აიაქსმა ჩადენილის გამო პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და სირცხვილისგან თავი მოიკლა“ (Гегель, 1973, გვ.27).

ჰეგელის ნების თავისუფლება უშუალო კავშირშია სამართალთან, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელ საშუალებასთან. ადამიანი თავისუფალი არსებაა, რაც მისი ბუნების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. იგი იმდენად არის სამართლის საგანი, რამდენადაც თავისუფლია. სამართალი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ერთმანეთს ისე ეპყრობოდნენ, როგორც თავისუფალი არსებები. მას საფუძვლად პიროვნების თავისუფლება უდევს. ჰეგელის აზრით, სხვისი პატივისცემა საკუთარი თავის პატივისცემასაც ნიშნავს. აქედან გამომდინარეობს ის აზრი, რომ ერთი ადამიანის უფლებების შელახვა სხვისი შეურაცხყოფის ტოლფასია. ჰეგელის

ნაშრომში ჩამოყალიბებული შეხედულებები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანამედროვე გაგების ერთგვარ წინაპირობადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჰეგელისეული სამართლის პრინციპები დღესაც მოქმედებენ. მისი აზრით, როდესაც დარღვეულია სამართლიანობა ერთის მიმართ, ყველა აღშფოთებულია (ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს), რადგან სამართლიანობა ყველასთვის საერთოა.

იმდენად, რამდენადაც ადამიანი თავისუფალი არსებაა, ის პიროვნებაა, ამიტომ სამართლის პრინციპი შემდგენაირად შეიძლება გამოიხატოს: ერთი ადამიანი მეორეს ისე უნდა მოექცეს, როგორც პიროვნებას. აქედან გამომდინარეობს ის აზრი, რომ ადამიანი არ უნდა აიძულო ესა თუ ის ქმედება არ ჩაიდინოს, ან პირიქით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ცდილობს სხვაზე ძალადობა გამოიყენოს. არსებობს თავისუფლების ისეთი შეზღუდვები და კანონები, რომლებიც პიროვნების თავისუფლებას უგულვებელყოფენ. მაგალითად, კანონები, რომლებიც არ კრძალავენ, პირიქით უშვებენ მონობას. ისინი გონებას და აბსოლუტურ სამართალს ეწინააღმდეგებიან. საქციელი, რომელიც ზუდავს სხვის თავისუფლებას და არ ცნობს ნების თავისუფლებას, სამართალს ეწინააღმდეგება.

ჰეგელის შეხედულებების გაცნობის შემდეგ თავს იჩენს საკითხთა მთელი წყება, რომელზედაც პასუხის გაცემა თავად ჰეგელის გაცნობითაც შეიძლება. რა შემთხვევაშია დასაშვები პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა? როდის შეიძლება მასზე იძულებითი ხერხები და მეთოდები გამოიყენო? თავისუფლების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს საყოველთაო ინტერესით არის განპირობებული. ასეთი იძულება კი ძალადობად, უფლებების დარღვევად არ ჩაითვლება, რადგან ის თავისუფალი პიროვნების ღირსებებს არ ეწინააღმდეგება, პირიქით, მათ დასაცავად არის გამიზნული. ე.ი. გარკვეული შეზღუდვების არსებობა სხვისი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად მისაღები და აუცილებელიცაა, რადგან „თავისუფლება არის იქ, სადაც ბატონობს კანონი და არა ცალკეული ადამიანის თვითნებობა” (Гегель, 1973, გვ.38). დაუშვებელია ყოველივე ის, რაც ზღუდავს სხვების თავისუფლებას. სამართლებრივი აკრძალვები შეიძლება პოზიტიური მითითებების ფორმით იყოს მოცემული. საყოველთაო სამართლის პრინციპი შემდგენაირად უდერს – შენ პატივი უნდა სცე სხვის თავისუფლებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენი

გონებით რაიმე პოზიტიური ქმედება ჩაიდინო, მაგრამ ამ პოზიტიური მითითებების საფუძველი მაინც აკრძალვას.

ჰეგელის განმარტებით, სამართალი არის ადამიანების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება, სამართლის წინააღმდეგ მიმართული საქციელი კი არის ქმედება, რომელიც ხელყოფს პიროვნების თავისუფლებას. თავისუფლება მოიცავს პიროვნებას და სხვების მიმართ მის დამოკიდებულებას, იმის გააზრებას, რომ ჩემი შეურაცხყოფით სხვა თავის თავსაც შეურაცხყოფს. ის, რაც, მან ჩემს მიმართ ჩაიდინა, მის მიმართაც უნდა განხორციელდეს. თუ ამას შეურაცხყოფილი პირი აკეთებს, მაშინ ეს შურისძიებაა და თუ ეს საყოველთაო ნების სახელით ხორცილდება, მაშინ სასჯელი. სწორედ ჰეგელის ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს კანონის უზენაესობის აუცილებლობა. პიროვნების შეურაცხყოფა, ცილისწამება სათანადოდ უნდა ისჯებოდეს, რომ ადამიანის პირადი თავისუფლებებისა და უფლებების ხელყოფა ჩვეულებრივ მოვლენად არ იქცეს. პიროვნების თავისუფლების ხელყოფა კი მაშინ ხდება, როდესაც გარეშე პირი სხვების საკუთრებას თავისად მიიჩნევს და თვლის, რომ აღიარებული მფლობელის საკუთრების უფლების კანონიერების შემთხვევაში, იგი ამ ქონებაზე პრეტენზიას არ განაცხადებდა. თავისუფლების ხელყოფა ხდება მაშინაც, როდესაც ერთი ადამიანი საერთოდ უარყოფს მეორის უფლებებს, რითიც საყოველთაო ნებისა და სამართლიანობის პრინციპს გმობს. პირველ შემთხვევაში აუცილებელია იმ სამართლებრივი საფუძვლის დადგენა, რომლის საშუალებითაც სამართლიანობა აღდგება. ამისთვის კი აუცილებელია მიუკერძოებელი მესამე პირი, რომელიც პირადი ინტერესებისგან თავისუფალი იქნება. მეორე შემთხვევაში კი, საქმე გვაქვს სამოქალაქო და სისხლის სამართლის დანაშაულთან, რადგან სხვისი ნების სრული იგნორირებით ზიანს ვაყენებთ არა მარტო სხვის თავისუფლებებსა და უფლებებს, არამედ სიცოცხლესაც კი.

ასევე ძალიან საინტერესოა შურისძიებისა და სასჯელის ჰეგელისეული განმარტება: „შურისძიება არის ანგარიშსწორება, რომელსაც განაწყენებული მხარე ახორციელებს, ხოლო სასჯელი არის ანგარიშსწორება, რომელსაც მოსამართლე ასრულებს“ (Гегель, 1973, გვ.48). შურისძიებას არა აქვს სამართლებრივი მოტივაცია. ის განუკითხაობის მაჩვენებელია და ყოველთვის ემოციების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

სპინოზას შეხედულებათა გავლენა განიცადეს არა მარტო ფილოსოფოს-იდეალისტებმა გოეთემ, ჰერდერმა, შლაიერმახერმა, ფისტემ, შელინგმა, არამედ ფრანგმა მატერიალისტებმაც, მაგალითად, ფოიერბახმა. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტული ფილოსოფიისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტურ-პანთეისტური ასპექტები. სპინოზას თავისუფლება, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორია, რომელსაც ჰეგელიც აღიარებდა, მარქსისტულ ფილოსოფიაშიც არის მიღებული. აქედან გამომდინარე, საინტერესოა როგორ განიხილავდნენ ფილოსოფოს-მატერიალისტები თავისუფლების რაობასა და მნიშვნელობას.

მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, თავისუფლება არის შეგნებული მიზანმიმართული ქმედება გაცნობიერებული აუცილებლობის შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონების ცოდნასა და მის გამოყენებაზე. რაც უფრო მაღალი იქნება ამ კანონების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონე, მით უფრო გაიზრდება თავისუფლების ხარისხი. ბუნების კანონების შემეცნებასთან ერთად კი იზრდება წარმოების საშუალებების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება და ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, მაგრამ მეცნიერება, ტექნიკა და წარმოება თავისთავად გარკვეული სოციალური პირობების გარეშე არ არსებობს, ამიტომ ბუნებრივი კანონების შეცნობა დაკავშირებულია თავისუფლების მეორე მხარესთან საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შეცნობასთან და დაუფლებასთან.

შეგნებული, მიზანმიმართული, თავისუფალი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ გარდაუვლად დაკავშირებულია შეგნებულ, გაცნობიერებულ აუცილებლობასთან. ეს ორი ცნება – თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან არ შეიძლება მიაღწიო თავისუფლებას აუცილებლობის მეცნიერული შეცნობის აღიარებისა და ობიექტური კანონების გათვალისწინების გარეშე. აუცილებლობა კი შეუძლებელია გაიგო ადამიანის თავისუფალი საქმიანობის გარეშე, რომელიც გარკვეულ მიზანს ემსახურება. ადამიანის საქმიანობაში დაუშვებელია თავისუფლების ელემენტის გაზვიადება, გარემო პირობებზე და ობიექტურ კანონებზე დამოკიდებულების იგნორირება. მაგრამ არსებობს მეორე უკიდურესობა, როდესაც ადამიანის მიერ საქმიანობის მიზნის, ფორმისა და საშუალებების, თავისუფალი არჩევანის უფლება უგულვებელყოფილია. ამ

შემთხვევაში ადამიანი სრულად არის დამოკიდებული მასზე გაბატონებულ აუცილებლობაზე. ასეთი მიდგომა ფატალიზმი კი, დამღუპველია (Пронин, 1980, გვ.4).

მარქსისტულ ფილოსოფიაში ნების თავისუფლება საქმის ცოდნასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო თავისუფლად მსჯელობს ადამიანი ამა თუ იმ საკითხზე, მით უფრო მეტ აუცილებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი მსჯელობა. უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი ქმედებები და გადაწყვეტილებები ობიექტური კანონზომიერებით ვნებს არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ჟურნალისტთა პროფესიული მოვალეობის შესრულებას ეხება. სწორედ ამიტომ, მათ სრულად უნდა გაიაზრონ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ საზოგადოების წინაშე. სრულყოფილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მთელი სისრულით მოიცავს პასუხისმგებლობასაც და პირიქით, მხოლოდ ღრმა პასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანის საქმიანობას შეიძლება ეწოდოს თავისუფალი და ჭეშმარიტად გათვითცნობიერებული...

- **მასმედიის თავისუფლება გაცნობიერებული აუცილებლობის პირობებში**

თანამდროვე მკვლევარები სიტყვის თავისუფლებისა და საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ, რომელთა გაცნობა მეტად მნიშვნელოვანია შეხედულებათა ფართო სპექტრის გასაცნობად.

თავისუფლების რაობასა და მისი სხვადასხვა ფორმის ცხოვრებაში რეალიზაციის თაობაზე მსჯელობა არა მარტო წარსულში, არამედ დღესაც მიმდინარეობს. ეს თემა სიმძაფრეს არ კარგავს და თანამედროვე ქართველ მოზროვნეთა დიდ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითისთვის ჟურნალ „თავისუფლების“ (2002) ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების მთელი ციკლიც კმარა, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ზურაბ კიკნაძის სტატია „HomoLIBER“ იმსახურებს. „როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის უფლებებზე, ამოსავალ დებულებად ვიღებთ აქსიომას, რომლის თანახმად არსებობს ერთი კაცობრიობა და მასში ყოველი მოდგმა განუმეორებელია. ასევე

ყოველ მოდგმაში ყოველი ადამიანი, თითოეული ადამიანის არსებობა უნიკალურია. უნიკალურობის უღიარებლად ადამიანის უფლებებზე საუბარი გაუგებარი იქნებოდა... ადამიანის ღირსების თავი და თავი მისი პიროვნების უნიკალობაა. ამ უნიკალობაში კი, ყველა ადამიანი თანასწორია” (კიკნაძე, 2002, გვ.3).

სტატიის ავტორის აზრით, სწორედ ამ უნიკალობიდან გამომდინარეობს ადამიანის ფუნდამენტური, უნივერსალური ხასიათის მქონე უფლებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული არც რასაზე, ცივილიზაციაზე, საზოგადოებაზე, სახელმწიფოსა და კანონმდებლობაზე, რადგან ისინი ადამიანის არსების შემადგენელი ნაწილია. ეს ფუნდამენტური უფლებები ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა, რაც მის სიცოცხლეს აზრს აძლევს და ადამიანურს ხდის. ადამიანთა თანდაყოლილი უფლებების ერთმანეთისგან განუყოფლობისა და ურთიერთგანპირობებულობის გამო კი, ერთი-ერთი მათგანის შებღალვა-შევიწროება სხვათა ხელყოფას და დაკნინებას იწვევს.

ის, რომ ადამიანს აქვს უფლება იყოს თავისუფალი, ეს კატეგორიული იმპერატივია, მაგრამ ეს თავისუფლება უკან იხევს და არამც და არამც არ იზღუდება სხვისი თავისუფლების წინაშე: „ამ უკანდახვეით არათუ კნინდება თავისუფლება, არათუ იბღალვა ადამიანის უფლება, არამედ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის და ღრმავდება მისი საზრისი. უმაღლესი თავისუფლება მდგომარეობს სწორედ თავისუფლების ნებაყოფლობით მოზღუდვაში და მასზე უარის თქმაში. ეს უნარი აქვს ადამიანს. ეს, შეიძლება ითქვას, ნამდვილად ღვთაებრივი უნარია” (კიკნაძე, 2002, გვ.3).

თავისუფლების, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორია ზურაბ კიკნაძის ნაშრომშიც ფიგურირებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ავტორი თავისუფალი ნების ასევე ნებელობითი შეზღუდვის აუცილებლობაზე საუბრობს. მისი აზრით, ამ ქმედებით ადამიანი ჭეშმარიტ ღვთიურ უნარს ავლენს, რის შედეგადაც თავისუფლება უმაღლეს ღირებულებას იძენს. ის წარმატალ ეგოზე მაღლა დგება, რომლის თავისუფლება ერთადერთი ზღვარით, მისი პირადივე თავისუფლებით არის შემოსაზღვრული: „ღმერთი არ ძალმომრეობს ადამიანის თავისუფლებაზე, ის არ ერევა მის თავისუფალ არჩევანში. გასაგებია მისი წუხილი ადამის არჩევნის გამო, რამაც მას სიკვდილი მოუტანა, მაგრამ მას არ შეეძლო მოესპო მისთვის არჩევანის

შესაძლებლობა. ღმერთი სწუხს ადამის საბედისწერო არჩევნის გამო, მაგრამ ის ხარობს იმის გამოც, რომ ეს არჩევანი მისი არჩევანია” (კიკნაძე, 2002, გვ.6).

ადამიანმა შესაძლოა დაკარგოს ბევრი რამ, მაგრამ მხოლოდ ის დანაკარგია მისთვის დამღუპველი, რომელიც მას ადამიანად აქცევს და ღირსების გრძნობას უნარჩუნებს. სწორედ ამიტომ იგი ვალდებულია ზილოს თავისუფლების ტვირთი, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს იგი, მასზე უარის თქმის უფლება კი არა აქვს, თუ სურს, რომ ადამიანად დარჩეს. ზურაბ კიკნაძეს ადამიანის თავისუფლების საიდუმლოს ასახსნელად იოანე ოქროპირის სიტყვები მოჰყავს, რომელიც მარტივად და ამომწურავად პასუხობს კითხვაზე, თუ რა ძალა აქვს თავისუფალ ნებას: „ეშმაკი ვერ შემძლებელ არს იძულებად ნებისა ჩვენსა ძლევად, და არცღა ღმერთი და ანგელოზნი მისნი იძულებით მიგვიდებენ ნებასა ჩვენსა. ეშმაკი ლიქნით და ვერაგობით გვაწვევს ნებასსა მისსა შედგომად და უკეთუ ვერ მიდრიკოს გონება ჩვენი ნებასა მისსა, ალატყინოს ცოდვა, ვითარცა ცეცხლი. და უკეთუ არა ვერჩდეთ, ვერ შემძლებელ არს იძულებად ჩვენდა. ესრეთვე ღმერთი და ანგელოზნი მისნი მაწვევენ ჩვენ კეთილსა ზედა და უკეთუ არა ვინებოთ თავით თვისით საქმედ კეთილსა, არა მაიძულებენ ჩვენ გზასა მას მეუფისასა, სადა ვლენან მონანი მეუფისა” (კიკნაძე, 2002, გვ.6). იოანე ოქროპირის ამ სიტყვების ძირითადი აზრი იმაში მდგომარობს, რომ ადამიანს ბოროტი ძალა ვერ დაიყოლიებს, თუკი ის მტკიცედ დგას თავის ნებაზე, ხოლო ღმერთი არ ცდილობს ადამიანის დაყოლიებას მისივე ნების საწინააღმდეგოდ, რადგან ის პატივს ცემს ადამიანში საკუთარ ნებას. სწორედ ამიტომ ის არ წავა თავისი თავის წინააღმდეგ, აქედან კი გამომდინარეობს ის ლოგიკური დასკვნა, რომ ნებისმიერი იძულება ადამიანის ნებაზე ღვთის საწინააღმდეგო საქციელია. თუკი ვინმეს ძალუძს ამ ნების რეალურად ხელყოფა და შებღალვა, ეს თავად ადამიანია. ამიტომ ის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საკუთარი თავისუფლების წინაშეა პასუხისმგებელი, რადგან ეს არის ღვთის ხატი ადამიანში.

ეს თავისუფლება თავისთავად პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას გამორიცხავს და მას გაცნობიერებული აუცილებლობის გათვალისწინებით, ყოველი ქმედების გააზრებას ავალდებულებს. ზურაბ კიკნაძის აზრით, ეს კულტურის პრობლემაც არის, რადგან იგი თავისუფლების პროდუქტია და, რაც უფრო მაღალ კულტურას არის ზიარებული ადამიანი, იმდენად მეტი თავისუფლებაა მასში. ეს ნათლად ჩანს ბრბოს ქმედებებიდანაც, რომელიც სხვის თავისუფლებას არად დაგიდევთ.

თუ ამ პრობლემას სოციალურ ჭრილში განვიხილავთ და ჭეშმარიტი, აბსოლუტური თავისუფლების ცხოვრებაში ტრანსფორმაციის საკითხს შევეხებით, მაშინ ბუნებრივია, რომ თავს ვერ ავარიდებთ კანონებისა და პოლიტიკური უფლებების დაცვაზე საუბარსაც; და თუ ეს მართლა კულტურული პრობლემაა, რომელიც ბრბოს უპასუხისმგებლო ქმედებებს ახსნას აძლევს, მაშინ, სოციალურ კონტექსტში სამართლებრივი პრობლემაც არის, რადგან სამართლებრივი კულტურის არმქონე ადამიანი თავის ქმედებებზე პასუხისმგებლობას ნათლად ვერ აცნობიერებს.

აქედან შესაძლოა დავასკვნათ, რომ რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო შებოჭილია მორალური და სამართლებრივი ვალდებულებებით, რომელთა გათვალისწინებითაც აბსოლუტური თავისუფლების სოციუმში ტრანსფორმაცია ხდება.

სოციალური რეგულაციების ეპოქის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას იმავდროულად თან ახლავს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გარდატეხის შეტანა და მისი რადიკალურად შეცვლა. ძველი შეხედულებებისა და ფასეულობების ახალთან შეჯახებას მწვავე კონფლიქტამდე, პოლიტიკურ კრიზისამდე და ქუჩის დემოკრატიამდე მივყავართ, რაც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ნათლად აისახება... განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი, ეს კონფლიქტი დაპირისპირებულ სოციალურ-პოლიტიკურ ჯგუფებს შორის შეიარაღებული შეტაკების მიზეზი ხდება. ამ დროს აზრთა ჭიდილის, მოსაზრებათა დაპირისპირების ცენტრი ის ფასეულობები და წარმოდგენებია, რომლებიც ადამიანის ქმედებას და გარემო სინამდვილის აღქმას განსაზღვრავენ, მიმდინარე მოვლენების შეფასებას ახდენენ და ჩვენს გარემოცვას მეგობრებად და მტრებად ყოფენ. არც ერთი პოლიტიკური დისპუტი არ მიმდინარეობს ისეთი ცნებების ხსენების გარეშე, როგორცაა დემოკრატია, თავისუფლება, სამართლიანობა ჭეშმარიტება, თანასწორობა და ა.შ.

საზოგადოებრივი ფასეულობები პოლიტოლოგიაში საუკეთესო თემაა ანალიზისთვის, რაზედაც თეორიული მოსაზრებების სისწორეს ამოწმებენ. პოლიტოლოგიაში და პუბლიცისტიკაში, რომლებიც საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობას ასახავენ, ფასეულობები ყოველთვის ცუდისა და კარგის, ბოროტისა და კეთილის საზომად გამოიყენებოდა... პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, სადაც ძალოვანი უწყებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ აშკარად ილაშქრებდნენ, პრესაში გამართული

დისკუსიის შედეგად აღმოჩნდა, რომ თავისუფლების საკმაოდ არატრივიალური ინტერპრეტაციებიც არსებობს. მაგალითად, თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულ გაგებას შეზღუდვების არ არსებობას – ამ ინტერპრეტაციებთან საერთო არა აქვთ. ბუნებრივია, რომ ისმის კითხვა, თუ როგორ ესმით თავისუფლება ერთის მხრივ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს და ოფიციალურ პირებს და მეორე მხრივ, ჟურნალისტებს? დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი უბრალოდ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, ისევე როგორც სამართლიანობაზე წარმოებული დისკუსიების დროს დასავლური და საბჭოთა მენტალიტეტის წარმომადგენლები. პირველთათვის სამართლიანობა კანონის მორჩილებაა, საბჭოელები კი მას მატერიალური და არამატერიალური რესურსების განაწილებას უკავშირებენ... ყველა თავისი სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე, თავისუფლებაში მისთვის სასურველ მნიშვნელობას დებს, შეიძლება ქვეცნობიერადაც კი, ამიტომ მთავარია ცნებებზე მათი განსაზღვრის სისტემაზე შეთანხმების მიღწევა.

იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობენ პოლიტიკოსები და პუბლიცისტები, უნდა გავარკვიოთ თავად „თავისუფლების“ მნიშვნელობა. ამის დადგენა და გაანალიზება დანაშაულის გახსნის დროს სამხილის ძიების პროცესს უფრო წააგავს. თუ დანაშაულის მოტივი და სტრუქტურა უხსოვარი დროიდან შეისწავლებოდა თავად დამნაშავეების, კანონმდებლების და მწერლების მიერაც კი, რამაც დანაშაულის ორგანიზაციისა და განხორციელების მთელი რიგი პრინციპების დადგენის საშუალება მოგვცა (მაგალითად, ცნობილი სენტენციები, რომლებიც დამნაშავეთა ძიების პროცესს განსაზღვრავს – „ვის აწყობს დანაშაული“, „ეძიეთ ქალი“ და ა.შ.), ფასეულობებთან და მათთან დაკავშირებული სიტყვების მნიშვნელობა დღემდე გაურკვეველი და ეფემერულია. უფრო მეტიც, მათი ხშირად დემაგოგიური თვალსაზრისით ხსენება აუფასურებს ძირითად მნიშვნელობას და მხოლოდ პოლიტიკური იარაღების ფუნქციას სძენს. მაგალითად, დემოკრატია და „დემოკრატიის თამაშები“ (ან „დემოკრატიული თამაშები“), სამართლიანობა და არჩევნები, პლურალიზმი და პოლიტიკური თავაშვებულობა, კანონის წინაშე თანასწორობა და ყველას გათანაბრება, ხალხის ნება და დემაგოგიური პლურალიზმი, თავისუფლება და მისი ბოროტად გამოყენება.

აქედან გამომდინარე კი შეიძლება დავაკვნათ, რომ ერთი და იგივე სიტყვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცნება თუ წარმოდგენა ერთმანეთისგან

მკვეთრად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. თავისთავად სიტყვა „თავისუფლება“ შეზღუდვის, წინააღმდეგობის არსებობას უარყოფს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლების ძირეული მნიშვნელობა სოციალურად ავტონომიურია. ის მხოლოდ ადამიანური სურვილებისა და მისი პიროვნული შესაძლებლობების შეფარდებით განისაზღვრება. თუ პიროვნების სურვილები მისი შესაძლებლობებით არ იზღუდება, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ „ჭეშმარიტ თავისუფლებაზე“, რომლისთვისაც ნებისმიერი კომპრომისი მიუღებელია. ის ან არის ან არ არის, ანდა ხარისხობრივად სხვა ფორმას იღებს. ჭეშმარიტი თავისუფლების მიღწევა სისხლიანი შეტაკებების, ნათელი ოცნებების, თავგანწირული ბრძოლისა და თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით მიიღწევა, რომლისთვისაც არა მარტო თანამედროვენი, არამედ მთელი თაობები სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ. აქედან გამომდინარე, თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელია ხანგრძლივი ბრძოლის გამოცდილება, რომ მან უკვე გენეტიკური ინფორმაციის სახე მიიღოს. ეს ნათლად მტკიცდება ქართული სახელმწიფოს მაგალითზე. რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, მის მოსაპოვებლად ბრძოლა კი საქართველოში მხოლოდ ერთ ათეულზე ცოტა მეტს ითვლის, ამიტომ მისი სრულყოფილი სახით მიღება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მთავარია, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მას პოლიტიკოსების, კანონმდებლების და თავად ჟურნალისტების მიერ დაშვებული შეცდომების მიუხედავად, ვერაფერი შეაჩერებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ცნება „თავისუფლების ბოროტად გამოყენება“ პოლიტიკური და არა სამართლებრივი კატეგორიაა. თუ სიტყვის თავისუფლებას ვინმე საზოგადოებისთვის საზიანოდ იყენებს, დამნაშავე კონკრეტული პირები არიან და არა თავად თავისუფლება... ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს უზნეო საქციელის გამო თავისუფლება უკვე აღარ არსებობს, რითიც საზოგადოება დაზარალდება... სწორედ აქ არის საჭირო გამართული, დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ პროცესების დარეგულირებისა და მასშედის ეთიკური და სამართლებრივი ფუნქციონირების მთავარი გარანტი იქნება.

გარემო პირობების გავლენას ჭეშმარიტ თავისუფლებაზე შესაძლო წინააღმდეგობებამდე მივყავართ, რაც კონკრეტული მიზნებისა და ზრახვების მიღწევას კიდევ უფრო ართულებს. ამ შემთხვევაში თავისუფლების მოდიფიცირება ხდება. ადამიანის ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის

ყოველი სფერო სოციალურ ტრანსფორმაციას განიცდის, რის შედეგადაც ჭეშმარიტი თავისუფლება კერძო თავისუფლების სახეს იღებს. კერძო თავისუფლება კი არის თავისუფლება მრავლობით რიცხვში, რომლის ყოველი წარმომადგენელია: სამოქალაქო თავისუფლება სიტყვის, არჩევანის, სინდისის თავისუფლება; ეკონომიკური თავისუფლებები ვაჭრობის, მეწარმეობის თავისუფლება და ა.შ. სიტყვის თავისუფლება კი, სწორედ კერძო თავისუფლებათა რიცხვს მიეკუთვნება.

თავი III

სიტყვის თავისუფლების თანამედროვე ასპექტები

- პოსტსაბჭოთა მედია: თავისუფლება, თუ შეზღუდვის მითოლოგია

სახელმწიფოს თავისუფლებისათვის ბრძოლა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში სიტყვის თავისუფლებაზეც აისახა და თითქმის მისი იდენტური გახდა... ეს პროცესები ყველგან მეტ-ნაკლებად მტკივნეულად მიმდინარეობდა, მაგრამ შესაძლოა ითქვას, რომ არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, საერთო იდეოლოგიური და პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნების მედიასთან დაკავშირებით ორი მითი შეიქმნა, რაც მედიის თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის არსებობას გულისხმობს. სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც განსხვავებული პოლიტიკური კულტურებია, ეს ორი მითი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, მაგრამ საერთო პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მსგავსი ტენდენციები შეინიშნება. თავისუფლების მითის თანახმად, მასმედია იმდენად თავისუფალი და დამოუკიდებელია, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელი და მისაღებია განვითარებულ პოლიტიკურ კულტურებში. ამ მითს ძირითადად ქმნის და პროპაგანდას უწევს პოლიტიკური ოფიციალური და მისი ანგაჟირებული გარემოცვა.

ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობაა. მაგალითად, რუსეთში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელისუფლება და მისი გარემოცვა პრესის თავისუფლების არსებობას იმაზე მეტად ამტკიცებენ, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა მისი რეალურად არსებობის შემთხვევაში. ფაქტობრივად, ეს არის ხელისუფლების მხრიდან დიდი რუდუნებით შექმნილი მითი სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ. ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო თავისუფლებებზე გაკეთებული აქცენტი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერთა იმიჯი ძირითადად საგარეო ურთიერთობებზე დაყრდნობით იქმნება. ეს ნათლად ჩანს სოციალური გამოკითხვების, ფოკუს-ჯგუფების, საექსპერტო ინტერვიუების შედეგად. ბუნებრივია, რომ დღესდღეობით წარმოდგენილია საერთაშორისო

ავტორიტეტისა და რეპუტაციის შექმნა სიტყვის თავისუფლებისა და იმ ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გარეშე, რომლებიც ცხოვრებაში ამ თავისუფლების განხორციელებას ახდენენ. შესაბამისად, თუ პოლიტიკოსის იმიჯი ამ მხრივ შეილახება, მისი რეპუტაცია და პოპულარობა მკვეთრად დაეცემა. ეს კი განსაკუთრებულად მტკივნეული იქნება იმ ქვეყნისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა, საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ძალიან უფროსილდება ყველაფერს, რაც ქვეყნის იმიჯსა და რეპუტაციას ეხება.

მითი მედიის შეზღუდვის შესახებ კი, პირველის სარკისებურ ანარეკლს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მედია ყოველთვის ვიდაცის სამსახურში დგას. ის ხელისუფლებისა და ოლიგარქების მიერ არის ოკუპირებული და ყველა სხვა, ვინც სახელმწიფო და ეკონომიკური მმართველობის პრეტენზიას აცხადებს, მის მიერ დილექტანტად არის მონათლული. აქედან გამომდინარე, მედიის საშუალებით მართალი სიტყვის თქმა ფაქტობრივად შეუძლებელია. უდავოა, რომ ორივე მითი ისეთი მონდომებითა და რეალურ საფუძველზე დაყრდნობით იქმნება, რომ ხანდახან ისინი უკვე რეალობასთან ყოველგვარ კავშირს კარგავენ, ამიტომ მთავარია ორი ძირითადი ილუზიის მედიის თავისუფლებისა და შეზღუდვის შესახებ მითის დანგრევა...

ილუზორულია ის მოსაზრება, რომ გამოცემათა კომერციალიზაცია, ანუ რეკლამის ხარჯზე თვითდაფინანსებაზე გადასვლა, პრესას სრულ თავისუფლებას მოუტანს; გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ეს მხოლოდ დამოკიდებულების ფორმის შეცვლაა, განსაკუთრებით კი პოლიტიკისა და ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთკავშირის პირობებში; თუმცა სახელმწიფო პოლიტიკის დიქტატი ისეთივე ზომიერი უნდა იყოს, როგორც ფინანსურ-პოლიტიკური. კრიტიკულ სიტუაციაში კი, ფინანსური ზეწოლა შესაძლოა უფრო მკაცრი და უხეში აღმოჩნდეს.

კიდევ უფრო სახიფათოა ის ილუზია, რომ მედიის თავისუფლება ჩვენს პირობებში შეუძლებელია და მასმედიაზე ზეწოლის ეკონომიკური ბერკეტები მხოლოდ ფორმას უცვლის წინანდელ პარტიულ-იდეოლოგიურ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ დიქტატს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს გავლენა პრესაზე ყოველთვის ტენდენციურია და მას მონოპოლიზაციის რეალური შესაძლებლობები აქვს. ფინანსური დამოკიდებულება კი პირიქით, ნორმალურ პირობებში ყოველთვის

არამონოპოლიურია (დივერსიფიცირებულია). საუკეთესო შემთხვევაში ჟურნალისტები ხდებიან იმ სტრუქტურათა ქვეშევრდომები, რომელთა საქმიანობა მათ იდეურ შეხედულებებსა და პოლიტიკურ სინდისს არ ეწინააღმდეგება. ბაზარზე გასაყიდად გამოტანილია გამოცემათა მთელი სპექტრი და მოქალაქე იძენს იმ ანგაჟირებულ პრესას, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მის საკუთარ სპონტანურ ანგაჟირებასთან.

ის, თუ რამდენად რეალურია მედიის თავისუფლების შესახებ არსებული ესა თუ ის მითი და ილუზია, ეს ნათელი ხდება, მედიასა და სახელმწიფოზე, ასევე მედიის თავისუფალი ფუნქციონირების ეკონომიკურ ასპექტებზე საუბრისას.

ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობრივი მოსაზრებების მიუხედავად, ამ თემისადმი ინტერესი არ წყდება და სავარაუდოდ ის აქტუალობას არასდროს დაკარგავს, ვინაიდან თავისუფალ მედიას, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ პირობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული ფასეულობების შენარჩუნების, დაცვისა და ზოგადად სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში.

- **მასმედიაზე ზემოქმედების ბერკეტები და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება**

ბეჭდვითი სიტყვა წარმოშობის დღიდანვე ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება იყო. გაზეთების შემდეგ რადიოს, კინემატოგრაფიისა და ბოლოს ტელევიზიის გაჩენასთან ერთად, ზემოქმედების ხარისხი გამუდმებით იზრდებოდა. ბევრი მკვლევარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებდა, მაგრამ ეს მოსაზრება გარკვეულ შემთხვევაში საკამათო ხდება. იმისათვის რომ არსებობდეს „მეოთხე ხელისუფლება“, აუცილებელია მისი დანარჩენი სახეობების საკანონმდებლოს, აღმასრულებელისა და სასამართლოს დამოუკიდებლად არსებობაც, რაც მხოლოდ მმართველობის დემოკრატიული ფორმისთვის არის დამახასიათებელი. დიქტატურის პირობებში კი, ხელისუფლების ყველა ფორმა ერთ ინსტანციაში თავმოყრილი. მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის იყო და

დღესაც არის ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების იარაღი იმ პირთა ხელში, რომლებიც მათ ფლობენ და აკონტროლებენ. ამას მტკიცება არ სჭირდება. ამავე დროს უდავოა, რომ მასმედიის ზემოქმედება მსმენელის, მაყურებლის, მკითხველის განწყობაზე, ცნობიერებაზე იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც თავად ეს ადამიანები შესაძლოა მოექცნენ ამა თუ იმ ზემოქმედების ქვეშ. ამ თეზისის დეტალების გარკვევა კი სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროა; მაგრამ თუ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს სხვანაირად ჩამოვაყალიბებთ, იმ აზრამდე მივალთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის, ყველა დროსა და ქვეყანაში მათი მფლობელებისა და დამფინანსებლების იდეების გამტარებლები იყვნენ და შესაბამისად, მათ მოსაზრებებსა და სურვილებს გამოხატავდნენ. ერთპარტიული სისტემის პირობებში მასმედია პარტიული დიქტატურის რუპორი იყო, რის ნათელ მაგალითსაც უახლოეს წარსულში კომუნისტური რეჟიმი წარმოადგენდა.

სახელმწიფო აპარატის, ხელისუფლების შესაზღუდად, კორუფციის აღმოსაფხვრელად და მფლობელებზე მედიის დამოკიდებულების შესასუტებლად, კანონმდებლებმა ძალიან კარგი საშუალება გამოიგონეს, რაც მართვის უფლების შეზღუდვასა და განაწილებას გულისხმობს და რასაც ასევე მედია მენეჯმენტის სფეროს განვითარებაც ემატება. აქედან გამომდინარე, ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემოკრატიზაციისთვის, აუცილებელია სახელმწიფო კონტროლის შესუსტება. მკვლევარ იური ამოსოვის აზრით, ამ მიზნის განსახორციელებლად რამდენიმე საშუალება არსებობს, რაც შესაძლოა, ასევე გასათვალისწინებელია მფლობელებზე მასმედიის დამოკიდებულების დასაბაღანსებლადაც:

- აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სტრუქტურის რადიკალური შეცვლა: სახელმწიფო უნდა ფლობდეს მხოლოდ ერთ ტელე-რადიოარხს და ერთ ბეჭდვით ორგანოს. რეგიონალურ ხელისუფლებას ასევე მხოლოდ ერთი ტელეარხი, რადიოსადგური და ბეჭდვითი ორგანო უნდა ჰქონდეს, მაგრამ მათ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების უფლება უნდა მიანიჭონ;
- მთელი კომერციული რეკლამა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის არასახელმწიფო საშუალებებში უნდა განთავსდეს. რაც შეეხება სახელმწიფო რეკლამას, ის კონკურენციის პირობების მკაცრი დაცვით,

მასობრივი ინფორმაციის არასახელმწიფო საშუალებებმა უნდა გამოქვეყნონ;

- ხელისუფლებას უნდა ჩამოერთვას სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების საშუალებით, კომერციული, ტელე, რადიოარხებისა და ჟურნალ-გაზეთების შესყიდვის საშუალება;
- აუცილებელია სახელმწიფოს მიერ მედიის დამოუკიდებელი საშუალებების დაფინანსების აკრძალვა;
- დამოუკიდებელი მასმედიისთვის უნდა დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები:
 - ✓ ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ შექმნილ საწარმოთა (იგულისხმება ჰოლდინგები, რომლებიც ტელე, რადიოარხებსა და ჟურნალ-გაზეთებს ფლობენ) აქციების საერთო რაოდენობა 20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს;
 - ✓ სატელევიზიო არხის მფლობელების – იურიდიული ან ფიზიკური პირის საკუთრების საერთო რაოდენობა ამ კომპანიაში 25 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, ბეჭდვით ორგანოებში 30 პროცენტს, ხოლო რადიოარხებში 35 პროცენტს;
 - ✓ საკუთრების განაწილების დროს უნდა გამოვიყენოთ ე.წ. „ჯვარედინი დირექტორატის“ მეთოდი გავარკვიოთ, აკონტროლებს თუ არა მოცემული ფიზიკური ან იურიდიული პირი მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს და დავადგინოთ მისი ნათესაური კავშირები;
 - ✓ ხელისუფლების წარმომადგენელთა და პარლამენტის წევრთა საკუთრების საერთო რაოდენობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში 5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ მათი ნათესაური კავშირები და ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები;
 - ✓ ნებისმიერ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 20 პროცენტს ჟურნალისტები უნდა შეადგენდნენ;
 - ✓ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში არ ფიგურირებენ, ტელე, რადიოგადამცემებისა და ანძის დადგმის უფლება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ კომერციული მიზნით. სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ანძისა და გადამცემის იჯარით გაცემა კონკურსის საფუძველზე უნდა მოხდეს (АМОСОВ, 2001).

ამ შემთხვევაში მიუღებელია იური ამოსთვის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო მხოლოდ ერთ მედია საშუალებას უნდა ფლობდეს, ვინაიდან

პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციებიდან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მედია საკუთრება საერთოდ არ უნდა ჰქონდეს. ზემოთ მოცემულ შეზღუდვათა დაკანონება დემოკრატიისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მედიის ორგანოთა ფინანსურ მდგომარეობას გააუარესებს. ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით კი, შემცირდება მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი. რამდენად არსებობს იმის საშიშროება, რომ მედიის თავისუფლების დასაცავად, მისი ფინანსური დამოუკიდებლობის გასაზრდელად და სახელმწიფოს კონტროლის შესასუსტებლად შემუშავებული სისტემა უკუშედეგს გამოიღებს და თავად მედიის კონტროლის იარაღი გახდება?

რეალობიდან გამომდინარე, პრობლემის მოგვარების უნივერსალური მეთოდი არ არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ მედიის თავისუფალი ფუნქციონირების, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მყარ გარანტიას მხოლოდ შესაძლოა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად შექმნილი სამართლებრივი ბაზა წარმოადგენდეს.

სახელმწიფოს მიერ მედიის დერეგულირების საუკეთესო მაგალითს 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქართულ მედიაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოადგენს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მედია სამართლის სფეროს შეეხო. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია 2004 წელს მიღებული „კანონი მაუწყებლობის შესახებ“, ასევე ამავე წელს მიღებული „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. 2003 წლის შემდეგ სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა და სახელმწიფომ თავად თქვა უარი თავის მედია საკუთრებაზე საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმზე“, ასევე, გაზეთებზე „საქართველოს რესპუბლიკა“ და „სვობოდნაია გრუზია“. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც 2004 წლიდან მთავრობამ უარი თქვა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან პერიოდული გამოცემების დაფინანსებაზე, გაზეთები „გურჯისტანი“ (აზერბაიჯანულ ენაზე), „ვრასტანი“ (სომხურ ენაზე) ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც უმცირესობათა ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ლიტერატურის განვითარების მიზნით სახელმწიფოს ხელშეწყობით გამოდის (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, 2008).

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის რეფორმირების ფარგლებში, მაუწყებელს ტელე-რადიო ცენტრის ქონების ნაწილი გადაეცა. კანონის სამუშაო ვერსიის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მფლობელობაში თბილისის

სატელევიზიო ანბაც უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს ინიციატივა იმ მოტივით გასაჩივრდა, რომ ამით საზოგადოებრივ მაუწყებელს კონკურენტებთან შედარებით არასამართლიანი უპირატესობა მიენიჭებოდა.

ტელე-რადიო ცენტრს სამაუწყებლო კომპანიებისთვის სატელევიზიო ანბისა და გადამცემების გამოყენებისთვის „არადისკრიმინაციული“ ტარიფის შეთავაზება მოეთხოვება. ტელე-რადიო ცენტრი თბილისის სატელევიზიო ანბის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით 50 ანბის მფლობელია.

კანონი ასევე განსაზღვრავს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის პასუხისმგებლობებს ლიცენზიების გაცემის დროს და ასევე იმ პირობებს, რომელთა დაცვითაც ისინი უნდა ფუნქციონირებდნენ. კომისია პრეზიდენტის მიერ დანიშნული ექვსი წევრისაგან შედგება და პასუხისმგებელია ლიცენზიების გაცემის პროცესის კანონიერებაზე. კომისიის ბიუჯეტი ლიცენზიის მფლობელთა შემოსავლების ერთი პროცენტით ივსება. მისი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას სამაუწყებლო კომპანიებს შორის კონკურენციის გაზრდა და საავტორო, სარეკლამო და მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობის განმტკიცება წარმოადგენს.

ლიცენზირების პროცესის გამჭვირვალობა და კანონიერება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მედიის თავისუფალი ფუნქციონირებისათვის, ვინაიდან გასულ წლებში სწორედ ლიცენზიის დროებითი შეჩერება ან საერთოდ ჩამორთმევა ხელისუფლების ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა მედიაზე ზემოქმედების მოსახდენად.

საქართველოს ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება მედიის მიმართ ნათლად ჩანს საქართველოს პრეზიდენტის იმ განცხადებიდან, რომელიც მან 2004 წლის ივნისში სახელმწიფოსა და ტელე-რადიო ცენტრის მიმართ მედიის დავალიანებებთან დაკავშირებით გააკეთა. პრეზიდენტის თქმით, ის არ დაუშვებდა, რომ სახელმწიფოს მიმართ დავალიანებების გამო საქართველოში რომელიმე ტელეკომპანია გაკოტრებულიყო და გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ შემუშავებულიყო დავალიანების გადავადების გეგმა, რათა სახელმწიფოს წინაშე ვალს რომელიმე ტელეკომპანია არ დაეზარალებინა (Robertson & Jasinski, 2006). ეს სერიოზული ეკონომიკური ბერკეტი, რომელიც ხელისუფლებას ხელთ ეპყრა, რა თქმა უნდა, არ იქნა გამოყენებული მედიის წინააღმდეგ, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს პოსტრევოლუციურ საქართველოში მედიასა და სახელმწიფოს

შორის ურთიერთობებზე მსჯელობისას. ამ საკითხს და ასევე მედიაზე ზემოქმედების სხვა ბერკეტებს უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

- **სიტყვის თავისუფლების ეკონომიკური ასპექტები**

სიტყვის თავისუფლების პრობლემატიკაზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მასმედიის ფუნქციონირებაზე ეკონომიკის ზეგავლენის საკითხს ენიჭება. ბოლო დროს გავრცელებული შეხედულებების თანახმად, ჟურნალისტიკა მომგებიანი ბიზნესი უნდა იყოს და სიტყვის თავისუფლების ერთ-ერთი მაჩვენებელი სწორედ ის არის, თუ რამდენად შემოსავლიანია მედია საშუალება. მაგრამ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლება, როდესაც მედია ორგანოს დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია. საპირისპირო ობიექტური მოსაზრების თანახმად კი, მთავარია ჟურნალისტის იდეური და შემოქმედებითი თავისუფლება, რადგან სიტყვის თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ მასმედიის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას.

სიტყვის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მედია საშუალებებს მონოპოლიურად არ ფლობს სახელმწიფო. რაც შეეხება იმას, რომ დასავლეთში მედია მსხვილი მონოპოლიების და კომპანიების ხელშია, ეს იმით აიხსნება, რომ ჟურნალისტიკა მომგებიანი ბიზნესია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მასმედიის ობიექტურობა მისი მფლობელის ინტერესებს არ უნდა ეწირებოდეს. თუ ობიექტურობა არ არის დაცული და ჟურნალისტი ტენდენციურია, მაშინ სიტყვის თავისუფლება შეზღუდულია.

„ტრაფალგარ ჰაუზინგესტმენტის“ ერთ ერთმა მფლობელმა ვმეტიუსმა, რომელმაც 1977 წელს „ბივერბრუკ ნიუსპეიპერის“ საგაზეთო იმპერია შეისყიდა. განაცხადა: „ჩვენი ორგანიზაცია კომერციულია. ეს არის საინფორმაციო ბიზნესი და ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მოგება გვქონდეს“ (Пронин, 1980, стр.10); თუმცა მხოლოდ მოგებაზე და სენსაციაზე მუშაობა დაუშვებელია და ეს გარკვეულ სიმახინჯეებსაც წარმოშობს. კერძო ინიციატივის არსებობა კი ხელს უწყობდა და დღესაც ხელს უწყობს ადამიანთა ჯგუფის, თუ ორგანიზაციის მიერ პერიოდული ორგანოს დაარსებას და თუნდაც რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების ქადაგებას.

სხვადასხვა კომპანიის შესყიდვა და მსხვილი საგაზეთო მონოპოლიების შექმნა დასავლეთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არის მასმედიის განვითარების თანამედროვე ტენდენცია, რაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთში პრესა თავისუფალი არ არის. ვერავინ ვერ დაიწყებს იმას მტკიცებას, რომ მაგალითად, რუპერტ მერდოკის იმპერიაში შემავალი გაზეთები თავისუფალი პრესის პრინციპებს დალატობენ, ერთი რამ კი უდავოა, რომ მედიის აბსოლუტური თავისუფლება მიუღწეველია, ისევე როგორც მიუღწეველია აბსოლუტური თავისუფლება, ვინაიდან მას ეთიკური და ზნეობრივი კატეგორიები ზღუდავს...

ყოველივე ზემოთ თქმული არ უნდა იყოს ისე გაგებული, თითქოს დასავლეთში ჟურნალ გაზეთების შესყიდვა და მსხვილი მონოპოლიების შექმნა სპონტანურად მიმდინარეობს. ბევრ ქვეყანაში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ პროცესებს არეგულირებს. მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში მიღებულია მკაცრი კანონები იმ საქმიანი გარიგებების შესახებ, რომლებიც ერთი პირის ხელში პრესის კონცენტრაციას იწვევენ: ავსტრალიაში, კანადაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ ში არსებობს შეზღუდვები მასმედიის სხვადასხვა სახეობის მფლობელობის შესახებ. საფრანგეთში აკრძალულია უცხოელების მიერ მასმედიის კომპანიათა აქციების 20 პროცენტზე მეტის შესყიდვა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა იდეოლოგიამ კრაზი განიცადა, მედიის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. დამკვიდრდა აზრთა სხვადასხვაობა, ბოლო მოეღო ერთი პარტიის დიქტატს, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პირობებში ჟურნალისტიკაში ახალი პრობლემები გაჩნდა და პოლიტიკური თავისუფლების მიღების შემდეგ მასმედია ბაზრის მოთხოვნების წინაშე აღმოჩნდა. წარმოიშვა და გამწვავდა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის პრობლემა.

როგორც რუსი მედია მკვლევარი ე.ვოროშილოვი (1999) აღნიშნავს, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფინანსური თვალსაზრისით მასმედიის ფუნქციონირების შემდეგი მოდელები შეინიშნება:

- ჩადებული საწყისი კაპიტალის მიხედვით: სახელმწიფო, კერძო კაპიტალზე დამოკიდებული, დამოუკიდებელი, ერთობლივი (რედაქცია და ხელმძღვანელი სტრუქტურა);

- ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება, ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, ჰოლდინგი, საგამომცემლო სახლი, კონცერნი (გვ.9).

მასმედიის ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო და კომერციული საწარმოების საქმიანობის რეკლამირება გახდა, რამაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მათზე არაპირდაპირი დამოკიდებულება გამოიწვია. ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციები დღეს ყველაზე ნათლად რუსეთის ფედერაციაში შეინიშნება.

„მოსკოუ ტაიმსის“ რედაქტორის დერკ საუერსის აზრით, „რუსეთის ჟურნალისტიკას, რომელიც ათწლეულების მანძილზე კომუნისტური პარტიის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 90-იანი წლების დასაწყისში ოქროს ხანა დაუდგა. უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მცდელობების მხილება, ტაბუდადებული თემების მოსპობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუმცა ფინანსური სიძნელებები ისევე ზღუდავს მასმედიას, როგორც ძველი პარტიული კონტროლი“ (Сайерс, 1999, 8 июля, გვ.5).

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ეკონომიკური კრიზისის პირობებში იზღუდება, როდესაც პრესა მსხვილი ფინანსური დაჯგუფებების გავლენას განიცდის და მათი ინტერესების გამომხატველი ხდება. იგივე შეიძლება ითქვას მედიის სხვა საშუალებებზეც. თუ კომუნისტურ პერიოდში სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მონოპოლიურად ფლობდა და სიტყვის თავისუფლება ხელისუფლების კონტროლის გაუქმებასთან იყო გაიგივებული, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთი ცენზორი მეორემ შეცვალა. რედაქციებს, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სახსრები და საკმარისი სუბსიდიები სახელმწიფოსგან, დახმარებისათვის კომერციულ სტრუქტურებს მიმართავენ, რაც ასეთ პირობებში სავსებით ბუნებრივია. შედეგი კი ის არის, რომ ხშირად მათი დაქვემდებარების ქვეშ ექცევიან. ისინი კი შესყიდულ გამოცემას პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და გარკვეულ პირებზე ზეწოლის საშუალებად იყენებენ.

რუსი მედია მკვლევარი ვლადიმერ ვოროშილოვი (1999) ბოლო წლებში პრესის განვითარების ეტაპებზე საუბრისას „ობშჩაია გაზეტას“ დამფუძნებლის იგორ იაკოვლევის მოსაზრებას იშველიებს და აღნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით სამი ეტაპის გამოყოფა შეიძლება: „პირველია საჯაროობის პერიოდი (1985-1992 წწ.), როდესაც მასმედია კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სტრატეგიული როლი შეასრულა. მეორეა სიტყვის თავისუფლების ეტაპი (1992-1996 წწ.), როდესაც ყველაფერზე წერის შესაძლებლობასთან ერთად ეკონომიკური კრიზისი დადგა. ბანკირებს, რომლებსაც ადრე დარბაზში არ უშვებდნენ, ახლა ფინანსურ დახმარებას თხოვდნენ. მათ არ დააყოვნეს, ისარგებლეს მდგომარეობით და ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა დაიწყეს. მესამეა მსხვილი ფინანსური დაჯგუფებების მიერ მასმედიის განაწილების ეტაპი, რომელიც თამაშის წესების და ჟურნალისტის ზნეობრივი კოდექსის იგნორირებით გამოირჩევა“ (გვ.220).

ფილოსოფოსი გიგი თევზაძე დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში „ეთიკური ნორმები ქართულ მედიაში არსებული ვითარება და შესაძლებელი მომავალი“ (2003) პოსტსაბჭოთა ქართული მედიის განვითარების ეტაპებზე საუბრისას სამ ძირითად ფაზას გამოყოფს და აღნიშნავს, რომ საუკუნეთა მიჯნაზე ბეჭდვურმა მედიამ ეტაპობრივად სამოქალაქო სექტორიდან ბიზნეს გარემოს გავლით სახელისუფლებო სივრცეში გადაინაცვლა: „პრესამ დააღწია თავი კომუნისტური რეჟიმის დიქტატს და სოციალური ნიშა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამოქალაქო საზოგადოებაში იპოვა. ეს პერიოდი (1990-1998) გამოირჩევა დემოკრატიული პრესის განვითარების ხელშემწყობი გრანტებით, ტრენინგებით. როგორც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ, ასევე დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ბეჭდვითი მედია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი გამხდარიყო“ (გვ.21-22). ამ პროცესების შედეგებზე საუბრისას კი ავტორი აღნიშნავს: „97-98 წლებში მივიღეთ მცირეტირაჟიანი, მაგრამ დემოკრატიული პრესა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა დემოკრატიულ ღირებულებებს და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო... გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების სიმცირიდან, შეუძლებელიც იყო მეტი ტირაჟის მოლოდინი გვექნოდა. ამიტომ აქტუალურად იქცა ბეჭდვითი მედიის ბიზნესად ქცევის საკითხი. დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღევანდელი

საქართველოსთვის არის ის, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ბიზნესის გამოყვანა ხელისუფლების გარემოდან და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად ქცევა... ბეჭდვითი მედიის განვითარების ეს პროცესი საგრანტო დაბანდების შემცირებით და პოლიტიკური (პოლიტიკოსების) კაპიტალის გაზრდით გამოიხატა... სამოქალაქო საზოგადოების გარემოდან ბიზნესის გარემოში მოხვედრილი ბეჭდვითი მედია სახელისუფლებო სივრცეში აღმოჩნდა” (გვ.24).

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „არტიკლ 19” (ARTICLE 19) სამხრეთ კავკასიის რეგიონში მედიის განვითარების სამ ძირითად ეტაპს გამოყოფს და პირველს (1980-იანი წლების ბოლოდან 1992 წლამდე) ჟურნალისტიკის „ოქროს ხანას” უწოდებს, რომელიც ადრეული დემოკრატიული ტრანსფორმაციით, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისითა და მედიის თავისუფლების პირველი სამართლებრივი გარანტიების შექმნით აღინიშნებოდა. მეორე პერიოდი (1993-2002) კი, მედიის „თავისუფალი ხმის” შემცირებით, სხვადასხვა პოლიტიკურ ალიანსთან მისი დაახლოებითა და მზარდი ცენზურით გამოირჩეოდა, ხოლო მესამე პერიოდი (2003-2005) თვითცენზურითა და ოლიგარქთა კონტროლით (ARTICLE 19, 2005, გვ.37).

როგორც უკვე აღინიშნა, დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, მედიამ დამოკიდებულების ფორმა შეიცვალა, ანუ პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებული საინფორმაციო საშუალებები ეკონომიკურად დამოკიდებული აღმოჩნდნენ დამფინანსებლებზე, მფლობელებზე და ყველა იმ კერძო პირსა თუ ორგანიზაციაზე, რომელიც მათ ფინანსურად უზრუნველყოფდა; ხშირ შემთხვევაში კი, საბოლოოდ ყველა მისი გავლენის ქვეშ მყოფ მედია საშუალებას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. აი, რას წერდა 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის მთავარი კონსულტანტი გია ლომაძე: „დამეთანხმებით ალბათ, რომ ძნელია თავისუფალი უწოდო მედიის იმ საშუალებას, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისგან, ბიზნესჯგუფისგან ან ცალკეული პირისგან რომ ფინანსდება. რა თქმა უნდა, „ლამაზი თვალებისა” და „წმინდა ალტრუიზმის” გამო დღეს არავინ აძლევს ფულს ვინმეს გადამხდელი იხდის გარკვეული მიზნით, გარკვეული მიზნის მისაღწევად და რადგან მასმედია საზოგადოებაში გავლენის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა, ამ საშუალებით მიღწეული გავლენა ხალხში, დემოკრატიულ ქვეყანაში, საბოლოოდ პოლიტიკურ ძალაუფლებად იქცევა” (ლომაძე, 2002, 13 მარტი, გვ.4-5).

საქართველოში საინფორმაციო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად შესაძლოა ბაზრის სიმცირე დავასახელოთ, რაც ინვესტიციების განხორციელების ალბათობას ამცირებს. მაგალითად, ბოლო წლებში პოლიტიკური მიზნებისთვის შექმნილი არსებული მედიაკომპანიების („ომეგა-ჯგუფი“, „იმედი“) საქმიანობამ და პოლიტიკური მოვლენების შედეგად მათი არსებობის შეწყვეტამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ძლიერი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო ჟურნალ-გაზეთების მომგებიან ბიზნესად გადაქცევა. მხოლოდ ტირაჟისა და რეკლამის საშუალებით არათუ მოგების მიღება, არამედ არსებობის შენარჩუნებაც ქართულ სინამდვილეში რთულ ამოცანად რჩება. მცირედი სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, აი რას დავინახავთ: 1897 წელს ქართულ გამოცემათა საშუალო ტირაჟი 3000 აღწევდა, ხოლო ქვეყნის მოსახლეობა 1919,2 ათასს შეადგენდა. მას შემდეგ მოსახლეობა თითქმის სამჯერ გაიზარდა, 1997 წელს კი ბეჭდვითი მედიის საშუალო ტირაჟი კვლავ 3000-ს შეადგენდა (ბოკერია, თარგამაძე და რამიშვილი, 1997). ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს, რაზეც უფრო მოგვიანებით გვექნება საუბარი, მაგრამ დასკვნის სახით შესაძლოა აქვე ითქვას, რომ მედიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი ეკონომიკური ასპექტების განვითარების გარეშე, ინფორმაციის საუკუნეში დაუშვებელია მედიის ფუნქციონირება და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ფინანსურად დამოუკიდებელი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მედია კვლავ შესაძლოა დადგეს სიტყვის თავისუფლების პრობლემის წინაშე, რადგან... დამფინანსებელი განსაზღვრავს გამოცემის ტონსა და მიმართულებას, რითიც ჟურნალისტები კიდევ ერთი დეონტოლოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. მეორეს მხრივ კი, სრულმა დამოუკიდებლობამ (პოლიტიკურმა თუ ფინანსურმა) და სახსრების სიმცირემ თვითგადარჩენის მიზნით შესაძლოა გამოიწვიოს გამოცემათა ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ ბიზნეს-დაჯგუფებასთან ალიანსი, რაც ჟურნალისტებისთვის ასევე სხვა სახის დეონტოლოგიურ პრობლემას ქმნის.

სახსრების სიმცირით გამოწვეული ხარისხის და შესაბამისად პროფესიონალი კადრების სიმცირე კი, წლების მანძილზე ქმნიდა თანამედროვე ქართული მედიის რეალობას.

ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ (Freedom House) 2007 წლის დასკვნაში წერია, რომ ქვეყნის სიმცირის მიუხედავად, საქართველოში ელექტრონული და

ბეჭდური მედია გამოცემები უხვად არის წარმოდგენილი. ქვეყანაში ფუნქციონირებს 200 დამოუკიდებელი გაზეთი და 8 დამოუკიდებელი თუ კერძო საკუთრებაში მყოფი ტელეკომპანია, რომელთაგან 5 მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მაუწყებლობს. გაზეთების უმეტესობა არ არის ფინანსურად მდგრადი, თანაც 2007 წლის იანვრიდან ბეჭდური მედია აღარ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით (The Freedom House, 2007).

როდესაც მედიის დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასმედიის დამოკიდებულება კერძო კაპიტალზე რეკლამის საშუალებითაც შეიძლება. ეს იმ შემთხვევაში ხდება თუ შემოსავლის ძირითადი წყარო რეკლამაა, შემოსული თანხები კი მცირეა. ბუნებრივია, რომ რედაქციებმა უნდა გაითვალისწინონ დამკვეთის გემოვნება, შეხედულებები, პრეტენზიები.

რეკლამა მარკეტინგული კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა. ბოლო წლებში ატეხილი სარეკლამო ბუმი კი, მარკეტინგის განვითარების, კომერციული სტრუქტურების ზრდისა და საწარმოთა პრივატიზაციის შედეგია. საინფორმაციო ბაზრის მკაცრი კონკურენციის პირობებში გაზეთის რედაქცია იძულებულია არა მარტო ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხზე, არამედ მაქსიმალური მოგების მიზნით, ამ პროდუქციის რეალიზაციაზე იზრუნოს. ის გამოცემები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მარკეტინგს, შედარებით იოლად უმკლავდებიან ფინანსურ პრობლემებს. სირთულეების თავიდან ასაცილებლად მარკეტინგი საუკეთესო საშუალებაა მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მარკეტინგული საშუალებებიდან ყველაზე ხშირად რეალური აუდიტორიის გამოკვლევა და პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა გამოიყენება. მარკეტინგთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეული გამოთვლების ჩატარება, რომლის მიზანია შემოსავალ-გასავლის პროგნოზირება. რედაქციისათვის ეს შეიძლება იყოს აუდიტორიის მოცულობისა და გამოცემის ტირაჟის დადგენა. სწორედ ამიტომ, გამოცემათა ფინანსური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად მარკეტინგულ კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

2001 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის სამწლიანი პროგრამის „პრომედია-საქართველოს“ ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა, მაგალითად, მედია-მარკეტინგის შესწავლის პროექტმა გამოავლინა, რომ გაზეთების გაუსადებლობა საქართველოში მხოლოდ ეკონომიკური პრობლემებით არ არის განპირობებული. ამ კვლევის მიზანს საზოგადოების მიერ გაზეთების კითხვისადმი ინტერესი და ბეჭდვური მედიის მიმართ მისი დამოკიდებულების გარკვევა წარმოადგენდა. ამ მიზნით გამოკითხულ იქნა 1, 695 ადამიანი, ასევე 77 სარეკლამო სააგენტო და კომპანია, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ მკითხველის მოზიდვა „ნაყიდი“ მასალებით შეუძლებელი იყო; გაუსადებლობასა და დაბალ ტირაჟს კი, უპირველეს ყოვლისა, ყოფით, მკითხველისთვის საინტერესო ყოველდღიურ და ცხოვრებისეულ საკითხებზე არასაიმედო და არასანდო ინფორმაცია განაპირობებდა. ეს შედეგები გამომცემლებისთვის, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ მან აჩვენა, რომ საქართველოში უდავოდ არსებობდა მკითხველი აუდიტორიის მოთხოვნა რომ ობიექტური, გადამოწმებული ინფორმაცია მიეღო და ასევე რეკლამის დამკვეთთა მოთხოვნა, რომ სწორედ ასეთი აუდიტორია მოეცვა (International Center of... (ICPJ), 2001). კვლევის შედეგებმა ასევე ნათელი გადახა, რომ საქართველოში მედია მენეჯმენტის მხრივ სავალალო მდგომარეობაა.

ურთიერთდამოკიდებულების პრინციპიდან გამომდინარე, დაბალი ხარისხი და არაპროფესიონალიზმი, ფინანსურ პრობლემებს განაპირობებს, ხოლო არასწორი მენეჯმენტი და ბიზნეს დაგეგმარება კი, თავის მხრივ წარუმატებლობას, მკითხველის დაბალ ინტერესს, უხარისხობასა და შესაბამისად, ისევ და ისევ არაპროფესიონალიზმს. ამ ურთიერთდაგაჯაჭვებული პრობლემებიდან გამომდინარე კი თამამად შეიძლება დავასკვნად, რომ მხოლოდ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი მედიის საერთო სურათის გაუმჯობესება, ვინაიდან ერთი პრობლემა მეორეს გამომწვევი და განმსაზღვრელია.

1999 წელს, როდესაც პროექტის განხორციელება დაიწყო, საქართველოში არ არსებობდა არც ჟურნალისტთა და არც გამომცემელთა ასოციაციები მათი ტრადიციული გაგებით, რაც მედიის განვითარების კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა, ვინაიდან გამომცემელთა მიერ შექმნილი ასოციაციები ძირითადად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ, კერძოდ, სამთავრობო აქტებს, საგადასახადო პოლიტიკას და ა.შ. მაშინ, როდესაც

ჟურნალისტთა ასოციაციები აქცენტს მედიის თავისუფლებისა და პროფესიული განვითარების საკითხებზე აკეთებენ. თავად გამომცემლები კი უზუღვებელყოფდნენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების, რეკლამის, მარკეტინგისა და ბიზნეს დაგეგმარების აუცილებლობას, რამაც ისინი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. ერთმანეთთან დაპირისპირებულები კი, პოლიტიკური სპონსორების გულის მოგებას ცდილობდნენ, ვინაიდან ეს მათი დაფინანსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა (ICPJ, 2001).

საგულისხმოა, რომ ამ პროექტში მომუშავე უცხოელი ექსპერტები რეკომენდაციების სახით ამბობდნენ, რომ მედია სფეროში განხორციელებული ყველა შემდგომი პროგრამა რეალური წარმატების მისაღწევად მედია მენეჯმენტის, მარკეტინგის, რეკლამისა და ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებზე უნდა მუშაობდეს, რასაც თან უნდა ახლდეს ტრენინგები ჟურნალისტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად და კეთილსინდისიერ რეპორტიორთა კადრების აღსაზრდელად.

დაახლოებით მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული 2002 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საერთაშორისო კვლევისა და გაცვლითი პროგრამების (IREX) ბაზაზე განხორციელებული სამწლიანი „მედია ინოვაციების“ პროგრამის შეფასებით დოკუმენტში. პროგრამის ექსპერტების აზრით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობები შეიქმნა, ქართული მედია კი, (IREX-ისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით), დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს წინ ბაზრის პრინციპებზე ორიენტირებული მედიის განვითარების თვალსაზრისით (McClear & Koenig, 2004). მიუხედავად ასეთი შეფასებისა, მედიის მდგრადობის ინდექსის თანახმად (რაც USAID-ისა და IREX-სთვის მედიის საერთო განვითარების შეფასების საშუალებას წარმოადგენს), ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში ქართულ მედიას ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები აქვს და სწორედ ამიტომაც მას ამ კატეგორიაში „არამდგარდი“ სტატუსი მიენიჭა. ზემოთ ნახსენები დოკუმენტში კი ასევე წერია, რომ პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს მედია მენეჯერებისთვის დახმარების გაწევა წარმოადგენს რომ მათ საგაზეთო ბიზნესი უფრო წარმატებული, მომგებიანი და მდგრადი გახადონ. ამ მიზნის მიღწევის საშუალებად კი ექსპერტები მენეჯერთა, რედაქტორთა და ჟურნალისტთა გადამზადებას

მიიჩნევენ, რომ მათ აუდიტორიისა და მკითხველის ინტერესების შესასწავლად და საგაზეთო საქმის განსავითარებლად მარკეტინგული კვლევის შედეგები მუდმივად გამოიყენონ (McClea & Koenig, 2004). მაგალითად, „ინტერმედია/ოუ-ეს სი“ 2006-ის (Intermedia/OSC) კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში გაზეთებს ყოველკვირეულად მხოლოდ მოსახლეობის 29 პროცენტი კითხულობს (Robertson & Jasinski, 2006). IREX-ის 2005 კვლევის მონაცემებით კი, საქართველოში ტელევიზია ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს, შესაბამისად სამაუწყებლო კომპანიები მოსახლეობის დაახლოებით 75-90 პროცენტს ფარავენ. გაზეთებისადმი ინტერესი დაბალია, რაც გარკვეულწილად მათი ფასით არის განპირობებული (IREX Media ... (MSI), 2005).

ქართული გაზეთების შემოსავლის წყაროს გაყიდვებიდან მიღებული თანხები და რეკლამა წარმოადგენს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დაახლოებით შემოსავლების 90 პროცენტს შეადგენს, მაგრამ გაზეთები საქართველოს სარეკლამო ბაზრის მხოლოდ 10 პროცენტის მოზიდვას ახერხებენ. ტელევიზიას კი, სარეკლამო ბაზრის ღირებულების 60 პროცენტი უკავია (BCG Research... 2005).

2003 წლის შემდეგ საქართველოში სამაუწყებლო კომპანიების სარეკლამო ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა. USAID-ის მონაცემებით (რომელიც სატელევიზიო არხების პროექტს ახორციელებდა), 2001 წლიდან სარეკლამო ბაზარი 3,5 მილიონი აშშ დოლარიდან 2004 წელს 7 მილიონამდე გაიზარდა და 2006 წელს 10.5 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2007 წელს – 13.5 მლნ. დოლარი (Robertson & Jasinski, 2006).

ის, რომ სამაუწყებლო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამას თავად კომპანიათა მფლობელებიც აღიარებდნენ, მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს იყო ფინანსური კეთილდღეობისაგან: „საქართველოში რამდენიმე სატელევიზიო არხი ტექნიკურად კარგად არის აღჭურვილი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონალ სამაუწყებლო კომპანიებს ამჟამად აქვთ შესაძლებლობა, რომ მოგებაზე ორიენტირებული მენეჯმენტითა და გაზრდილი რეკლამით კარგი შემოსავალი მიიღონ, მათი სახსრები საკმარისია მხოლოდ იმისთვის, რომ აუცილებელი აპარატურა შეიძინონ“, – განაცხადა ბორჯომის სატელევიზიო კომპანიის დირექტორმა და საქართველოს რეგიონალური სამაუწყებლო კომპანიების ასოციაციის თავმჯდომარემ ტრისტან ცუცკირიემ (IREX MSI, 2005).

აღსანიშნავია, რომ USAID-ის რეიტინგის კვლევის პროექტის განხორციელება საქართველოში 2003 წელს დაიწყო. მას 2005 წელს პროექტი სახელწოდებით „ეი-ჯი-ბი ნილსენ მედია რესერჩ ჯორჯია“ (AGB Nielsen Media Research Georgia) ჩაენაცვლა, რომელიც კვლევებს ქვეყნის მასშტაბით „პიპლმეტრის“ (peplemeter) საშუალებით ახორციელებდა. სატელევიზიო რეიტინგული სისტემა აუდიტორიის შესწავლის ძირითადად ორ მეთოდს იყენებს. პირველი საქართველოში 2005 წლის ივლისამდე „აი-პი-ემ მედიას“ (IPM Media) მიერ გამოიყენებოდა, რაც მაყურებელთა მიერ ყოველდღე ყურებადი სატელევიზიო შოუების აღნიშვნას გულისხმობდა; ხოლო მეორეა ზემოთ აღნიშნული „პიპლმეტრის“ მეთოდი, რომელიც ტელევიზორზე მიმაგრებული სპეციალური ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით, ყველაზე ყურებად სატელევიზიო გადაცემებს ავტომატურ რეჟიმში აღრიცხავს. 2005 წელს IREX-ის ინიციატივით, საკონსულტაციო კომპანია „კეი-პი-ემ-ჯი“-ს (KPMG) მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად, ახალი სატელევიზიო რეიტინგის კვლევის სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდა. ამასთან ერთად, პროექტის მესვეურები საქართველოში სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის ზრდას სწორედ ამ ახალი რეიტინგული სისტემის დანერგვას უკავშირებდნენ (Georgia's New TV...).

საქართველოში სარეკლამო ბაზრის ზრდასთან ერთად, ტელერადიო კომპანიების შემოსავალიც გაიზარდა. მაგალითად, 2005 წელს საქართველოს ტელერადიო კომპანიების ოფიციალურად დეკლარირებულმა შემოსავალმა 31.729 მლნ. ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2004 წელს ეს თანხა 25.9 მლნ. ლარი იყო, ხოლო 2000 წელს კი, 9,9 მლნ. ლარი. 5 წლის მანძილზე შემოსავლის 3.2-ჯერ მატება აღინიშნა. ამავე პერიოდში სამაუწყებლო კომპანიათა საერთო შემოსავალში ტელევიზიის ხვედრითმა წილმა 28.2 პროცენტიდან 62 პროცენტს მიაღწია (IREX MSI, 2006/07). საგულისხმოა, რომ IREX მედია მდგრადობის ინდექსის კვლევის დროს რამდენიმე ძირითად ასპექტზე გააკეთდა აქცენტი და მიზნად განისაზღვრა ქართული მედიის კვლევა გამოხატვის თავისუფლების, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის, ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნების, ბიზნეს მენეჯმენტისა და ინსტიტუციების მხარდაჭერის კუთხით. ამჟამად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის – ბიზნეს მენეჯმენტის თვალსაზრისით ქართული მედიის შეფასებისას, ავტორებს მოყვანილი აქვთ რადიო „უცნობის“ მეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბასა ჯანიკაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში

მედია ჯერ კიდევ არ არის ბიზნესი და მედია საშუალებათა უმრავლესობა არ არის დამოკიდებული რეკლამიდან შემოსულ თანხებზე. საქართველოში ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ მედია არსებობს ადამიანთა სამართავად და არა შემოსავლის მისაღებად (IREX MSI, 2006/07).

1998 წელს მიღებული „კანონის რეკლამის შესახებ“ და „კანონის მაუწყებლობის შესახებ“ (2004) თანახმად, სამაუწყებლო კომპანიებს საათში 12 წუთზე მეტი რეკლამის ჩვენება ეკრძალებათ. რეკლამა ასევე 24 საათში გადაცემული მასალის 15 პროცენტზე მეტს არ უნდა შეადგენდეს. სამაუწყებლო კომპანიების მიერ ამ წესების დაცვაზე კონტროლი ეროვნული კომუნიკაციების კომისიას ევალება. შეზღუდვები ასევე ეხება პროგრამების გარკვეულ კატეგორიას, თამბაქოსა და ალკოჰოლის რეკლამას (Robertson & Jasinski, 2006).

სახოგადოებრივ მაუწყებელს შემოსავლის გაზრდა რეკლამის საშუალებითაც შეუძლია, მაგრამ კომერციულ სატელევიზიო კომპანიებთან შედარებით ამ შემთხვევაში მისთვის უფრო მკაცრი მოთხოვნებია დაწესებული. მაგალითად, მას კომერციული რეკლამის ჩვენება „პრაიმ ტაიმსა“ და დასვენების დღეებში ეკრძალება, ხოლო დღის მანძილზე რეკლამისთვის გამოყოფილმა საეთერო დრომ 30 წუთს არ უნდა გადააჭარბოს.

დაბოლოს, იმისათვის რომ მედიის საშუალება წარმატებული იყოს და თვითდაფინანსებით არსებობა შეძლოს, მას რეკლამიდან და გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი სჭირდება, რათა პროფესიონალი ჟურნალისტური კადრები მოიზიდოს. ეს კი, როგორც უკვე აღინიშნა, კარგი ბიზნეს დაგეგმარებისა და აუდიტორიის მარკეტინგული კვლევის შედეგების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. საბოლოოდ კი, ფინანსურად მდგრადი და მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებული მედია, ნებისმიერი სხვა სახის დამოკიდებულების თავიდან აცილებას შეძლებს.

• პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციები მედია და სახელმწიფოს ურთიერთობებში

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის აუცილებელია, რომ ტენდენციად არ იქცეს სახელმწიფოსა და თანამდებობის პირთა ჩარევა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირებაში. ეს არ უნდა იყოს ქვეყნის განვითარების რეალურ ფაქტებზე დამყარებული მიმართულება. პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციებიდან გამომდინარე კი რეალობა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება არათუ იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ გამოხატვის უფლებას, არამედ საკუთარი ინტერესების დასაცავად, მასმედიაზე ზემოქმედების უამრავ საშუალებასაც იყენებს.

რა არის ამ ტენდენციების პირველი მახასიათებელი? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება საზოგადოებისთვის მაქსიმალურად მიუწვდომელია. სახელმწიფო სტრუქტურები ინფორმაციულობის თვალსაზრისით დახურულია და გამჭვირვალე არ არის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მცდელობა ინფორმაციის მოსაპოვებლად ან მოვლენის ირგვლივ საკუთარი ვერსიის შესამუშავებლად და გასაანალიზებლად, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების უარყოფით რეაქციას იწვევს. ასეთ შემთხვევებში მედია ინფორმაციის მოპოვებას სახელისუფლებო ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეარხების საშუალებით ცდილობს ან სამართლიანობის აღსადგენად სასამართლოს მიმართავს. საკამოდ ეფექტიანი და შედეგიანია მასმედიაზე ეკონომიკური ზეწოლაც, რაც გავლენას ახდენს გამოცემების, ტელე და რადიოარხების პოზიციაზე, პუბლიკაციებისა და გადაცემების შინაარსზე. ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული ხერხებია:

- შეღავათების დაწესება, ან პირიქით, მათი ჩამორთმევა;
- ფინანსური ზეწოლა (გადასახადები, ტარიფები, ფინანსური შემოწმებები და ა.შ.), ქონებრივი ურთიერთობების გამოყენება და იჯარა;
- იურიდიული ზემოქმედების ხერხები, რაც სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტის, აგრეთვე სასამართლო დეკრეტის საშუალებით ხორციელდება და თანაც იმ საფუძველზე, რასაც მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მედიის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი სიტყვის თავისუფლებას ლახავს და ცენზურის არსებობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. მედიასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება არსებობს:

- მასმედია ვერ იმუშავებს ეფექტიანად და გარკვეულ პროფესიულ წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ ხელისუფლების მხრიდან მის ფუნქციონირებაზე შეზღუდვები არ მოიხსნება;

- მეორე მოსაზრება კი იმას გულისხმობს, რომ სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციების დაბალი განვითარების გამო, ხელისუფლება გარკვეულ პრიორიტეტებს აწესებს, რასაც ანგარიშს საზოგადოების ყოველი წევრი უნდა უწევდეს.

მეორე მოსაზრების გაბატონება მასმედიაზე ხელისუფლების ზეწოლის გაძლიერებას იწვევს და შესაბამისად მწვავედ ურთიერთობები მედიასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა, ხელისუფლება მედიაზე კონტროლს მაინც ახორციელებს. ოფიციალური პირები ხშირად ჟურნალისტებს გამოსაქვეყნებელი და გასაშუქებელი მასალის შინაარსზე არაოფიციალურად რეკომენდაციებს აძლევენ. ამის ნათელი მაგალითია 2003 წლის ვარდების რევოლუციის დღეებში ჟურნალისტ კოკა ყანდიაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი გადაცემის მომზადება „ზემოდან“ წამოსული მითითებებისა და დირექტივების მიხედვით ხდებოდა.

ხელისუფლება ყოველთვის დაინტერესებულია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი განათლებული ნაწილის თვალში ცივილიზებულად გამოიყურებოდეს. აქედან გამომდინარეობს თვითცენზურის იდეა, რომელსაც ხშირად პასუხისმგებლობასაც უწოდებენ. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგი სახის ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ: გააკონტროლეთ საკუთარი თავი და ყველაფერი რიგზე იქნება. აქვს თუ არა მომავალი ქვეყანას, სადაც უზარმაზარი დისბალანსია თავისუფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობას, ლიბერალიზმს, დემოკრატიასა და ხელისუფლებას შორის? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თვითცენზურა და პასუხისმგებლობა მასმედიაში რომელიმე პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომმა არ უნდა მოსთხოვოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მასმედიის სამყაროში ახალი წესრიგის დამყარებას უნდა ნიშნავდეს და არა სახელისუფლებო პოლიტიკის ულაპარაკო გაზიარებას. საერთოდ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე რომელიმე პოლიტიკურ პოზიციას ირჩევენ. ამ შემთხვევაში სადავო ხდება მათი ობიექტურობის საკითხი და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები განვითარების დიდი მომხრეები რომც იყვნენ, ტენდენციურობას თავს მაინც ვერ დააღწევენ.

ოფიციალური მასშტაბის თავისუფლება და პასუხისმგებლობით აღჭურვა იმას ნიშნავს, რომ მედიის ამა თუ იმ ორგანომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს და გარკვეული პოზიცია აირჩიოს. როდესაც პოლიტიკოსები ამაზე საუბრობენ, პირველ რიგში, გულისხმობენ იმ პოლიტიკურ პოზიციაზე დგომას, რომელიც ოფიციალურს უჭირავს. გავიხსენოთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განაწყენებული ტონი მთავრობის სხდომაზე, როდესაც მან საყვედური გამოთქვა ქართული მედიის მიმართ და განაცხადა, რომ არსად მსოფლიოში პრესა და ტელევიზია ასე აუგად არ იხსენიებს ქვეყნის პრეზიდენტს და არ აკრიტიკებს ხელისუფლების პოლიტიკას, როგორც საქართველოში. მან ჟურნალისტებს გონიერებისკენ და პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა. მეორე შემთხვევა კი, 2003 წლის ნოემბერის მოვლენების დროს მოხდა, როდესაც მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სამთავრობო არხი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ სახელისუფლებო ტელევიზია ოფიციალურ პოზიციას უნდა იზიარებდეს. მისთვის გაურკვეველი რჩებოდა, თუ ვის ემხრობოდა სამთავრობო არხი. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ თავისუფალი მედია, პირველ რიგში, ობიექტურია და ორივე მხარის – პოზიციისა თუ ოპოზიციის შეხედულებების თანაბრად წარმოიხეხას და გაშუქებას გულისხმობს.

იმდროინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება მედიის მიმართ ნათლად ჩანს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ამ მოსაზრებიდანაც: „თუ პრესა მთავრობის მომხრეა და მთავრობის პოლიტიკას იწონებს, მაშინ იგი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უნდა უწყობდეს ხელს, ანუ ობიექტური უნდა იყოს. თუ ობიექტური არ იქნება, მაშინ მხოლოდ დღეს ან ხვალ იარსებებს. თუ ოპოზიციურ გაზეთს ქმნით, უნდა გააკრიტიკოთ ისე, რომ ობიექტური იყოს და თქვენი მსჯელობა გაჯერებული იყოს არგუმენტებითა და ფაქტებით” (შევარდნაძე, 2002, გვ.3).

ედუარდ შევარდნაძის ამ განცხადებაში ბევრი რამ შეიძლება იყოს სადავო, პირველ რიგში კი ის, თუ რატომ არის მთავრობის მომხრე პრესის პრეროგატივა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და რატომ არ შეუძლია ეს მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ მედიას? ობიექტურობა თავისთავად მიუკერძოებლობას გულისხმობს, რაც ვინმეს მომხრეობას გამორიცხავს და მოწონებისა თუ კრიტიკის შესაძლებლობას ყველას ერთნაირად აძლევს. აქედან გამომდინარე, აქ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში სამთავრობო

პოლიტიკის მხარდაჭერა და პროპაგანდა უნდა ვიგულისხმოდ, რასაც ყოფილი პრეზიდენტი მოთხოვნად უყენებდა ქართულ პრესას; თუმცა ისიც ავიწყდებოდა, რომ მიუკერძოებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, ხელისუფლების ობიექტური კრიტიკა მის მომხრე პრესასაც მოეთხოვებოდა.

მსგავსი არაადეკვატური დამოკიდებულების დასტურად მანანა დუმბაძისა და თამარ გუნაშვილის სადისკუსიო წერილების სერიაში „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ“ (2003) მოყვანილი ამერიკელი ჟურნალისტის ჯეფრი სილვერმანის გამონათქვამიც კმარა იმის თაობაზე, რომ თუმცა ქვეყანაში პრესის თავისუფლება დემოკრატიის უდიდეს მონაპოვრად არის აღიარებული, დღეს იგი ისე იდევნება როგორც არასდროსო. ჯეფრი სილვერმანი 2000-2002 წლებში ინგლისურენოვან „ჯორჯიან თიამსთან“ თანამშრომლობდა და შესაბამისად იცნობდა იმდროინდელ ქართულ მედია გარემოს (დუმბაძე და გუნაშვილი, 2003, გვ.28).

მედია და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები და ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკა მედიის განვითარების ხელშეწყობის კუთხით კი უცხოელმა კოლეგებმა შემდეგნაირად დაახასიათეს:

- სახელმწიფო კონტროლი არაერთ გამომცემლობაზე, გაზეთების გაავრცელების ქსელზე და ტელევიზიაზე ხელს უშლის ჭეშმარიტად თავისუფალი და მიუკერძოებელი მედიის განვითარებას;
- არსებული საგადასახადო პოლიტიკა და ნებას მიშვებული კრიმინალური სამყარო მცირე ბიზნესს რეკლამის გაავრცელების სურვილს უკარგავს;
- რეკლამისა და გაავრცელებაზე მთავრობამ ისეთი კანონი მიიღო, რომ ვერც ერთი გაზეთი მას ვერ ასრულებს;
- კანონი ლოდოდ აწევს პრესას და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევს (დუმბაძე და გუნაშვილი, 2003, გვ.29).

ეს არის ამ ჩამონათვალის არასრული სია, თავად სახელმწიფოს დამოკიდებულება მედიის მიმართ კი ნათლად ჩანს ამ ჩამონათვალის კიდევ ერთი პუნქტიდან, რომელიც გვაუწყებს, რომ რეპორტიორებს და რედაქტორებს არ ძალუძთ რედაქციაში რადიკალური ცვლილებების გატარება. მიზეზად კი დასახელებულია მათი ცინიზმი იმის თაობაზე, რომ ქართული გაზეთების ძირითადი დანიშნულება არა საზოგადოების ინფორმირება, არამედ პოლიტიკოსების მიერ ერთმანეთისადმი მიწერილი წერილების გამოქვეყნებაა. ამ დამოკიდებულებაში ნათლად აისახება მედიის ნიჰილიზმი ცვლილებების მიმართ

და ხელისუფლების კარნაჟილობა და თვითიზოლაცია, რამაც იგი საბოლოოდ ხალხს დააშორა.

გასაკვირი არც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ჟურნალისტთა უმეტესობა აცხადებდა, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლება მხოლოდ ფორმალურად არსებობდა და რომ ხელისუფლება არ ზრუნავდა ქვეყანაში თავისუფალი მედიის განვითარებაზე. მისი მხრიდან დახმარების ყოველგვარი მცდელობა კი მოსყიდვის სახეს იღებდა (დუმბაძე და გუნაშვილი, 2003). თავად ქვეყნის პრეზიდენტი კი აცხადებდა, რომ პრესის თავისუფლებაზე, ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ყველა ნორმალური სახელმწიფოს ვალია და რომ მას ჟურნალისტებზე ხელის აღმართვა კაცობრიობის წინაშე დანაშაულად მიაჩნია (შევარდნაძე, 2002).

მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე, შევარდნაძის ხელისუფლების კრახის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა ის დამოკიდებულებაც ჩაითვალოს, რომელიც მას საზოგადოებისა და მედიის, როგორც მედიუმისა და მასთან კომუნიკაციის საშუალების მიმართ ჰქონდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ინიციატივით გამოცემულ 90-იან წლების ქართული მედიის კვლევაში „90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ (ბოკერია და... 1997) გამოთქმულია მოსაზრება, რომ მთავრობისთვის მედია არა კომუნიკაციის საშუალებას, არამედ ხელისუფლების მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. მისთვის მთავარი პოზიციის გამოხატვა იყო და არა ის, გაიგებდა თუ არა ამ პოზიციას საზოგადოება. ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაცვლად ისევ ავტორიტარ-პროპაგანდის მეთოდებს ეყრდნობოდა, რაც კომუნისტური რეჟიმის გადმონაშთად და 90-იან წლებში მის რეინკარნაციად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ საზოგადოება უნდობლად ეკიდებოდა ცალსახად მიკერძოებული და არაობიექტური პროპაგანდისტული მანქანის სახელმწიფო ტელევიზიის საქმიანობას, რაც მთავრობისადმი უნდობლობას კიდევ უფრო აღრმავებდა. „სახელმწიფო პრესის სიცოცხლისუნარიანობის ხელოვნური შენარჩუნების მიზეზი მენტალური ინერციაა, რომელსაც ფესვები აქვს გადგმული ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. მთავრობა მიეჩნია საკუთარი პრესის ყოლას. ოფიციალური გაურბის ახალი ამბების გაშუქებას, თვალს ხუჭავს პრობლემურ საკითხებზე და ძირითადად მთავრობის საქმიანობის ქრონიკით შემოიფარგლება“ (ბოკერია და... 1997, გვ.10).

ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისა და თავისუფალი მედიის ხელშეშობის ნაცვლად, ხელისუფლება მხოლოდ ოფიციალური გამოცემების სუბსიდირებას ახდენდა, „საქართველოს რესპუბლიკა“, „სვობოდნაია გრუზია“, „ლიბერატურული საქართველო“, ანუ საკუთარ ინტერესებზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე საზოგადოებრივ საჭიროებაზე და მისთვის აუცილებელი თავისუფალი სიტყვის დაცვასა და განვითარებაზე.

90-იან წლებში, მას შემდეგ რაც დაირღვა პოლიგრაფიისა და დისტრიბუციის სისტემაზე სახელმწიფოს მონოპოლია, ხელისუფლებას მედიაზე ზემოქმედების არანაკლებ მძლავრი ბერკეტი საგადასახადო შემოწმება ეყვრა ხელთ. სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ეს მექანიზმი ხელისუფლებამ არაერთხელ გამოიყენა. მაგალითად, 1995 წელს საგადასახადო ინსპექციამ ორთვიანი რევიზია მოაწყო დამოუკიდებელ გაზეთ „რეზონანსში“, რის შედეგადაც დარღვევები არ გამოვლინდა, მაგრამ ორი თვის მანძილზე გაზეთის საქმიანობა შეფერხდა.

იმ პერიოდში ხელისუფლების მედიაზე ზეწოლის შედეგად ხდებოდა საინფორმაციო საშუალების ან პროგრამის დახურვა. ხელისუფლება მედიის წინააღმდეგ ბერკეტებს იყენებდა ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ასევე არასასურველი მასალის გამოქვეყნების პასუხად. ზეწოლა ხორციელდებოდა რეგიონალურ მედიაზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ამსახველი ქვემოთ მოცემული მაგალითები მოყვანილია ქართული მედიის ზემოთ ნახსენები კვლევიდან „90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ (ბოკერია და... 1997, გვ.22-23, 26-28, 33). სახელმწიფოს მიერ მედიაზე ზეწოლის თვალსაჩინო მაგალითია 1995 და 1996 წლებში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ორჯერ დახურვა. მაშინდელი ლიცენზირების უადრესად გართულებული წესი ხელისუფლებას მედიის კონტროლისა და მისთვის არასასურველი მედიის ორგანოს დახურვის საშუალებასაც აძლევდა. 1996 წელს უშიშროების მინისტრმა შოთა კვიციანი კავშირგაბმულობის მინისტრს ფრიდონ ინჯიას საჯაროდ მოსთხოვა მეტი წინდახედულება გამოეჩინა სისშირეებზე ლიცენზიის გაცემისას და გაერკვია ვინ იდგა „რუსთავი 2“-ის უკან. მედიის თავისუფლების ხელყოფის ამ ფაქტის შედეგად დამოუკიდებელმა ტელეკომპანიამ მაუწყებლობა რვა თვით შეწყვიტა.

მაშინდელმა პრეზიდენტმა კი, საინფორმაციო სააგენტო „ბი-ჯი-აი“-სა (BGI) და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბაკურ გულუას შორის არსებული უთანხმოების დროს მედიის ქმედებები შემდეგნაირად შეაფასა: „ის, რაც ხდება, ყველა საზღვარს სცილდება. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მსგავსი გამოხდომებისგან დაიცვან მთავრობა. თუ მათ მთავრობის დაცვა არ შეუძლიათ, ვერც ხალხის დაცვას შესძლებენ. სიტუაცია პრესასთან უნდა გავაანალიზოთ, ცილისმწამებელნი კი პასუხისგებაში მივცეთ“.

1997 წელს კი ცნობილი გახდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის ნოდარ გრიგალაშვილისა და სხვა რედაქტორების სატელეფონო საუბრების მოსმენის ფაქტი. ამის დამამტკიცებელი საბუთები პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ წარმოადგინა, რასაც საბოლოოდ უშიშროების მინისტრის შოთა კვიციანი გადადგომა მოჰყვა.

პრეზიდენტ შევარდნაძის დროს ძალოვანი სტრუქტურების მიერ მედიის საშუალებების მიმართ „განსაკუთრებული ინტერესი“ 2001 წლის ოქტომბერშიც გამოვლინდა, როდესაც სახელწიფო უშიშროების სამსახურმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში რეიდის ჩატარება უშედეგოდ განიზრახა. 2002 წლის თებერვალში კი თავად პრეზიდენტმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო მოხელეთა ღირსებისა და პატივის შელახვისა და ცილისწამების გამო სისხლის სამართლის კოდექსის გამკაცრება მოსთხოვა.

მსგავსი არაერთი ფაქტის მოყვანა თუ დასახელება შეიძლება, მაგრამ ზოგადად ხელისუფლების დამოკიდებულება მედიის მიმართ ნათლად აისახება იმ სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელსაც ის საკუთარი მედიის მისამართით ახორციელებდა. იდეოლოგიური კონტროლის კლასიკურ ნიმუშს საინფორმაციო პროგრამა „მაცნეს“ მიერ მოვლენათა გაშუქების წესი წარმოადგენდა. ამ რიგითობის მიხედვით, პირველ რიგში, პრეზიდენტის საქმიანობა შუქდებოდა, შემდეგ პარლამენტის, სამინისტროების, უწყებების დაბოლოს, ქვეყანაში და უცხოეთში მიმდინარე მოვლენების. ჟურნალისტს ეკრძალებოდა საკუთარი აზრის გამოხატვა, პოზიციის დაფიქსირება, განხილვა, კომენტარი... ასევე იკრძალებოდა მთავრობის, პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების კრიტიკა. როგორ ნონსენსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ყოველივე ეს უახლოეს წარსულში ხდებოდა... მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტი საინფორმაციო

გამოშვების მიერ ფაქტების გაშუქების შესახებ დადგენილებას იღებდა, რაც დღეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელია...

იდეოლოგიური კონტროლის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წელს პარლამენტის მედიის ქვეკომიტეტის მიერ მასმედიის საქმიანობის შესახებ კანონპროექტის მომზადება. პროექტი ინფორმაციის ეროვნული საბჭოს შექმნას გულისხმობდა, რომელიც ადმინისტრაციულ-პოლიციურ ფუნქციას შეასრულებდა და მედიის ყველა სახეობაზე კონტროლს დააწესებდა. ამ კანონპროექტს უარყოფითად შეხვდნენ თავად ჟურნალისტები. მათ განსაკუთრებულ შეშფოთებას კი იწვევდა დეფამაციასთან, საჯარო მოხელეთა ღირსებისა და პატივის შელახვასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები, რომლებიც შესაძლოა სახელმწიფოს მიერ მედიაზე ზეწოლის იარაღად გამოყენებულიყო.

რა თქმა უნდა, შევარდნაძისეული ეპოქის კრიტიკა არ ნიშნავს იმას, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მედიის თავისუფალ ფუნქციონირებასთან და მის შეუფერხებელ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა თავისთავად მოგვარდა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 2005 წელს ქართული მედიის თვითცენზურულობის გამო შეშფოთება გამოთქვეს. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ყოველწლიურ მოხსენებებში საქართველო ნახევრად თავისუფალი მედიის მქონე ქვეყნად სახელდება. 90-იან წლებთან შედარებით გარკვეული პროგრესი ნამდვილად შეინიშნება, ვინაიდან თუნდაც 1996 წლის მოხსენებაში საქართველო ამ მხრივ არათავისუფალ ქვეყნად არის მოხსენიებული და მას 68 საჯარიმო ქულა აქვს მიღებული. „ფრიდომ ჰაუსის“ სისტემის მიხედვით კი, ნახევრად თავისუფალი ქვეყნები 61-ზე ნაკლებ ქულას აგროვებენ, ხოლო სიტყვის თავისუფლების პატივმცემელი ქვეყნები 0-დან 30-მდე ქულას (ბოკერია და... 1997).

2007 წლის მაისში პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ამავე ორგანიზაციამ მსოფლიოში პრესის თავისუფლების მდგომარეობის ამსახველი ტრადიციული ანგარიში გამოაქვეყნა (The Freedom House, 2007). ამ რეიტინგში საქართველომ 121-ე ადგილი დაიკავა და იმ ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდა, სადაც მედია ნაწილობრივ თავისუფალია. საქართველო 57 ქულით წინ უსწრებდა კამბოჯას და ჩამორჩებოდა კოლუმბიას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პრესის თავისუფლების მხრივ, საქართველო და უკრაინა

ლიდერობდნენ დსთ-ს ქვეყნებში. ამავე ანგარიშის თანახმად, საქართველო ცენტრალური ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების რეიტინგში 18-ე ადგილზე იმყოფებოდა. ის წინ უსწრებდა სომხეთს, მოლდოვას, ყირგიზეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს (რომელიც მსოფლიო რეიტინგში 75-ე ქულით 165-ე ადგილზე აღმოჩნდა), ყაზახეთს, ტაჯიკეთს, ბელორუსს, უზბეკეთსა და თურქმენეთს; ხოლო 2008 წელს საქართველომ 60 ქულა მიიღო, ანუ მხოლოდ ერთი ქულა „დააკლდა“, რომ არათავისუფალი ქვეყნების სიაში მოხვედრილიყო.

საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მიერ პრესის თავისუფლების მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, საქართველომ 2006 წელს 10 მაჩვენებლით გაიმჯობრესა პოზიცია. თუკი დინამიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ბოლო წლების მანძილზე ქართული მედიის თავისუფლების ინდექსი ძალზედ ცვალებადია, ვინაიდან 2003 წელს ქართულ მედიას 167 ქვეყნიდან 73-ე ადგილი ეკავა, 2004 წელს 94-ე, ხოლო 2005 წელს 99-ე, 2007 წელს კი საქართველოში პრესის თავისუფლების საერთაშორისო ინდექსი 2006-თან შედარებით 23 მაჩვენებლით გაიზარდა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ადგილი დაიჭირა (The Freedom House, 2007).

ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ 2008 წლის მოხსენებაში წერია, რომ საქართველოში პრესის თავისუფლება დაცულია ქვეყნის კონსტიტუციით და კანონით გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მაგრამ ეს უფლებები ხშირად იზღუდება. პრესის კანონმდებლობა, ისევე როგორც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების უმრავლესობა, ძალზედ პროგრესულია. ცილისწამება (დეფამაცია) აღარ არის სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაული; თუმცა რეალურად ამ კანონის დაცვისა და პრაქტიკული განხორციელების სურვილი ხელისუფლების მხრიდან შემცირდა. ამის შედეგად კი, ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობები გაუარესდა. თუკი ერთი კანონი იცავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მეორე კანონით ამ უფლების შეზღუდვა ხდება. კანონით სასამართლოების შესახებ ჟურნალისტებს სასამართლო დარბაზში ფოტო და ვიდეო გადაღებები ეკრძალებათ. მედია ხშირად იძულებულია რეფორმირებულ სასამართლო სისტემაზე ისაუბროს, მაშინ, როდესაც ჟურნალისტებისთვის საზოგადოებრივი ინსტიტუტები მიუწვდომელი რჩება (The Freedom House, 2008).

მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვნად ის ფაქტი მიმჩნია, რომ თავად ხელისუფლება ძალიან კარგად აცნობიერებს და აღიარებს მედიის თავისუფლების სფეროში არსებულ პრობლემებს. პრობლემათა მოგვარება კი, ნებისმიერ სფეროში, მათი აღიარებითა და სწორი შეფასებიდან იწყება. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება პროგრესულად აზროვნებს, რაც მედიის თავისუფალი ფუნქციონირებისთვის შექმნილი ძლიერი საკანონმდებლო ბაზით მტკიცდება. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც დღეს ხელისუფლება ეროვნული უმცირესობების გამოხატვის თავისუფლების დასაცავად აწარმოებს. „ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო უმცირესობების ენებზე გამოცემულ ბეჭდვურ მედია საშუალებებს აფინანსებს.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი მედია საშუალებაა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის ვალდებულება კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებშია ასახული.

საინტერესოა როგორ აფასებენ უცხოელი ჟურნალისტები ვარდების რევოლუციის შემდეგ ქართული მედიის განვითარების ტენდენციებს. მაგალითად, „ბი-ბი-სი“-ს (BBC) კორესპონდენტების ადამ ჯესინსკისა და ჯონ რობერტსონის მიერ წარმოებულ 2006 წლის ქართული მედიის მკვლევარში წერია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ წლების მანძილზე საქართველოში რამდენიმე მედია ორგანო დაიხურა და მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიტიკური დებატები ცენტრალური არხების სატელევიზიო ეთერში. შეიცვალა ორი ცენტრალური სატელევიზიო არხის („მზე“ და „რუსთავი 2“) მფლობელი და ტელეკომპანიები ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურად განწყობილი ბიზნესმენის ხელში გადავიდა (Robertson & Jasinski, 2006). ამ ტენდენციებისა და მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ჟურნალისტებმა შეშფოთება გამოთქვეს (Lomjaria, Kordzaia, Gobronidze & Kemertelidze, 2006). როგორც საქართველოში ეუთოს მედია პროექტების ხელმძღვანელმა ზურაბ ხრიკაძემ „ბი-ბი-სი“-ის კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, ჟურნალისტებისთვის კვლავ

პრობლემად რჩებოდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი: „2005 წლიდან ყველაზე დიდ სირთულეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მინისტრებისთვისაც კი არ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი. ძალიან ცოტა ჟურნალისტს იწვევენ სამთავრობო შეხვედრაზე. ზოგადად რომ ვთქვათ, მხოლოდ ცენტრალური ტელევიზიების ჟურნალისტები ესწრებიან რამდენიმე, მაგრამ არა ყველა შეხვედრას. 2006 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თბილისში ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ პრობლემები კვლავ არსებობს რეგიონებში” (Robertson & Jasinski, 2006, გვ.13). ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მაშინდელი თავმჯდომარის ანა დოლიძის აზრით კი, გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის რეალიზება არასწორად ხდებოდა, ხშირ შემთხვევაში კი, ის სრულად იგნორირებული იყო (Dolidze, 2006).

საქართველოს ხელისუფლება აღიარებს ყველა იმ გამოწვევას, რომელთა წინაშეც დგას ქართული მედია და მათთან გამკლავებას კონსტრუქციული გზით ცდილობს. ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მოძიების პროცესის გასამარტივებლად ხელისუფლება ხელს უწყობს სამთავრობო პრესსამსახურების წარმომადგენლების საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებზე გადამზადების პროგრამებში ჩართვას. ამავე მიზნით, 2005 წლის მაისში, სამთავრობო სტრუქტურების პრესსამსახურების წარმომადგენლები დაესწრნენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ორგანიზებულ პრესსპიკერების ტრენინგს, ხოლო 2005 წლის დეკემბერში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე ჩატარებულ სემინარს. აშშ-ს საბაჟო და საზღვრის დაცვის სამსახურის ინიციატივით კი, ამ სემინარის დამსწრეები მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად ვაშინგტონში გაემგზავრნენ, რომელსაც ამავე სამსახურის მედიასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ბილ ენტონი უძღვებოდა.

ამ ჩამონათვალის გაზრდა, რა თქმა უნდა, შეიძლება და თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის მისაღებად საჯარო მოხელეებს დაბრკოლებებს არ უქმნის, მისი მხრიდან გადამზადების ხელშეწყობის აუცილებლობისა და მნიშვნელობის გააზრებაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს.

გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, მაშინ, როდესაც ქვეყანა რადიკალურ რეფორმებს ახორციელებს დემოკრატიული ინსტიტუტების

ჩამოსაყალიბებლად, წარმოუდგენელია ხარვეზების არსებობა თუნდაც მედიის თავისუფლების სფეროში. ახალი ხელისუფლების ინიციატივით, საქართველოში შეიქმნა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონი გამოსატვის თავისუფლების შესახებ, აღარ არსებობს წინა ხელისუფლების იდეოლოგიური იარაღი და საყრდენი სახელმწიფო ტელევიზია პირველი არხის სახით, რომლის ბაზაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩამოყალიბდა და საბედნიეროდ საქართველოს პარლამენტი აღარ იღებს დადგენილებებს საინფორაციო საშუალებებში მოვლენათა გაშუქების წესის შესახებ, რაც დღეს მართლაც რომ წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ყოველივე ეს კი, წინსვლისა და პროგრესის შედეგია, რაც თავისთავად ბრძოლითა და შეცდომებით მიიღწევა.

თავი IV

სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები

- სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი ნორმები

სიტყვის თავისუფლების სამართლებრივ ნორმებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს საყოველთაოდ აღიარებული ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებების, კერძოდ კი გამოსატვის თავისუფლების დაცვას შეეხება და ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ამ მხრივ კი, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო. საქართველოში ის ძალაში უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით შევიდა. დეკლარაციის მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

დეკლარაციის პრეამბულაში კი ნათქვამია, რომ „გენერალური ასამბლეა აცხადებს ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისაღმე დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში“ („ადამიანის უფლებათა...“ 1948).

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 თავში, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გააერცვლოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება” („გამოხატვის თავისუფლება...” 2003, გვ.6). ეს საერთაშორისო დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს გამოხატვის თავისუფლების, როგორც ადამიანის ბუნებრივი უფლების დაცვის აუცილებლობას, მაგრამ ის ამავდროულად შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც ამ უფლების მსგავსად უნდა აღიარებულ იქნას, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და უპირობო. სწორედ ამიტომ ამავე დეკლარაციის მე-10 თავში ასევე ნათქვამია, რომ „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც იგი აკისრებს მას ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის” („გამოხატვის თავისუფლება...” 2003, გვ.6). თუნდაც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ეს შეზღუდვები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კონვენციის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური, ვინაიდან სახელმწიფოს აქვს მართლზომიერი ჩარევის უფლება; მაგრამ თუ სახელმწიფო არღვევს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, მაშინ მისი ქმედებები ჩაითვლება კონვენციის დარღვევად. გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა კი უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და აუცილებელი „დემოკრატიულ საზოგადოებაში”. ამ აუცილებლობებთან დაკავშირებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „იქ, სადაც

ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებაში ჩარევას, კონტროლი უნდა იყოს მკაცრი მოცემული უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე; ამ უფლებათა მნიშვნელობა მრავალჯერ იქნა აღნიშნული სასამართლოს მიერ. მათი შეზღუდვის აუცილებლობა კი დამაჯერებლად უნდა იქნას დასაბუთებული” („აუთორნიტი ეი-ჯი“-ის საქმეზე...” 1990).

რა შემთხვევებში იზღუდება ევროპულ კონტექსტში გამოხატვის თავისუფლება და რა პირობით შეუძლია ხელისუფლებას ამ უფლებით სარგებლობას ხელი შეუშალოს? ეს საკითხები მნიშვნელოვანია მედიის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გასაცნობად.

ის, თუ რამდენად აღიარებს საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ნათლად აისახება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებში.

გამოხატვის თავისუფლება, ის ძირითადი ფასეულობა, რასაც დემოკრატია ეფუძნება და საქართველოში ამ სფეროში ბოლო წლების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა გატარდა. ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიამ საქართველოში ბეჭდვური და ელექტრონული მედიის მრავალფეროვნებას დადებითი შეფასება მისცა. კომისიის აზრით, საჯარო დებატებმა და განხილვებმა ქვეყანაში აზრთა სხვადასხვაობისა და პლურალიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, სწორედ მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულმა საკანონმდებლო სიახლეებმა სამოქალაქო საზოგადოებაში ღია, კრიტიკული და გახსნილი დებატების წინაპირობა შექმნეს. ახალი „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მიღებულ იქნა 2004 წლის ივნისში და მასში ნათქვამია, რომ „კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად” (მუხლი 2).

საერთაშორისო ექსპერტებმა და იურისტებმა ეს კანონი აღიარეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონი მთელს ევროპაში. „მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამ და საერთაშორისო

სამართლებრივი აქტების რატიფიცირებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას, ქვეყანაში დამკვიდრებულმა არაჯანსაღმა სასამართლო პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობების დახვეწისა და სამართლებრივი ნორმების დეტალიზირების საკითხი. შესაძლებელია ითქვას, რომ ახალმა კანონმა, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ერთგვარ კონსტიტუციას წარმოადგენს და რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ არის ინიცირებული, მნიშვნელოვანი კორექტირება შეიტანა არსებულ სამართლებრივ სივრცეში და გამოასწორა ის ხარვეზები, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში აქამდე უხვად მოიპოვებოდა და ისედაც წინააღმდეგობრივ სასამართლო პრაქტიკაზე არასახარბიელოდ აისახებოდა” (კინწურაშვილი, რამიშვილი და კოტეტიშვილი, 2005, გვ.19).

კანონის პირველი თავში მოცემულია ტერმინთა განმარტება, რითიც სამართლებრივ სფეროში ჟურნალისტებისთვის ძალიან ბევრი პრობლემა მოგვარდა. მანამდე საქართველოს კანონმდებლობით იკრძალებოდა ცილისწამება, პირადი საიდუმლოს ხელყოფა, სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება, მაგრამ მათი ზუსტი განმარტება მოცემული არ იყო. საგულისხმოა, რომ „კანონი სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ” 1996 წელს იქნა მიღებული, მაგრამ მისი ხელყოფა სისხლის სამართლის კოდექსით და „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ” (1991) კანონით მანამდეც იკრძალებოდა.

კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” (2004) ცილისწამება განმარტებულია, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება” (მუხლი 1, „ე” პუნქტი), ხოლო უხამსობა, როგორც „განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს” („ვ” პუნქტი).

ჟურნალისტებისთვის მეტად საყურადღებოა კანონში მოცემული სახელმწიფო, კომერციული, პირადი და პროფესიული საიდუმლოს განმარტება. ამ ჩამონათვალთან პირველი ნაწილის შესახებ ნათქვამია, რომ ეს არის „ინფორმაცია, რომელიც „სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ” საქართველოს

კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაცვას” („ლ” პუნქტი).

აქვე, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუ როგორ განსაზღვრავს კანონი ტერმინს „სახელმწიფო საიდუმლოება”. მასში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო საიდუმლოება” არის ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას” (პუნქტი 1).

კანონით გარანტირებულია ჟურნალისტთა მთელი რიგი თავისუფლებები და უფლებები. უპირველეს ყოვლისა ამ კანონით ცილისწამების დეკრიმინილიზაცია განხორციელდა, ანუ დეფამაცია აღარ არის სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაული, ხოლო ამ თემაზე სასამართლო განხილვებისას კერძო პირებისა და საჯარო მოხელეების გამოჯვანა მოხდა. ასევე კანონით იცავს ცილისწამებაში ბრალდებული გამოცემების ინტერესებს თუკი გამომცემელი დაადასტურებს, რომ მასალის მომზადების დროს მნიშვნელოვანი ზომები იქნა მიღებული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ამით ბრალდების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება. ახალი კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებების შესახებ” (2004) ჟურნალისტებს არა მხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ კერძო პირებისა და ორგანიზაციებისგანაც იცავს. დაშინებისა და არაკანონიერი ზეწოლის შემთხვევაში ჟურნალისტს შეუძლია რედაქტორის ან მფლობელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანოს.

სასამართლოს, გამომცემელსა და პროკურატურას არ აქვს უფლება, რომ ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს დასახელება მოსთხოვოს. მედია ასევე აღარ არის პასუხისმგებელი კანონიერი გზით მოპოვებული სახელმწიფო საიდუმლოს პრესაში გამოქვეყნების გამო.

ის, რომ ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის, ამასვე ადასტურებს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი” (2009). 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კოდექსმა ცვლილებები განიცადა, რის

შედგებადც დეფამაციის დეკრიმინალიზაცია მოხდა. ცვლილების თანახმად, ცილისწამების შესახებ კოდექსის 148-ე მუხლი გაუქმდა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ცილისწამება დანაშაულის ბრალდებით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე.

საგულისხმოა, რომ ამ 1999 წლამდე ამ კოდექსს ძირეული ცვლილებები არ განუცდია, რის გამოც დამნაშავის მიერ ჯარიმის სახით გადასახადი მანეთებში იყო მითითებული. უდავოა, რომ გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც თუნდაც ცილისწამებაში ბრალდებულს გადასახადს არარსებული ფულადი ერთეულით ავალდებულებს და ტერმინთა ზუსტ განმარტებას არ იძლევა, ჟურნალისტის საქმიანობას კიდევ უფრო რთულსა და წინააღმდეგობებით სავსეს ხდის.

გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ და ადამიანის უფლებებზე მიღებულ ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველო უერთდება. საქართველოს ხელისუფლება კი პასუხისმგებელია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და განხორციელებაზე.

ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ 2007 წლის მოხსენებაში წერია, რომ „საქართველოს კონსტიტუცია პრესის თავისუფლების გარანტიებს უზრუნველყოფს... პოლიტიკური შეხედულებებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება ბეჭდურ მედიაში ნათლად აისახება“ (The Freedom House, 2007). საქართველოს კონსტიტუციის (1995) მე-19 მუხლში კი ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა მათ გამო, აგრეთვე მიუღებელია მისი იძულება, რომ აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის შესახებ თავისი შეხედულება გამოთქვას. კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. კონსტიტუციაში ნათლად არის მითითებული, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა დაუშვებელია: „სახელმწიფოს და ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის და ან მისი გავრცელების საშუალებების მონოპოლიზაციის უფლება“ (მუხლი 24, პუნქტი 3). ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება

შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად” (მუხლი 4).

ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს მთავრობა წარმოადგენს, საქართველოს კონსტიტუციის (1995) 41-ე მუხლის პირველი ნაწილი აღიარებს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს. ამავე მე-20 მუხლში საუბარია კონფიდენციალური ინფორმაციის ხელშეუხებლობაზე, რასაც „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ” (2004) და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” (1999) ადასტურებს. „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო ან სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას” (მუხლი 20, პუნქტი 1).

საქართველოს კონსტიტუციის (1995) შემდეგ, ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეთა უფლებას დაესწრონ საჯარო დაწესებულებების სხდომებს, თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი ოფიციალურ დოკუმენტებზე, აგრეთვე საკუთარი თავის შესახებ ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, არის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” (1999) მესამე თავი – ინფორმაციის თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის გამჭვირვალების სფეროში სხვა კანონებიც მოქმედებენ, აღნიშნული კოდექსის თავი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტიან კანონად უნდა ჩაითვალოს.

მედია სამართლის სფეროში საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გასაცნობად მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ეგიდით მომზადებული ნაშრომი ეუთოს რეგიონის ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. საქართველოზე მასალა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ არის მომზადებული, რომელსაც კითხვა-პასუხის ფორმა აქვს და დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით კი ჟურნალისტებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის საქართველოში მოქმედ სიტყვის თავისუფლების სამართლებრივ ნორმებზე (Organization for Security... (OSCE), 2007). იგივე შეიძლება ითქვას ზურაბ ადეიშვილის ავტორობით გამოცემულ ნაშრომზე „მედია და კანონი“ (2004), რომელსაც მედია სამართლის სფეროში ჟურნალისტური გზამკვლევისა და სახელმძღვანელოს ხასიათი აქვს. ნაშრომის რედაქტორი თამარ კინწურაშვილი წერს: „მედიის წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი ნაკლებად არის ინფორმირებული მოქმედ კანონმდებლობაში. არის შემთხვევები, როცა საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები ჟურნალისტური თვითრეგულირების საკითხებს საკანონმდებლო რეგულირების სფეროს მიაკუთვნებენ, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით, საგადასახადო კოდექსსა და შრომის კანონმდებლობას არასაკანონმდებლო რეგულირების სფეროში მოაზრებენ“ (ადეიშვილი, 2004, გვ.8). ასეთი დასკვნა 2003 წელს მედია სამართლის საკითხებზე თბილისსა და საქართველოს ექვსს ქალაქში 49 საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლის გამოკითხვის შედეგად გაკეთდა. ამის საფუძველზე კი გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც კანონის მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგად ქართულ მედიასთან მიმართებაში იჩენდა თავს: ადვოკატები, იურიდიული სამსახურები (მათი ფაქტობრივად არ არსებობა); სასამართლო დაევი (ძირითადად მოხელეთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო); ინფორმაციის საჯაროობა (კანონიერი გზით ინფორმაციის მიღების შესახებ სასამართლო პრაქტიკის არ არსებობა); კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები (გვ. 6-7-8). აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ კანონის“ (2004) მიღებამდე არის გამოცემული.

2001 წელს კი ექსპერტები წერდნენ, რომ საქართველოში აუცილებელია გატარდეს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა დეფამაციისა და საჯარო მოხელის ღირსებისა და პატივის ხელყოფის კუთხით. იმ პერიოდში არსებული

კანონი, განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეთა ღირსებისა და პატივის ხელყოფის თვალსაზრისით (სადაც ბრალდების ტვირთი იყო მოპასუხის მხარეს), პოტენციურად სახიფათო იარაღს წარმოადგენდა მედიის თავისუფლების წინააღმდეგ, რაც შეუსაბამისობაში მოდიოდა ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციასთან, რომლის ხელმომწერი საქართველოც არის. სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო სფეროში გაკეთებული პროგრესი ქვეყანაში მედიისა და ზოგადად დემოკრატიის განვითარებისთვის წინგადადგმულ წარმატებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ (ICPJ, 2001).

სიტყვის თავისუფლებაზე ახალი კანონის შექმნის აუცილებლობაზე საუბარი წლების მანძილზე მიმდინარეობდა. მაგალითად, გაზეთი „გულანი“ 1997 წელს წერდა: „წამყვანმა ქვეყნებმა ცივილიზებული ცხოვრების წესი საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული კანონებით დაიმკვიდრეს. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ დღეს ვდგამთ პირველ ნაბიჯებს. დემოკრატია იქ უკვე ტრადიციას, ჩვენთან კი საომარი ასპარეზი, რომელიც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს. ყველაზე ნათლად ეს სიტყვის თავისუფლებასა და სასამართლო სისტემასთან მიმართებაში ჩანს“ (სალია და ქრისტესელი, 1997, გვ.4).

ეს იყო საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელსაც ადამიანზე ძალადობის პრაქტიკა ავსებდა და სწორედ ამიტომ, ახალი კანონის მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: „თავისუფალი პრესა თავისუფალი საქართველო. ერთი ცნობილი ლოზუნგის პერიფრაზი დღეს ასე უნდა ჟღერდეს. თავისუფალ პრესა ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია, ყველაზე მოსაფრთხილებელიც. ამ თვალსაზრისით, საქმე არც თუ ისე კარგადაა, რადგან ძველი კანონი პრესის შესახებ არ მოქმედებს, ახალი კი რამოდენიმეა და შესაბამისად მისი მიღება ჭიანჭურდება“ (სალია და ქრისტესელი, 1997, გვ.4).

ამ პერიოდში კანონპროექტის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა ჟურნალისტთა ფედერაციის, რამაზ საყვარელიძის, გაზეთ „რეზონანსისა“ და „კავკასიონის“, რომელთა თაობაზე ჟურნალისტურ წრეებში აქტიურად მსჯელობდნენ. ექსპერტთა მოსაზრებით, თითოეულ მათგანში იყო მიუღებელი და ამავე დროს, მისაღები დებულებები, მაგრამ ოპტიმალურ ვარიანტად „კავკასიონის“ კანონპროექტს მიიჩნევდნენ, რომელიც გერმანულ მოდელზე იყო აგებული და სიტყვის თავისუფლებასთან ერთად პიროვნების უფლების დამცავ მძლავრ მექანიზმებს შეიცავდა.

არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა თანახმადაც მთავარი არა კანონმდებლობის შეცვლა, არამედ უკვე არსებულის დაცვა იყო, რათა ბოლო მოღებოდა ჟურნალისტთა თავნებობის, ცილისწამებას, ღირსებისა და პატივის ხელყოფას. 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული „კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ 25-ე მუხლში ეწერა, რომ ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს, მთავარ რედაქტორს და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი“.

სიტყვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიღებამდე ამ თემის ირგვლის არაერთი განსახვავებული მოსაზრება გამოითქვა, რაც საკითხის აქტუალობაზე, საზოგადოებრივ ინტერესსა და საჭიროებაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული კანონი მიიღო, რომელმაც, როგორც უკვე აღინიშნა, დეფამაციის დეკრიმინალიზაცია მოახდინა. მას შემდეგ დეფამაციასთან დაკავშირებული საქმეები მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოში განიხილება. ახალი კანონის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ ცრუ მტკიცებულებებით პიროვნების რეპუტაციის განზრახ შელახვისა და არა უბრალო შეცდომის გამო ხდება. ამით კანონი ქმნის ხელსაყრელ გარემოს თავისუფალი დებატებისა და განხილვისათვის. საჯარო და კერძო პირთა გამიჯვნა კი განხორციელდა იმ აღიარებული პრინციპის შესაბამისად, რომ საჯარო მოხელემ საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, კრიტიკა კიდევ უფრო მეტად უნდა მიიღოს და გაიზიაროს, ვიდრე ჩვეულებრივმა მოქალაქემ. მტკიცებულებისა და ბრალდების სიმძიმე კი მოპასუხის ნაცვლად, მოსარჩელეს დაეკისრა, რითიც მედიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის მოგება კიდევ უფრო რთული გახდა. კანონის თანახმად, იმ საჯარო ან კერძო პირებმა, რომლებმაც ზიანი მიაყენეს საზოგადოებას, ან იმ კერძო პირებმა, რომელთა ქმედება საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა, უნდა დაასაბუთონ, რომ მედიის ქმედება წინასწარგანზრახვით, ან გაუაზრებელად ცრუ ინფორმაციის გავრცელებით იყო განპირობებული, რამაც საბოლოოდ უტყუარი ინფორმაციის დამახინჯება გამოიწვია.

პოლიტიკური საჯარო დებატების, სასამართლოს წინასწარი მოსმენისა და სხდომების დროს, ასევე მოვალეობის შესრულების პროცესში სახალხო დამცველის, პარლამენტისა და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის წინაშე გაკეთებული განცხადებები არ შეიძლება სასამართლო განხილვის საგანი გახდეს. სასამართლომ შესაძლოა მხოლოდ მედიის ორგანოს მფლობელი გახადოს პასუხისმგებელი ცილისმწამებლური განცხადებების გამო. ჟურნალისტი ან რედაქტორი არასდროს აგებს პასუხს გამომცემლობის ცილისმწამებლური განცხადებების გამო. ყოველივე ეს ჟურნალისტების მნიშვნელოვან საკანონმდებლო დაცვას უზრუნველყოფს. ეს გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ჟურნალისტი იძულებული გახდეს აიყვანოს ძვირადღირებული ადვოკატი, ან გადაიხადოს ჯარიმა მიყენებული ზიანისთვის, რასაც ის შესაძლოა ვერც კი შეწვდეს.

სხვა უფლებებთან ერთად კანონი გამოხატვის თავისუფლების შესახებ უზრუნველყოფს პოლიტიკური დებატების, საგამომცემლო, აკადემიური და შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლებას, კრძალავს ცენზურასა და იცავს საგამომცემლო ჟურნალისტებს. სარედაქციო და პროფესიული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად კი, კანონი იცავს ჟურნალისტებს მფლობელისა და რედაქტორის მხრიდან უკანონო ზეწოლისაგან. ის იძლევა დამატებით გარანტიებს, რომელთა თანახმადაც ჟურნალისტს შეუძლია რედაქტორსა და მფლობელს სამოქალაქო სასამართლოში უჩივლოს. ამით ჟურნალისტს საშუალება ეძლევა თავი დაიცავს არ მხოლოდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუკი რედაქტორები და გამომცემლები მის დამოუკიდებლობას ხელყოფენ. კანონის ეს ნაწილი ჟურნალისტებს მხარს უჭერს, რომ სარედაქციო გადაწყვეტილებები პროფესიული თვალსაზრისით იქნას მიღებული.

კანონი დაცვის განსაკუთრებულ ზომებს მიმართავს იმ პირებისთვის, რომლებმაც უკანონობის აღკვეთის მიზნით კონფიდენციალური ინფორმაცია გაამჟღავნეს. სასამართლო პასუხისმგებელს ვერ გახდის იმ პირს, რომელმაც კეთილი ზრახვებით და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, კონფიდენციალური ინფორმაცია გაამჟღავნა, მით უმეტეს თუკი ამით მიღებული საზოგადოებრივი სარგებელი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მიყენებული ზარალი. კანონი ასეთ პირებს საშუალებას აძლევს მიყენებული მატერიალური და

მორალური ზარალის კომპენსაცია მოითხოვონ, თუკი გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, მათი უფლებები დაირღვა.

კანონი სრულად უზრუნველყოფს ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობას. სასამართლოს არ შეუძლია ჟურნალისტი აიძულოს, რომ მან კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო გაამჟღავნოს. პიროვნებათა სრული იურიდიული დაცვა გარანტირებულია, ანუ ჟურნალისტს ვერაფერს აიძულებს კონფიდენციალურობის დარღვევას ამის მაკომპენსირებელი ნებისმიერი ინტერესის მიუხედავად.

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „არტიკლ 19“-ის სამხრეთ კავკასიაში ინფორმაციის თავისუფლების შეფასებით დოკუმენტში წერია, რომ 2004 წელს მიღებული „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია მსოფლიოში, რომელშიც გათვალისწინებულია მსოფლიო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები. ის იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის მოძიების, მიღების, შენახვისა და გავრცელების უფლებას, კრძალავს ცენზურას, აძლევს ჟურნალისტებს საშუალებას, რომ დაიცვან ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობა და ასევე ის, ვინც ეს ინფორმაცია გაამჟღავნა (ARTICLE 19, 2005).

„არტიკლ 19“-ის (2005) შეფასებით დოკუმენტში ასევე მოცემულია ის წინააღმდეგობები, რომლებსაც რეგიონში ჟურნალისტები აწყდებიან ინფორმაციის მოპოვების დროს:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმების და შესაბამისი პროცედურების ნაკლებობა;
- ჟურნალისტთა მიერ მათ სამართლებრივ უფლებებში გაუთვითცნობიერებლობა;
- ოფიციალური საბჭოური დამოკიდებულება საიდუმლოსა და კონფიდენციალურობის მიმართ;
- მედიის წარმომადგენლებს შორის სოლიდარობის ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი;
- მედიის მიერ საკუთარი უფლებების სასამართლოში დაცვის ტრადიციის არ არსებობა, რაც ძირითადად სამართლის ადმინისტრირებისა და

გახანგრძლივებული სასამართლო პროცესების მიმართ სექსტივიზმით არის განპირობებული;

- შურნალისტთა მიერ არასაიმედო წყაროზე დაყრდნობა, როდესაც ისინი ოფიციალური სტრუქტურებიდან ინფორმაციის მოძიებას ვერ ახერხებენ.

მედია სფეროში ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული წარმატებული ცვლილებებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და მის მიერ დაფინანსებული ტელევიზიის გაუქმება შეიძლება ჩაითვალოს. 2004 წელს სახელმწიფომ შეწყვიტა გაზეთების დაფინანსება და „კანონი მაუწყებლობის შესახებ“ მიიღო, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ბაზაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩამოყალიბდა, რაც საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია წარმატებულ ნაბიჯად ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ანგარიშვალდებულია არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების წინაშე. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს 9 წევრი აირჩია, რომელთა სია პარლამენტს დასამტკიცებლად პრეზიდენტმა გადასცა. სამეთვალყურეო საბჭომ კი მაუწყებლის პირველ გენერალურ დირექტორად თამარ აირჩია. „კანონი მაუწყებლობის შესახებ“ (2004) იცავს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, ფინანსურ დამოუკიდებლობას. ამავე კანონის თანახმად, არ შეიძლება, რომ მაუწყებლის წლიური შემოსავალი მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტის 0.15 %-ზე ნაკლები იყოს.

დაბოლოს, ლიცენზირების ახალი სისტემა მათი მინიჭების პროცესში მიკერძოებას გამორიცხავს და დამოუკიდებლობის მყარ გარანტიებს იძლევა. „კანონში მაუწყებლობის შესახებ“ (2004) შესწორება 2006 წლის დეკემბერში შევიდა, რომლის თანახმადაც პროფესიულ სტანდარტთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებული ყველა საკითხი მაუწყებლებმა თვითრეგულირებით უნდა გადაწყვიტონ. კანონი მკაცრად კრძალავს სასამართლოს, საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მსგავს საკითხებში ჩარევას.

მაუწყებლებმა თავად უნდა გადაწყვიტონ შემოსული საჩივრების განხილვა თვითრეგულირების შიდა მექანიზმის, ან იმ მედია რეგულირების ორგანოს (მაგალითად, მედია საბჭოს) საშუალებით, რომლის წევრადაც ისინი

მოიაზრებიან. მსგავსი სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია მთელს ევროპაში. შეტანილმა შესწორებებმა ჟურნალისტთა და რედაქტორთა პროფესიული დამოუკიდებლობის დამცავი მექანიზმები კიდევ უფრო გააძლიერა.

ვინაიდან ფინანსური დამოუკიდებლობა ბევრი მედია გამოცემისთვის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემაა, სუბსიდირების საკითხი კვლავ დავისა და განხილვის საგნად რჩება. „საქართველოში გამოსატყვის თავისუფლების ძირითად გამოწვევად მედიის მფლობელობისა და პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა წარმოადგენს, რაც მის დამოუკიდებლობასა და მრავალფეროვნებაზე უარყოფითად აისახება“, – აღნიშნულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფალი აზრის მონიტორინგის არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით დოკუმენტში (ARTICLE 19, 2005). მედიის განვითარების ხელშესაწყობისა და მისი ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც 2007 წლის 1 იანვრამდე ბეჭდვური მედია გათავისუფლდა გაყიდვებიდან და რეკლამიდან მიღებული მოგების დამატებითი გადასახადისგან (ARTICLE 19, 2005).

- **გამოსატყვის უფლების სამართლებრივი დაცვის ტრადიცია**

ბოლო წლების მანძილზე გამოსატყვის უფლების სამართლებრივი დაცვის მხრივ არაერთგვაროვანი სურათი იქმნება. არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები უპირისპირდებიან ხელისუფლებას, ან პირიქით ხელისუფლება ჟურნალისტებს, თუმცა ხდება ისიც, რომ ჟურნალისტები თავად ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოდიან, საქმე კი ხან მიდის სასამართლო განხილვამდე, ხან კი დაპირისპირებული მხარეები მხოლოდ სარჩელის აღძვრის მუქარით შემოიფარგლებიან. ხელისუფლების მედიასთან დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სასამართლო პროცესი - ზურაბ ჟვანია „თავისუფალი გაზეთის“ წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, გაზეთის 2004 წლის 20-26 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობების უარყოფას და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 5000 ლარს მოითხოვდა. „თავისუფალი გაზეთის“ ფურცლებზე კი გამოქვეყნდა, რომ: „ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტისა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ ჟვანია დგას“, „ერთ-ერთი

შეხვედრისას ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გიორგი ლეჟავას, რომ რკინიგზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად 2 მილიონი ლარი უნდა გადაეხადა”, „ზურაბ ჟვანია მოლაპარაკებას აწარმოებს საერთაშორისო ძებნილ კურტისტან”. 2004 წლის 23 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე ზურაბ ჟვანიას მოთხოვნა და მოპასუხეს გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 5000 ლარის გადახდა დააკისრა.

„თავისუფალმა გაზეთმა” კი საქართველოს კონსტიტუციის (1995) 42-ე მუხლის საფუძველზე რაიონული სასამართლოს განაჩენი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლო პროცესზე აპელანტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ცნობები, რომელთა უარყოფასაც ითხოვდა ზურაბ ჟვანია არ ლახავდა მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას და მათი გავრცელებით მოსარჩელეს არ მიაღება მორალური ზარალი. მათი აზრით, სწორედ ამიტომ 5000 ლარის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო.

2004 წლის 1 ოქტომბერს საოლქო სასამართლომ შეცვალა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელესთვის მორალური ზარალის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან მოსარჩელემ თავად მოხსნა ეს მოთხოვნა, ხოლო გავრცელებული ცნობების უარყოფა ძალაში დატოვა. „5000 ლარის მოთხოვნა თავიდანვე იყო იმდენად არაარგუმენტირებული და დაუსაბუთებელი, რომ მე ვფიქრობ, ლოგიკური იყო მათი მხრიდან ამის გაკეთება. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ არ დაკმაყოფილებულიყო სარჩელი ინფორმაციის უარყოფის საკითხში”, – განაცხადა „თავისუფალი გაზეთის” რედაქტორმა თამუნა ლევსვერიძემ („პრემიერ-მინისტრის...” 2004, 7 ოქტომბერი).

მისივე თქმით, სასამართლო დამოუკიდებლად არ მოქმედებდა და ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა: „დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო განიცდის ზეწოლას, როდესაც პრემიერ-მინისტრის სარჩელს განიხილავს, მე მესმის, რას გრძნობს და რა ვალდებულებები აქვს მოსამართლეს და არ მიკვირს თუ გავლენის ქვეშაა” („პრემიერ-მინისტრის...” 2004, 7 ოქტომბერი).

თუკი ჩვენ „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონში” (2004) ცილისწამების განმარტებას გავეცნობით, რაც არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება – დავინახავთ, რომ მოსარჩელე მისი მისამართით გამოთქმული

ცილისწამებლური განცხადებების უარყოფას ითხოვდა, მაგრამ ამავე კანონის 14 მუხლი საჯარო პირთა ცილისწამებაზე ამბობს, რომ „პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელეს შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და გაცხადებული ფაქტების მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გაკეთება”.

სწორედ იმიტომ, რომ სამოქალაქო სასამართლოში ზურაბ ჟვანიას წარმომადგენლებმა ვერ დაამტკიცეს გაზეთის მიერ გავრცელებული ცნობების მცდარობა, რამაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს და თავად მოხსნეს მორალური ზარალის ანაზღაურების მიზნით თანხის გადახდის მოთხოვნა. კანონის მიხედვით მორალური ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში ხდება „თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელესათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელესათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (ზიანის) ანაზღაურება” (მუხლი 17. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება).

საქართველოში სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის გაცნობა მეტად საგულისხმო ინფორმაციას იძლევა კანონის ინტერპრეტაციისა და მისი გამოყენების შესახებ.

არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონფლიქტი ცრუ ინფორმაციის გავრცელების ბრალდებით თავად ჟურნალისტებს შორისაც წარმოიშვა. მაგალითად, სააგენტო „მედიანიუსის” მიერ 2006 წლის 19 ივლისს გავრცელებული ცნობით, სტუდია „რეპორტიორის” ხელმძღვანელმა ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ გაზეთი „ალია” ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. გაზეთ „ალიას” მიერ საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივინფოზე” დაყრდნობით გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ტელეკომპანია „202”-ის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გოგა კობრიძემ ფულის გამოძალვის გამო ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე სამსახურიდან გაათავისუფლა. ჟურნალისტი „ალიას” ცრუ ინფორმაციის

გავრცელების გამო ბოდიშის მოხდას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სასამართლოში ჩივილს აპირებდა. აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, სასამართლო წესით ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დაუშვებელია მოპასუხის იძულება მოიხადოს ბოდიში (მუხლი 17. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება).

ბოდიშის მოხდა საბჭოთა კანონმდებლობით, კერძოდ, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმა იყო, რომელიც 1997 წელს, ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ (1997) მიღების შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ამ მკედარ, უკვე არარსებულ ნორმას მაინც მიმართავდნენ და მოპასუხეს კანონშეუსაბამო პასუხისმგებლობის ფორმას აკისრებდნენ. სწორედ ამ მახინჯი სასამართლო პრაქტიკის გამო ახალ კანონში საგანგებოდ ჩაიწერა ზემოთ ნახსენები პუნქტი იძულებით ბოდიშის მოხდის დაუშვებლობის შესახებ.

სასამართლო წესით ბოდიშის მოხდის მოთხოვნის კიდევ ერთი მაგალითია გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის გიორგი დონაძის მისამართით წამოყენებული პრეტენზიები, როდესაც გაზეთის მთავარმა რედაქტორმა გიორგი კაპანაძემ 2006 წლის 23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, გიორგი დონაძის თანამდებობიდან გადადგომა და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა. საქმე ეხებოდა საჯარო მოხელის მიერ ჟურნალისტის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რასაც გაზეთის რედაქტორის თქმით, არაერთხელ ჰქონია ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალისტები სასამართლოში ჩივილით იმუქრებოდნენ.

სასამართლოში სარჩელის აღძვრის მუქარით ერთმანეთის „დაშინების“ სხვა მაგალითებიც არსებობს. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ბესო ჯუღელი 2007 წლის აპრილში აცხადებდა, რომ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის “ჯუღელიზმის” გამო, ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებდა და ჟურნალისტისგან მცდარი ინფორმაციის გავრცელების გამო ბოდიშის მოხდას მოითხოვდა. ეკა კვესიტაძის განცხადებით კი, წესით, ჯუღელისთვის უნდა ეჩივლათ სასამართლოში, რადგან ის, თავისი განცხადებებით ეროვნულ შუღლს აღვივებდა.

ჟურნალისტთა და საჯარო მოხელეთა დაპირისპირების კიდევ ერთი მაგალითია ჟურნალისტ გია მთივლიშვილის დაპირისპირება გურჯაანის საკრებულოს თავმჯდომარესთან ზურაბ ხევიაშვილთან, რომელსაც ჟურნალისტმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის გამო მუნიციპალიტეტის საკრებულოს რაიონულ სასამართლოში უჩივლა. კონფლიქტი გურჯაანის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის დაბლოკვამ და 2006 წლის 8 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დახურულად გამოცხადებამ გამოიწვია. ამ სხდომაზე რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელი უნდა აერჩიათ, საკრებულოს მუდმივი კომისიების დებულებები დაემტკიცებინათ და ასევე, საკრებულოს №6 დადგენილებაში და ბიუჯეტში ცვლილებები უნდა შეეტანათ. „სასამართლოდან პირველი სარჩელით ვითხოვ დაავადებულოს გურჯაანის საკრებულო, დაუყოვნებლივ გასცეს ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც საკრებულოს აპარატის სტრუქტურას და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს შეეხება. მეორე სარჩელით, რომელსაც სასამართლოში ამ დღეებში წარვადგენ, საკრებულოს №6 დადგენილების ბათილად ცნობას და ასევე ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემას მოვითხოვ“, – განაცხადა ჟურნალისტმა სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ („გურჯაანის საკრებულო...“ 2007, 5 იანვარი). ზემოთ მოყვანილი ფაქტიდან ყველაზე ყურადსაღებია მოსამართლე შალვა მჭედლიშვილის თანაშემწის ნინო ქაჩლიშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამორიცხული არ იყო, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს ინფორმაციის გაცემასთან ერთად ჟურნალისტებისთვის ბოდიში მოეხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის დაპირისპირება ჟურნალისტებთან გურჯაანშიც მოხდა, როდესაც გაზეთ „იმედის“ კორესპონდენტს გარსევან ბუხნიკაშვილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა შურაცხყოფა მიაყენა, მაშინ როდესაც ჟურნალისტმა მას მოსახლეობის პრეტენზიებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა. გაზეთის რედაქტორმა ალბინა აბრამოვამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 2007 წლის 17 ივლისს განცხადება გააკეთა და გამგებლისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიტანდა. საგარეჯოს იმავე გამგებელმა ადგილობრივი კორესპონდენტი მიშკო ლაზაშვილი გამგეობის სხდომიდან გააძევა, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის გამო საქმე სასამართლომდე არ მივიდა და შესაბამისად გამგებელს

პასუხი არავინ მოსთხოვა (მთივლიშვილი, 2007, 17 ივლისი). ამის მიზეზად კი თავად ჟურნალისტის უუნარობა, ინერტულობა და შელახული უფლებების კანონიერი გზით აღსადგენად სურვილის არქონა შეიძლება მივიჩნიოთ, რაც დაბალ პროფესიულ მომზადებაზე მიუთითებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სასამართლო საქმე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2003 წლის 23 ივლისს აკაკი გოგიჩაიშვილმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა იმის დადგენა, თუ რამდენად კონსტიტუციური იყო საქართველოს „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ (1997) მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და „კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ (1991) მე-20 მუხლის პირველი პუნქტი. ჟურნალისტს სარჩელის აღძვრის საფუძველს საქართველოს კონსტიტუციის (1995) მე-19 მუხლი აძლევდა, სადაც ნათქვამია, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ... „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ (1997) მე-18 მუხლის თანახმად კი, დეფამაციური ცნობების გამავრცელებელს სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვებოდა გავრცელებული ცნობების უარყოფა, თუ გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერებოდა. წინააღმდეგობა კი სწორედ აქ იჩენდა თავს, ვინაიდან საქართველოს უმაღლესი კანონით დაცული იყო კონსტიტუციური უფლება, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს სიტყვისა და აზრის გამოთქმის იძულებისაგან; ხოლო „სამოქალაქო კოდექსის“ (1997) მე-18 მუხლი აიძულებდა ადამიანს უარყოფა გავრცელებული ცნობები იმისდა მიუხედავად ის დაამტკიცებდა თუ არა მათ სისწორეს, შეიცვლიდა თუ არა აზრს და თავად იზიარებდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას, ანუ მას იძულებით უნდა ჩაედინა თავისი შეხედულებებისა და მრწამსის საწინააღმდეგო ქმედება, რასაც კრძალავდა საქართველოს კონსტიტუციის (1995) მე-19 მუხლი.

სასამართლომ აკაკი გოგიჩაიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა სადავო ნორმა, რომელიც ამავე დროს არღვევდა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას. გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალმა კანონმდებლობამ კი, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ (1997) მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და „კანონის პრესისა და

მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ” (1991) ძალადაკარგულად გამოცხადებით, გააუქმა ცნობების უარყოფის დაკისრების ინსტიტუტი.

ეს შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის გამოსატყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ცოდნა (თუნდაც გაუმართავისა და შეუსაბამოსი) საკუთარი კანონიერი უფლებების დასაცავად იმისდა მიუხედავად, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების ჩამონათვალი შესაძლოა ბევრად უფრო ვრცელი იყოს, მაგრამ რამდენიმე მათგანთან გაცნობაც კი, საკმარის მასალას გვაწვდის საქართველოში სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი დაცვის ტრადიციასთან დაკავშირებული ზოგადი ტენდენციების გასაცნობად და ასევე, ჟურნალისტთა მიერ მედია სამართლის საკითხების ცოდნის დასადგენად; ასევე იმის გასაგებად, თუ რა სახის კონფლიქტური სიტუაციები შეიძლება წარმოიშვას ჟურნალისტური საქმიანობის შედეგად. ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დემოკრატიული კანონების მიღებას, არამედ მათ პრაქტიკულ გამოყენებას და შესაბამის ინტერპრეტაციას. კანონით გარანტირებული უფლებების სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის შექმნა კი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჟურნალისტთა მზადყოფნასა და სურვილზე საკუთარი უფლებების დასაცავად.

- **ჟურნალისტური საქმიანობის ეთიკური პრობლემატიკა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის ეფექტიანობა აუდიტორიაზე ზემოქმედებას, მისი ქმედებების განსაზღვრას გულისხმობს, როდესაც მასმედიის ფუნქციონირების შედეგად სოციალური ინსტიტუტები კონკრეტულ ზომებს მიმართავენ. მედიის საქმიანობის შედეგიანობა დამოკიდებულია ჟურნალისტის ფუნქციების ზედმიწევნით ზუსტ შესრულებაზე, პრინციპების დაცვაზე, ჟურნალისტურ პრაქტიკაში სამართლებრივი და ეთიკური ნორმების გათვალისწინებასა და ჟურნალისტურ ოსტატობაზე.

მასმედია დიდ როლს ასრულებს სამყაროს შეცნობაში, საზოგადოებასა და ინდივიდს შორის დინამიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და

სოციალური წონასწორობის დაცვაში, მაგრამ ამავე დროს, ის დამღუპველი ძალის მქონეა, რადგან შესაძლოა ცნობიერების მანიპულირების საშუალება გახდეს. თანამედროვე ჟურნალისტიკაზე ბაზრის რეალიები (ბრძოლა გადარჩენისათვის, რაც კონკურენციას იწვევს) და ინფორმაციული პროცესების გლობალიზაციაც მოქმედებს, როდესაც მზარდი საინფორმაციო ინდუსტრიის გავლენით იკარგება ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვეულებრივი და ყოველდღიური ხდება საქმოსნობა, ამორალურობა, სენსაციურობა, უპრინციპობა და მასობრივი კულტურა (ტრივიალური, ადვილად აღსაქმელი და გასაგები ხელოვნება), როდესაც იშლება ზღვარი რეალურსა და იდეალურს, ხელმისაწვდომსა და ყოველმხრივ ნებადართულს შორის...

იქედან გამომდინარე, რომ დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილის – მედიის თავისუფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ასევე იმ უდიდესი ზეგავლენის გათვალისწინებით, რომელსაც ის საზოგადოებაზე ახდებს, სულ უფრო აქტუალური ხდება მედია ეთიკისა და თვითრეგულირების საკითხები. სწორედ აქ უნდა იყოს დაცული ბალანსი თავისუფლებასა და მის რეგულირებას შორის, რაც თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების გააზრების გარეშე წარმოუდგენელია. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტებს მოეთხოვებათ, რათა მათ ჟურნალისტიკის უმთავრესი სოციალური ფუნქცია საზოგადოების სამსახური თავისუფლების პირობებში გაცნობიერებული აუცილებლობით, ანუ პასუხისმგებლობით განახორციელონ.

პროფესიული ეთიკის საკითხები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნდამენტურ პრობლემებს განეკუთვნება. აქ იგულისხმება ისეთ საჭირობორტო კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორცაა: რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ჟურნალისტიკა? როგორია ჟურნალისტის როლი და პასუხისმგებლობა? როგორი უნდა იყოს კრიტიკული ინფორმაცია? და სხვა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის შესახებ მსჯელობენ არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ჟურნალისტურ წრეებში, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებში: გაერო, იუნესკო, ევროკავშირი, ეუთო და სხვა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემებზე ძალიან ბევრი ნაშრომია გამოქვეყნებული, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პარიზის უნივერსიტეტის ფრანგული პრესის ინსტიტუტის პროფესორის კოლდ-ჟან ბერტრანის „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ (2004), ასევე ამერიკელი მედია

მკვლევარების ქლიფორდ ქრისტიანსის, კიმ როტზოლისა და მარკ ფეკლერის „მედია ეთიკა: ფაქტები და მორალური არგუმენტაცია“ (1991). ისინი ამ სფეროში არსებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

კლოდ-ჟან ბერტრანის აზრით, „მედია ეთიკა მისტიკური სფეროა, სადაც მეგზურობას ხშირად გვიწევს ფილოსოფოსები, რომელთა ენა მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, ან პრაქტიკოსები, რომელთაც მწირი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა თეორიული ბაზა არსებობს ამ სფეროში“ (ბერტრანი, 2004, გვ.19). სწორედ ამიტომ ჟურნალისტურ ეთიკაზე საუბრისას თეორიული დებულებები არ უნდა დავივიწყოთ. ამ მოსაზრებას მედიის არაერთი თანამედროვე თეორეტიკოსი იზიარებს. მაგალითად, ამერიკელი მედია მკვლევარის დეილ ჯექუიტის აზრით: „ახალი ამბების გადაცემის დროს მიკერძოების პრობლემა ძირეულად დაკავშირებულია სიმართლის ძიების მეთოდოლოგიის თეორიულ საკითხთან, ვინაიდან ეს შეეხება მეცნიერებას, ისტორიას და ჩვენს მიერ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ზოგად გააზრებას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ვალდებულებათა საკითხები, რომლებიც ჟურნალისტებსა და საზოგადოებას შორის კონფლიქტურ სიტუაციებში იჩენენ თავს, სცილდება ინდივიდუალური მორალის ფარგლებს, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ და სამართლის ფილოსოფიაზე, ასევე მედიის სოციალური დანიშნულების კონცეფციაზე“ (Jacquette, 2007, გვ.8). ამავე მოსაზრებას იზიარებს მედია მკვლევარი პოლ თროდი, როდესაც წერს: „ნებისმიერი კარგი კვლევა მედიის ზეგავლენის საკითხებზე თეორიული არგუმენტებით უნდა იყოს გაჯერებული“ (Traudt, 2005, გვ.12).

იქედან გამომდინარე, რომ ადამიანს პასუხი მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე მოეთხოვება, ეთიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ მედია თავისუფალი იქნება. უეჭველია, მედია ეთიკა მხოლოდ დემოკრატიის პირობებში შეიძლება არსებობდეს. კლოდ-ჟან ბერტრანის აზრით კი, თვითრეგულირებაზე სერიოზული საუბარი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია და შედარებით წარმატებული მედიაში პროფესიონალი ჟურნალისტები მუშაობენ. ფრანგ მკვლევარს ღარიბი ქვეყნების მაგალითი მოჰყავს, სადაც ცხოვრების დაბალი დონე რეკლამის სიმცირეს განაპირობებს, რის შედეგადაც მედია ღატაკი, კორუმპირებული და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადია; თუმცა რეგულირება დემოკრატიის პირობებშიც კი, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

და საჭირობორტო საკითხად რჩება. ამის დასტურად კლოდ-ჟან ბერტრანი აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ჯონ ადამსის სიტყვებს იშველიებს, რომელიც თავის მეგობარს 1815 წელს სწერდა: „თუ ოდესმე გაუმჯობესდება კაცობრიობის მდგომარეობა, ფილოსოფოსები, თეოლოგები კანონმდებლები, პოლიტიკოსები და მორალისტები აღმოაჩენენ, რომ პრესის რეგულირება არის ყველაზე რთული, სახიფათო და მნიშვნელოვანი იმ საკითხთა შორის, რაც ოდესმე მათ გადაუწყვეტიათ“ (ბერტრანი, 2004, გვ.11).

მედია ეთიკა მოიცავს პროფესიონალების მიერ შემუშავებული პრინციპებისა და წესების ერთობლიობას, რაც დიდი გამოცდილებისა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. უმჯობესი იქნებოდა, რომ მათი შემუშავების პროცესში საჯარო დებატებისა და განხილვების გზით, საზოგადოებაც მონაწილეობდეს, რადგან ეთიკური ნორმების დარღვევების გამო არა ცალკეული პიროვნებები, არამედ მთელი საზოგადოება ზარალდება. დემოკრატია ხომ ხალხის ძალაუფლებაა, თავად დემოკრატიული თეორია კი მედიას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

დღეს ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში განათლება და ინფორმაცია ის ორი ძირითადი დედაბოძია, რომელსაც თავისუფალი საზოგადოება ეყრდნობა. საზოგადოებრივი აზრი უდიდესი ძალაუფლების მქონე იარაღად განიხილება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედიცაა. თავისუფალი პრესა თომას ჯეფერსონის პოლიტიკური მრწამსის საფუძველია. მისი აზრით, დამოუკიდებელი საინფორმაციო სამყარო თავისუფლებას ნიშნავს, რომელიც სხვა სახის თავისუფლებათა დაცვის გარანტიად გვევლინება.

სწორედ ამ პრივილეგიუბულობის გამო, რასაც ჩვეულებრივ ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას (enlightment function) უწოდებენ, კრიტიკოსები და მედია მკვლევარები მედიას პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებენ.

რეალობა გვაჩვენებს, რომ მედიით უკმაყოფილო ადამიანთა მზარდი რაოდენობა და მათი თავდასხმების სიმძაფრე ბოლო ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებულად თვალშისაცემი გახდა. ამ რთულ სამყაროში რეპორტაჟები ახალი ამბების შესახებ ეროვნულ სიამაყედ იქცა. ჟურნალისტთა პროფესიონალიზმი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სწორედ ამიტომ, დღეს ჟურნალისტები, ისე როგორც არასდროს, უნდა აცნობიერებდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას. მედიის ორგანოები თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ და სწორედ ამ გზით უნდა

იღებდნენ პროფესიულ გადაწყვეტილებებს. როგორ უნდა შეასრულონ ჟურნალისტებმა საკუთარი მისია სრულყოფილად? მაგალითად, პულიტცერის პრემია უნდა გადაეცეს თუ არა ჟურნალისტს, რომელიც ინფორმაციის მოსაძიებლად ტყუილს კადრულობს? ყველა ქვეყანაში უნდა არსებობდეს თუ არა ეთიკის კომისია? სტუდენტები უნდა აბარებდნენ თუ არა გამოცდას ეთიკაში? ეს კითხვები თავისთავად მიუთითებენ იმაზე, რომ პრობლემა არსებობს... „პრესა თავისუფალი უნდა იყოს“, – აცხადებს თომას ჯეფერსონი, – „კონსტიტუციის პირველი შესწორება სიტყვის თავისუფლების გარანტიაა“, – იმეორებენ სხვები, მაგრამ ჟურნალისტთა უპასუხისმგებლობის დროს ეს სიტყვები ძალას კარგავენ და მხოლოდ რიტორიკულ ხასიათს იღებენ. იქ, სადაც თავისუფლება ყველაზე დიდი ფასეულობაა, ანგარიშვალდებულება ხშირ შემთხვევაში არასწორად არის გაგებული. ვალდებულებათა შესრულების კანონიერი მოთხოვნა ხშირად მიუღებელია, მაშინ, როდესაც საუბარს მედიის თავისუფლებაზე ვიწყებთ... ამ დროს ეთიკური პრინციპები, რაც სწორედ ვალდებულებათა შესრულებასა და სხვისი აზრის გათვალისწინებას გულისხმობს, ჟურნალისტიკაში თავის კუთვნილ ადგილს ვერ პოულობენ. ეს კი სიტყვის თავისუფლების „ნეგატიურ თავისუფლებაში“ გადაზრდის საშიშროებას ქმნის, რაც უფლებათა ბოროტად გამოყენებას გულისხმობს...

ეთიკური საკითხები, რაც ინტერესთა კონფლიქტს, სოციალურ სამართალს, კონფიდენციალურობის დაცვასა და სხვა უამრავ პრობლემატურ სფეროს მოიცავს, გარკვეული გარემოებების მიხედვით უნდა განვიხილოთ. 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, პრესის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი მხოლოდ 13,7 პროცენტით განისაზღვრებოდა, რაც გასულ ათწლეულში ყველაზე დაბალ და ამავე დროს, საგანგაშო მაჩვენებლად ითვლება. ის საზოგადოების საერთო განწყობას გამოხატავს და მასმედიის მიმართ, რომლის თავისუფლების აუცილებლობაში ეჭვი არავის ეპარება, ხშირად გაღიზიანებას იწვევს. სწორედ ეს აიძულებს ძალიან ბევრ მკვლევარს, რომ ეთიკურ პრობლემებზე იმუშაონ. შეზღუდვათა ტენდენცია ჟურნალისტებს მოქმედების თავისუფლებას ართმევს, მაგრამ საერთო კულტურული გარემო ისეთია, რომ ჟურნალისტები უფრო მეტად თავისუფალნი და ამავე დროს თავშეკავებულნი უნდა იყვნენ, ანუ თავისუფლების ზრდასთან ერთად მათი კეთილგონიერებაც უნდა იზრდებოდეს. მორალურ დილემათა ანალიზი, რომლის წინაშე შესაძლოა

ნებისმიერი ჟურნალისტი აღმოჩნდეს, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ ეთიკის საკითხებს ჟურნალისტური საქმიანობის დღის წესრიგში წამყვანი ადგილი უჭირავს.

უკანასკნელი წლების მასმედიაში დიდი ცვლილებები შეინიშნება. ინტერნეტის ქსელის შექმნამ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, სამუშაოს გამარტივების გარდა, მოთხოვნილებების გაზრდა გამოიწვია და ამასთან დაკავშირებული სირთულეები წარმოქმნა. მოხდა ძველის გადაფასება და ახალი ღირებულებების შექმნა, თუმცა წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ეთიკური ნორმები და მორალური ფასეულობები ნაწილობრივ უცვლელი დარჩა. ეს პროცესები მთელს მსოფლიოში შეინიშნება. მაგალითად, ამერიკული პრესის თეორეტიკოსები ძალიან ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკული ჟურნალისტიკა ძლიერ შეიცვალა... იმ პერიოდში გაზეთების რედაქციებში მომუშავე დამწყებ რეპორტიორთა უმეტესობას უნივერსიტეტის დიპლომი არ ჰქონდა, მაგრამ მათ იცოდნენ, თუ როგორ შეექმნათ ჟურნალისტური მასალა პატიოსნად, გარკვეული ეთიკური პრინციპების დარღვევის გარეშე. იმდროინდელი ჟურნალისტთა კორპუსი უზარმაზარი ხომალდის ეკიპაჟად განიხილებოდა, რომელიც ერთი გუნდის პრინციპით მოქმედებდა, თუმცა მაშინ ის ისეთივე მოღური არ იყო, როგორც დღეს არის. იმ პერიოდის ჟურნალისტიკის ამოცანას სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის ყოველდღიურად მიწოდება წარმოადგენდა, რასაც ის თავს წარმატებით ართმევდა. რეპორტიორთა უმეტესობა, მათი შინაგანი თვისებებიდან გამომდინარე, ეთიკურ პრინციპებს არ არღვევდა და ყველაზე დიდ ეთიკურ პრობლემად საშობაოდ ერთი ბოთლი ვისკის საჩუქრად მიღება ითვლებოდა.

დღეს კი, ჟურნალისტიკა ბევრად უფრო მოღურია, ვიდრე ჰოლივუდი, ხანდახან უფრო მეტი ძალაუფლების მქონე, ვიდრე ამერიკის კონგრესი, ბევრად უფრო გავლენიანი, ვიდრე ა.შ.შ.-ს ეკლესიები და სინაგოგები ერთად აღებული. დღეს პროფესიონალ ჟურნალისტად ის განიხილება, ვინც ახერხებს იმას, რომ ადამიანები ერთმანეთს დააპირისპიროს და მის მიერ შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში რაც შეიძლება მეტი პიროვნება გახვიოს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დღეს ჟურნალისტიკა ნაკლებად ეთიკურია, ვიდრე ის 25 წლის წინ იყო? პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, დადებითია.

ცნობილი ამერიკელი მწერალი და რედაქტორი ჰოლინგ კარტერ III წერდა: „უხეშად რომ ვთქვათ, დღეს თანამედროვე მასმედია, მისი ეთიკური მხარის გათვალისწინებით, ჯუნგლებში იმყოფება, სადაც ბატონობს პრაგმატიზმი, ნაკლებად მოქმედებენ საკუთარი პრინციპებით და რომლის მცხოვრებნიც თავს იწონებენ ირგვლივ გამეფებული ანარქიით” (Christians, Rotzoll & Fackler, 1991, გვ.9-10). უფრო მეტიც, დღევანდელი ჟურნალისტიკის ძირითად ამოცანას მასობრივი აუდიტორიისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოების სიჯანსაღესა და კეთილდღეობაზე ზრუნვა არ წარმოადგენს. დღეს ჟურნალისტების დიდი ნაწილი თვითკმაყოფილებით არის შეპყრობილი, რომელიც ჟურნალისტური მოვალეობის შესრულების დროს არანაირი პროფესიული წესებით არ სარგებლობს (რაც საერთოდ ნებისმიერ პროფესიას, მათ შორის ჟურნალისტიკასაც აქვს). ზოგი მიიჩნევს, რომ მისი უმაღლესი მისია და მოწოდება „სიმართლის ძიებაა და სამწუხაროდ, ამ ძიების პროცესში უამრავ შეცდომას უშვებს. თვითკმაყოფილებისა და გრანდიოზულობის ფონზე ჟურნალისტები უარს ამბობენ, რომ მათი, როგორც ამ პროფესიის წარმომადგენლების ნებისმიერი ქმედება მორალური და ეთიკური კუთხით განიხილებოდეს. ის, რაც სხვა პროფესიებს საფუძვლად უდევთ, დღეს ჟურნალისტებს არათუ არ აინტერესებთ, არამედ პირიქით, ხშირ შემთხვევაში მისი არსებობის აუცილებლობასაც ვერ ხედავენ. დღეს მთავარია ინფორმაციის მოძიება და ამ პროცესში ნებისმიერი მიღებული თუ მიუღებელი, დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხის გამოყენება...

ამ თემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ის, რაც დაშვებული და დაუშვებელია იურიდიული და მორალური კანონებით. იურიდიულ კანონებზე საუბარი შედარებით უფრო ადვილია, ხოლო რაც შეეხება მორალურ კანონებს, მათი დაცვა მხოლოდ სინდისის კარნახით არის შესაძლებელი, რაც ვითარებას კიდევ უფრო ართულებს... სწორედ ამიტომ, განხილვის საგნად უნდა ვაქციოთ დღეს ჟურნალისტების წინაშე მდგარი უმთავრესი ეთიკური პრობლემა, რომელიც თავისთავად ძლიერ განსხვავდება ერთი ბოთლის ვისკის აღებასთან დაკავშირებულ დილემასთან. არიან თუ არა პუბლიცისტები ნდობით აღჭურვილი პირები? სამწუხაროდ, ჟურნალისტები სიმართლის ძიებისას ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად არის მისაღები და ზნეობრივად გამართლებული მათი საქციელი. რა ეთიკური პრობლემების წინაშე დგას დღეს თანამედროვე ჟურნალისტიკა? თუ კარგად დავაკვირდებით

დავინახავთ, რომ დღესდღეობით ერთი ტენდენცია მძლავრობს: თვითრეკლამისა და პიროვნული ამბიციებისკენ სწრაფვა. ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჟურნალისტი ამ სფეროში წარმატების იოლი გზით მოსაპოვებლად მოდის და ამავე დროს ვერ აცნობიერებს იმ ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც ამ ადამიანებს საზოგადოების, პროფესიული გაერთიანებისა და საკუთარი თავის წინაშეც უნდა ჰქონდეთ.

ისინი ჟურნალისტიკაში ძალაუფლების მოსაპოვებლად მოდიან, რადგან ის საყოველთაო აღიარებისკენ მიმავალი სანატრელი გზა გახდა, რომელიც ეკავად ვარდებით არის მოფენილი. ამ გზის სირთულეს არა მარტო სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები, არამედ თავად ჟურნალისტების მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა განაპირობებს.

დღეს ჟურნალისტიკის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ჟურნალისტმა უილიამ პიტერ ჰამილტონმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „გაზეთი კერძო საწარმოა, რომელსაც საზოგადოების წინაშე ვალდებულებები არ აქვს, შესაბამისად, არც საზოგადოებას აქვს ხმის უფლება მასზე. სწორედ ამიტომ, ის საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მოქმედებს. გაზეთი, უპირველეს ყოვლისა, მისი მფლობელის საკუთრებაა, რომელიც რისკისა და შიშის ფასად, თავის პროდუქტს ყიდის“ (Siebert et al., 1956, გვ.73); თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთი ჟურნალისტებიც, რომლებსაც ამ პროფესიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, ამერიკელი ჟურნალისტი და მედია მკვლევარი ჯორჯ სეიერი წერდა: „მე ჟურნალისტიკაში საზოგადოებისთვის ჩემი სათქმელის მისატანად მოვედი. დღეს კი, ახალი თაობის ჟურნალისტების უმეტესობა ამ სფეროში ძალაუფლების გამოსაყენებლად მოდის“ (Christians et al., 1991, გვ.9-10).

აღსანიშნავია, რომ დღეს ყველაზე თვალშისაცემი ფუნქციათა ჩანაცვლების სინდრომია. თანამედროვე მოდური პრესა მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, ინკვიზიტორის და მოძღვრის როლშიც გვევლინება. ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკარმა ჯეიმს ბილინგტონმა პირად საუბარში განაცხადა: „ვერც ერთი სისტემა ვერ იარსებებს მისტიკისა და მითოლოგიის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში რეალურ ფასეულობებს ხელოვნური მითები და დემაგოგია ენაცვლება. დღევანდელი ტენდენციის მიხედვით მედია თანდათანობით ეკლესიის ფუნქციას ითავსებს და ადამიანთა

ცხოვრებაში ფასეულობათა მედიატორის როლს ასრულებს, ის ასევე პოლიტიკის დამკანონებელი და თავად ძალაუფლებაა, რომელსაც თან დაუნდობელი ცინიზმი ახლავს...” (Christians et al., 1991, გვ.12).

ამერიკელი მკვლევარები იმასაც ამტკიცებენ, რომ დღეს ჟურნალისტიკა ახალ რელიგიად იქცა თავისი ინკვიზიციითა და უცოდველობით. მათი აზრით, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მედიას ისეთივე ძალაუფლება აქვს, როგორც თავის დროზე ინკვიზიციას ჰქონდა, რადგან ის წყვეტს ვინ უნდა გაიკიცხოს თუ დაწინაურდეს, ვინ უნდა იქნას უარყოფილი და ვინ არა, ვინ უნდა იცოცხლოს საზოგადოების თვალში და ვინ უნდა იქნას მის მიერ დაგმობილი. უარყოფითი კუთხით ეს პროცესი ცენზურის, აკრძალვისა და გაიკიცხვის დაკანონებას წააგავს.

ამის კლასიკური მაგალითია 1989 წელს ვაშინგტონში განვითარებული მოვლენები, როდესაც პრესა ბრალმდებლისა და მოსამართლის როლში მოგვევლინა. ის, რასაც იმ პერიოდში პრესა ვაშინგტონში აკეთებდა, ცინიკოსებმა „ეთიკური გამოცდა“ უწოდეს. რეალურად კი ეს პოლიტიკურ დევნას უფრო ჰგავდა...

საქმე ვიეტნამის ომში დაღუპულთა მემორიალის გახსნას ეხებოდა, რომელზედაც დაფიქსირებული იყო დაღუპულთა გვარები. მისი წაკითხვის შემდეგი შემადრწუნებელი ფიქრი გინდებოდა: ნუთუ ეს ომი ახალგაზრდების დასადუჟად გაჩაღდა? პენტაგონის საიდუმლო მასალების გამოქვეყნებით ბევრი ისეთი ადამიანი „გამომჟღავნდა“ და დაზარალდა, რომლებსაც ვიეტნამის ომში ბრალი საერთოდ არ მიუძღვით. ამ შემთხვევაში ჟურნალისტები უნდა დაინტერესებულიყვნენ მაინც, თუ რა წვლილი მიუძღვით ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს ბავშვების სასაკლავოდ ქცეულ ომში.

ჯიმ ურაიტმა ამ სისხლისღვრას „უგუნური კანიბალიზმი“ უწოდა, ხოლო ის, რაც ის დღეებში კონგრესში მოხდა „ნიუსვიკის“ ჟურნალისტმა ჰოვარდ ჰიფმენმა „კოლექტიურ ნერვიულ აშლილობად“ მონათლა. თეთრი სახლის სპიკერმა თომას ფოლემ კონგრესში გაბატონებული განწყობა რომაული სტილის თამაშებს შეადარა, მაგრამ იმ დღეების სულისკვეთების საუკეთესო ანალიზი კონგრესის გაზეთის „როლ ქოლის“ რედაქტორს ჯიმ ქლასმენს ეკუთვნის: „ამ თემის ირგვლივ ძალიან ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული და წინააღმდეგობრივი მოსაზრება იყრის თავს. პირველი მათგანი იმ დროის კულტურულ ცხოვრების და საუკუნის დასასრულის სულისკვეთებას ასახავს. ეს

უდიდესი მნიშვნელობის საკითხია, რომელიც საზოგადოებისთვის სახიფათოდ არ განიხილება. უდავოა, რომ პრესა არც ერთ სხვა ინსტიტუტზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მისი ხელშეუხებლობაც დაუშვებელია. ამ პრობლემის სირთულეს რომ ჩავუდრმავდეთ, დავინახავთ, რომ სწორედ ეს ანადგურებს ამერიკას: საბოლოოდ კი სახეზეა ბავშვური სინდრომის მქონე თაობა, რომელიც მორალურობის იდეით არის შეპყრობილი, რადგან ვიეტნამის ომი თავისთავად ამორალური იყო. დღეს კი, ყოველივე ამას ეთიკური პლანში განხილულს ვხედავთ” (Christians et al., 1991, გვ.11).

რამ განაპირობა ის, რომ მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი და შეიძლება ითქვას უდიდესი პასუხისმგებლობის მედია ამ ზღვრამდე მივიდა?

მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ მხრივ 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც უსაფრთხო და ყოველმხრივ დაცული ამერიკის შეერთებული შტატები იგივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც იზოლირებულ და შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებს დიდი ხნის მანძილზე აწუხებდათ. ვიეტნამთან და უოტერგეიტთან ერთად ამერიკულმა ჟურნალისტიკამ უდიდესი ცვლილებები განიცადა. საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესახებ არაპირდაპირი სახით ახალი ამბების გადაცემამ და ფაქტების კონსტატაციამ ვიეტნამის ომის დროს გზა გაუკვალა დაუნდობლად მტრულ ჟურნალისტიკას. იმ პერიოდში ჟურნალისტები საკუთარ თავს „სიმართლის არბიტრებს“ უწოდებდნენ.

იმ პერიოდიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა მტრული, დაპირისპირებული და დამცავი სახის ჟურნალისტიკა. 70-იანმა წლებმა ამერიკულ ჟურნალისტიკაში ის ტენდენციები დაამკვიდრა და ისეთი სტერეოტიპი შექმნა, რომელიც დღესაც არის გაბატონებული. მისი დახასიათება შემდეგნაირად შეიძლება – თვითკმაყოფილი, მტრულად განწყობილი და მხოლოდ პირად ამბიციებზე ორიენტირებული.

ვიეტნამის ომის გადმონაშთების ხილვა ყველგან არის შესაძლებელი. სატელევიზიო ჟურნალისტიკამ ახალი ამბების მიმართ ერთ დროს გულგრილი აუდიტორიაც მოიცვა... დაპირისპირებული ჟურნალისტიკის გაბატონების შედეგად, კრიმინალურ გამოძიებათა შესახებ რეპორტაჟების უწყვეტმა ნაკადმა სატელევიზიო სივრცე დაიპყრო, რამაც „ფაქტების სიმულაციის“ სახე მიიღო. გამოგონილი ახალი ამბები საინფორმაციო გამოშვებებისა და გასართობი შოუების ძირითად ელემენტად იქცა. თანდათან აშკარა გახდა, რომ ზღვარი ახალი ამბების ბიზნესსა და საინფორმაციო ბიზნესს შორის სულ უფრო

შემცირდა, რის გამოც ძველი მეთოდებით თანამედროვე კონკურენციისთვის გაძლება შეუძლებელი იყო. ხელშეუხებელი კედელი ახალ ამბებსა და ტელევიზიის დანარჩენ ნაწილს შორის მფლობელების, მენეჯერებისა და საინფორმაციო გამოშვებების პროდიუსერების მიერ შეირყა. მათი უმთავრესი მიზანი რეიტინგის ზრდა და ახალი ამბების რეკრეაციული ფუნქციის დამკვიდრება გახდა.

სწორედ ამ მიზეზების გამო აუცილებელია, რომ თანამედროვე ჟურნალისტები სულ უფრო მეტად უღრმავდებოდნენ ეთიკურ პრობლემებს, უფიქრდებოდნენ თითოეული სიტყვისა და ქმედების შედეგს და იაზრებდნენ იმას, თუ რას ნიშნავს ჟურნალისტური ეთიკა და რამდენად მნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა თანამედროვე ჟურნალისტიკისთვის. ჟურნალისტებმა ასევე გამიზნულად და გააზრებულად უნდა იფიქრონ მათი უმაღლესი მოწოდების შესახებ, რადგან ეთიკური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა მედიის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას და ნდობის ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. შესაძლოა ამ სირთულის დაძლევა დღეს ძალიან ბევრ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული, რადგან ამბიციებისა და პირადი სურვილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი ჟურნალისტებისთვის ძნელია იმის გაცნობიერება, რომ თავის გასამართლებელი ფრაზა „საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს“ ზედმეტად ცინიკურად ჟღერს იმ მისიასთან შედარებით, რომელსაც ამ პროფესიის თითოეული წარმომადგენელი ასრულებს (ან უნდა ასრულებდეს!). თუ მასმედია ქვეყნის მთავარ იდეოლოგიად გვევლინება, მაშინ ის გარკვეულ წესებსა და კანონებს თავად უნდა დაემორჩილოს; თუ მას სურს, რომ მოსამართლის ფუნქცია შეასრულოს, მაშინ ისიც უნდა იცოდეს, რომ ეს გარკვეული ინსტიტუტების მიმართ ანგარიშვალდებულებასაც გულისხმობს; თუ მას სურს, რომ ხალხის სახელით ისაუბროს, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს, რომ თავად ამ ხალხის პატივისცემას იმსახურებს. სწორედ ამიტომ მედია მკვლევარი დეილ ჯექსონი წერს: „ჟურნალისტებს აქვთ განსაკუთრებული მორალური უფლებები და შესაბამისად აქვთ განსაკუთრებული მორალური ვალდებულებები... ამ პროფესიის წარმომადგენელთა მორალური ვალდებულება და მათი საქმიანობის მიზანი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე სიმართლის თქმა უნდა იყოს“ (Jacquette, 2007, გვ.3).

დაბოლოს, სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ჟურნალისტები, როგორც ერთიანი გუნდის წარმომადგენლები, „გამოგონილ-შეთხზულ“ ამბებზე მუშაობის პროცესში ოდნავ მაინც შეისვენებენ და ერთი წამით მაინც დაფიქრდებიან იმაზე, რომ აკადემიური ჟურნალისტიკა მორალურ-ეთიკური პრინციპების პატივისცემას ნიშნავს.

ჟურნალისტთა პროფესიულ სტანდარტთან და ეთიკური ნორმებთან დაკავშირებული საკითხები საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქართული მედიის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს გამუდმებით საუბრობენ ჟურნალისტური ეთიკის დაცვის აუცილებლობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტების პროფესიულ გადამზადებას და ამ მიზნით საქართველოში განხორციელებულ პროგრამებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის მიერ ქართველ ჟურნალისტთა დახმარების სამწლიანი (1999-2001) პროგრამა „პრომედია-საქართველო“, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში ამ სფეროში განხორციელებულ პირველ გრძელვადიან ინიციატივას წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ შევაჩერებთ მასზე ყურადღებას.

პროექტის განხორციელების აუცილებლობა თავად ქართულ მედიაში შექმნილმა არასახარბიელო მდგომარეობამ განაპირობა, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, პროექტის სტრატეგიულ მიზნებშიც აისახა. თავად ამ მიზნების გაცნობა ნათელს ფენს იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომელთა გამოსასწორებლად ქართულ ბეჭდვურ მედიას ყველაზე მეტად სჭირდებოდა დახმარების გაწევა.

იმის გასაგებად, თუ როგორ ახასიათებდნენ ქართულ მედიას ამ პროგრამაში ჩართული უცხოელი ექსპერტები, პროექტის ფინალურ მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებაც კმარა. მათი აზრით, ქართული მედია წარმოადგენდა გარიგებას, ხშირად ფულადსაც, ჟურნალისტს, მედია გამოცემასა და რომელიმე საჯარო მოხელეს ან შექმნილ სპონსორს შორის, რომელსაც მუდამ ჰქონდა მისთვის ხელსაყრელი ინფორმაცია გასავრცელებლად (ICFJ, 2001). ამ შემთხვევაში საზოგადოება სრულად უგულვებელყოფილი, ხოლო ჟურნალისტიკის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების სამსახური

ქართული მედიისთვის უცნობი იყო. შესაბამისი იყო საზოგადოების ნდობაც, უფრო ზუსტად კი უნდობლობა...

„საქართველოში მკითხველთა ნდობის ბარომეტრი ჯერჯერობით ის 50 თეთრია (შესაძლოა მეტი ან ნაკლები), რომელსაც მომხმარებელი გაზეთის შექმნის დროს იხდის. საბოლოო ჯამში, თითოეული 50 თეთრი განსაზღვრავს ყოველი გამოცემის ტირაჟს, ტირაჟების მოცულობა კი საქართველოში არც ისე მაღალია, რაც პირველი სიგნალი უნდა იყოს იმისთვის, რომ მედიამ პროფესიული სტანდარტის დამკვიდრებასა და თვითრეგულირებაზე ზრუნვა დაიწყო; ანგარიში გაუწიოს არა მარტო იმათ, ვიზეც წერს, არამედ იმათ, ვისთვისაც წერს“, – აღნიშნავს „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ მედია ეთიკის საკითხებზე გამოცემული ნაშრომის შესავალ სიტყვაში თამარ კინწურაშვილი („ჟურნალისტური ეთიკა...“ 2003). სწორედ ეს უნდობლობა კიდევ უფრო ამძაფრებს მედია ეთიკის პრობლემატიკას, ხაზს უსვამს პროფესიული სტანდარტის ამადლებაზე ზრუნვის აუცილებლობას და ასევე, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულებათა სისტემის არსებობის გარდაუვალობას. ეს ხომ უარყოფითად მედიაზეც აისახება უხარისხობა იწვევს უნდობლობას, რაც თავისთავად დაბალ მოთხოვნას განაპირობებს; ანუ ხარისხი განსაზღვრავს ეკონომიკას და პირიქით; ხოლო საბოლოო ჯამში ყველა დაზარალებული რჩება – მედია, საზოგადოება და ხელისუფლებაც. იმისათვის, რომ დაზარალებული არავინ აღმოჩნდეს, ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის ზრდა მუდმივად უნდა ხდებოდეს მით უმეტეს, რომ ეს პასუხისმგებლობა ზრდის ჟურნალისტური საქმიანობის მიმართ საზოგადოებისა და ხელისუფლების ნდობას.

სწორედ ამ პრობლემატურ საკითხზე საუბრობდა ჟურნალისტი ია ანთაძე, როდესაც გაზეთ „ალიას“ ფურცლებიდან აცხადებდა: „დღეს ქართული მედიის წინაშე დგას ორი სახის პრობლემა, გნებავთ, ამოცანა: ერთი, ეს არის სიმართლე. ჩვენი მოვალეობაა საზოგადოებას დავანახოთ რეალური სურათი და მეორე, ეს არის ნდობა, აღვიდგინოთ ნდობის ფაქტორი. ხალხს უნდა სჯეროდეს ჩვენი. მთავარია აუდიტორია გვენდობოდეს“ (ასპანიძე, 2008, გვ.7).

სიტყვის თავისუფლების დაცვის გარანტიებზე და საზოგადოების წინაშე ჟურნალისტთა ეთიკურ ვალდებულებებზე საუბრისას, ასევე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს იმ საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები და შეფასებები,

რომლებსაც თავიანთი შეხედულებები პირველწყაროსთან ქართულ მედიასთან ურთიერთობის შედეგად აქვთ ჩამოყალიბებული.

მაგალითად, პროექტ „პრომედია-საქართველოს“ დირექტორმა რობერტ ორტეგამ განაცხადა, რომ პროფესიონალ ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა საქართველოში მუშაობა მაშინ დაიწყო, როდესაც აქ ჟურნალისტიკის საერთო დონე „ნულის ნიშნულის დაბლა“ იყო, რაც უპირველესად ძირითადი უნარ-ჩვევების უქონლობაში, მედია ეთიკის ნორმებისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის უგულვებელყოფაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს კი შეზავებული იყო ე.წ. „მწარე ქართულ სინამდვილესთან“, რაც ქართველ ჟურნალისტებს ზოგადად მედიის განვითარების დაბალი დონის გამართლების საშუალებას აძლევდა. რობერტ ორტეგას აზრით, მათ პირველ არგუმენტად ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება მოყავდათ, რაც თავისთავად მედიის ხარისხზეც აისახებოდა (ICFJ, 2001).

აქედან გამომდინარე, პროექტის მესვეურებმა მიზნად დაისახეს ქართველ ჟურნალისტთა პროფესიული ჩვევების დახვეწა, რათა მათ საზოგადოებისთვის ზუსტი, სანდო და ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინათ, რითიც იმავდროულად ხელი შეეწყობოდა ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესს. ეს თავისთავად გულისხმობს ახალი ამბების გადმოცემისა და რედაქტირების უნარ-ჩვევის დახვეწას ისეთ სფეროებში, როგორცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური, ეკონომიკური მოვლენების, სასამართლო რეფორმისა და ქალთა საკითხების გაშუქება.

რობერტ ორტეგას საქართველოში ჩამოსვლამდე პროექტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ტერეზა ტილენმა მას ქართული ჟურნალისტიკა და მისი ნაკლოვანი მხარეები ასე დაუხასიათა: „ეს არის პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის სურვილის უქონლობა. ახალგაზრდა და შედარებით გამოცდილ ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან მუშაობის შედეგად სამწუხარო დასკვნამდე მივდი – ის მოტივაცია, რომელიც დასავლეთში ჟურნალისტებს აქვს, სიმართლის თქმა, მკითხველისთვის ზუსტი ინფორმაციის მოწოდება და მნიშვნელოვან თემებზე საუბარი – ქართველ ჟურნალისტებში დიდ დეფიციტს განიცდის.“

ახალგაზრდა რეპორტიორთა დიდი ნაწილი გაზეთებში მხოლოდ იმიტომ მუშაობს, რომ ეს მათ იოლ საქმედ მიაჩნიათ, ამით ან საკუთარ ეგოს იკმაყოფილებენ, ან სხვა საქმიანობით დაკავება არ შეუძლიათ. კარგი

ჟურნალისტიკა სათანადოდ არ ფასდება, ჭორებზე აგებული კი პირიქით... სწორედ ეს არის დასავლური პროფესიონალიზმისაკენ მიმავალ გზაზე არსებული ძირითადი დაბრკოლება” (ICFJ, 2001, გვ.3).

სადისკუსიო წერილების სერიაში „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ” (დუმბაძე და გუნაშვილი, 2003) განხილულია 2002 წელს IREX-ის მიერ ჩატარებული ქართული მედიის კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამებოდა თანამედროვე ქართული მედია საერთაშორისო სტანდარტებს და რამდენად მდგრადი იყო მისი განვითარება დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რისთვისაც 32 პროფესიონალი ჟურნალისტი, გაზეთის რედაქტორი და მედია სამართლის სპეციალისტი გამოიკითხა. სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნა კი, შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით განისაზღვრა:

- 1) ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაცულია სოციალური და საკანონმდებლო ნორმებით;
- 2) ქვეყანაში ჟურნალისტიკა პროფესიული და ხარისხობრივი სტანდარტების დონეზეა;
- 3) ქვეყანაში პრესა მოქალაქეებს სანდო და ობიექტურ ინფორმაციას აწვდის;
- 4) თავისუფალი პრესის ხელშემწყობი ინსტიტუტები ფუნქციონირებენ პროფესიული ჟურნალისტიკისა და დამოუკიდებელი პრესის ინტერესების დასაცავად;
- 5) თავისუფალი პრესა კარგად აწყობილი საგაზეთო ბიზნესია, რომელიც რედაქტორებს სრული თავისუფლების გარემოს უქმნის.

რესპოდენტებს დაურიგდათ კითხვარი და მათი პასუხებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად დადგინდა ქართული მედიის მდგრადობის ინდექსი დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიღებული შედეგის თანახმად, იმისთვის, რომ ქართული მედია საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი, მაგრამ არც მთავრობა და არ სოციუმი ამ რეფორმებს ბოლომდე მხარს არ უჭერენ – რეფორმებისთვის მზად არიან, მაგრამ ამისთვის საკმარისი ნება ჯერ არც პირველ და არც მეოთხე ხელისუფლებაში არ არსებობს (გვ.4,59). საყურადღებოა, რომ 2003 წელს ამ მოსაზრებას გამოთქვამდნენ თავად მედიის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრების განზოგადება მთელ ქართულ

საზოგადოებაზე დაუშვებელია, მაგრამ ამავე დროს ის მოცემულ ეტაპზე მედიის განვითარების ზოგად ტენდენციას ნათლად ასახავს.

ქართული მედიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ჟურნალისტთა პროფესიონალიზმისა და პროფესიული ეთიკის პრობლემატიკას.

ეს იყო 2003 წელს და რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ? 2008 წელს მედიის მდგრალობის შესასწავლად ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ წინა წლებთან შედარებით პროფესიული სტანდარტის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიწია, ხოლო ქართული მედია „გონზო“ ჟურნალისტიკისკენ გადაიხარა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფრო მეტად სენსაციური და გასართობი ხასიათი მიეცა და ინფორმაციის მიწოდებაზე ნაკლებად იყო ორიენტირებული. ამის მიზეზად კი, აუდიტორიის მოთხოვნილებები და შესაბამისად, ყველაზე გაყიდვადი პროდუქციის შექმნა დასახელდა. გამომცემელთა აზრით, ქართულ აუდიტორიაში არ არსებობს მოთხოვნა მედიის დასავლურ პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკურ ნორმებზე. ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხადრამჭერი პროგრამის მენეჯერმა ლანა ღვინჯილიამ განაცხადა, რომ გამომცემელთა აზრით, თუკი მასალა არ არის აგრესიულად კრიტიკული, ის არ იყიდება (IREX MSI, 2009). გამომცემელთა ეს მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება, თუ მხოლოდ მცდელობაა მედიის მიერ პროფესიული სტანდარტის უგულვებლყოფის გასამართლებლად, ამის დადგენა კვლევის შედეგად არის შესაძლებელი, ისევე როგორც მხოლოდ აუდიტორიის კვლევის შედეგად დგინდება მისი მოთხოვნილებები და სურვილები.

2008 წლის მაის-ივნისში გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის ინიციატივით, ქართულ მედიაში ეთიკური ნორმებისა და თვითრეგულირების მექანიზმების გამოსავლენად მედია კვლევა ჩატარდა, რომლის თანახმადაც გაირკვა, რომ ქართული მედია განიცდის პროფესიული სტანდარტის ნაკლებობას, რომელიც მთელი ჟურნალისტური საზოგადოების მიერ იქნება მიღებული და აღიარებული; შესაბამისად არ არსებობს ერთიანი ეთიკის კოდექსი. მხოლოდ რამდენიმე მედია გამომცემს აქვს შემუშავებული საკუთარი კოდექსი, რომლებიც სამწუხაროდ, სასურველ ატმოსფეროს ვერ ქმნიან ქართულ მედიაში; სტერეოტიპებით აზროვნება ხელს უშლის ქვეყანაში მედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის განვითარებას (Koridze, 2008).

კვლევის ავტორი ზვიად ქორიძე სტერეოტიპებით აზროვნებას საბჭოური პერიოდის გადმონაშთად მიიჩნევს, როდესაც ფაქტების სიზუსტისა და გადამოწმების ნაცვლად, პროპაგანდისტული მედია ფაქტებს ანზოგადებდა და კლიშეებით აზროვნებას ამკვიდრებდა, რაც კიდევ უფრო იოლს ხდიდა ახალი სტერეოტიპების შექმნას; სიზუსტე, დაბალსებულობა და მიუკერძოებლობა არ მიიჩნეოდა იმ პროფესიულ სტანდარტებად, რომლებსაც პატივს მიაგებდნენ საბჭოთა ჟურნალისტები.

საბჭოური წარსულიდან გამომდინარე კი, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრება დღესაც მიმდინარეობს და მისი ისტორია მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის. ამ პროცესს, რომელშიც აქტიურად არის ჩათრული არასამთავრობო სექტორი და თავად მედიის წარმომადგენლები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ჟურნალისტიკის ეთიკური პრობლემების შესასწავლად. ზემოთ ნახსენებ კვლევაში კი ეს პრობლემები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- ჟურნალისტებს უჭირთ ინფორმაციისა და კომენტარის გამიჯვნა;
- ჟურნალისტებს და მედიამენეჯერებს უჭირთ იმის გააზრება, რომ სანდო ინფორმაცია მხოლოდ საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს;
- ისინი არ ერიდებიან განზოგადებას;
- არ ვითარდება თანამედროვე მედიამენეჯმენტი;
- დღემდე საქართველოში დეკლარაციული ჟურნალისტიკა ჭარბობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ჟურნალისტიკა ძალიან დაუახლოვდა მთავრობას;
- ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია (Koridze, 2008, გვ.22).

ბუნებრივია, რომ ამ ფონზე ქართული მედიის ეთიკური პრობლემატიკის გადაჭრა თვითრეგულირების გარეშე წარმოუდგენელია.

• ეთიკური პრობლემების შესწავლა

ჟურნალისტურმა ეთიკამ რთული გზა გაიარა მანამდე, სანამ ამ პროფესიის თავისებურებებიდან გამომდინარე ისტორია და პრაქტიკა ერთმანეთს დაემთხვეოდა. ძალიან ბევრი წიგნი, რომელშიც ეთიკაზეა საუბარი, ამ თემის პრაქტიკასთან და ყოველდღიურ პრობლემებთან მიმართებაში განხილვას არ

ახდენს. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან თეორიისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთმანეთთან თანხვედრა, ანუ ყოველდღიურად მორალურ-ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა თანამედროვე პირობებში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ცხოვრების ტემპი და მოვლენათა განვითარების სიხშირე გვაიძულებს, რომ ამა თუ იმ ვითარებაში ეთიკური არჩევანი გავაკეთოთ, რომელიც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ დროის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ამ თემაზე საუბრისას ორი განსხვავებული მოსაზრება იჩენს თავს, რაც საკითხს კიდევ უფრო რთულსა და წინააღმდეგობრივს ხდის. ეთიკური პრობლემების შესწავლა მაგალითების საფუძველზე ზუსტ განსაზღვრებას, მკვეთრ გამოიჯინასა და ფართო განხილვას მოითხოვს. გაზეთის რედაქციები სხვა ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველდღიური მოთხოვნებისა და კრიტიკული ვითარების შესაბამისად, სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი და გამბედაობაა; რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისთვის – კონკურენტუნარიანობა და ბაზრის მოთხოვნების ღრმა ცოდნა. გასართობი ჟანრის მწერლებისთვის და პროდიუსერებისთვის – საკუთარ თავში დარწმუნება, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი და იმპულსურობა. იმისათვის, რომ ეთიკის სწავლება ღირებული იყოს, ჯერ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და შესაძლებლობები უნდა გამოვლინდეს, განსჯის პროცესს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს. მასმედიის ორგანოთა მფლობელები ადამიანებს რთულ ვითარებაში გადაწყვეტილების მიღების უნარით აფასებენ. თუკი ჩვენ ვცდილობთ, რომ ჟურნალისტურ ეთიკას მათთვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ის ზღვარი, რომელიც ყოველდღიურ მედია პრაქტიკასა და ამ სერიოზულ სწავლებას შორის მანძილს არსებობს შეძლებისდაგვარად უნდა წაიშალოს. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ კონკრეტული შემთხვევების განხილვისა და კომენტარების საფუძველზე მედია ეთიკის, როგორც სწავლებისა და მედია სიტუაციების ინტეგრაცია მოხდეს, რადგან კომუნიკაცია პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სფეროა. ის გარკვეულ შემთხვევებზე არის ორიენტირებული და მედია ეთიკა უინტერესო და აბსტრაქტული იქნება მანამდე, სანამ ის პრაქტიკულ გამოცდილებასა და კონკრეტულ სიტუაციებს არ შეეხება. თითოეული ასეთი შემთხვევა ეთიკური პრინციპების შესაბამისად უნდა იქნას გაანალიზებული და განხილული, რაც

ჟურნალისტებს დაეხმარება, რომ საკუთარ ქმედებებს ჩაუღრმავდნენ და ეთიკური ნორმების შესაბამისად იმოქმედონ. ეს მეთოდი მათ სირთულეების გამკლავებისა და პრობლემური სიტუაციების მოგვარების შესაძლებლობას მისცემს, ასევე ხელს შეუწყობს იმას, რომ თითოეული შემთხვევა არა განცალკევებულად, არამედ საერთო კონტექსტში განვიხილოთ, რაც ერთხელ უკვე ნათქვამისა და გააზრებულის თავიდან გამეორებას თავიდან აგვაცილებს (თუ, რა თქმა უნდა, აქ არ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ გამეორება ცოდნის დედაა). ამ შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. მედია ეთიკის საკითხებზე მომუშავე ამერიკელ მკვლევარებს ამ საკითხის მიმართ სწორედ ასეთი მიდგომა აქვთ, რაც მათ თემის არა განყენებულად (მხოლოდ ფილოსოფიური კუთხით), არამედ ყოველდღიურ შემთხვევებსა და პრაქტიკულ სიტუაციებზე დაყრდნობით განხილვის შესაძლებლობას აძლევს. პრობლემის იდენტიფიკაცია, საკითხის დაყენება და მისი ეთიკური პრინციპების შესაბამისად განხილვა თემის სიღრმისეულ შესწავლას კიდევ უფრო აადვილებს.

ზემოთ ნახსენები მიდგომა მიზნად იმას კი არ ისახავს, რომ თითოეული შემთხვევა მსგავსი სიტუაციების კლასიკურ მაგალითად იქცეს, არამედ მისი მიზანი, ერთი შეხედვით კარგად ნაცნობსა და ყოველდღიურ სიტუაციებში რთული ეთიკური პრობლემის იდენტიფიკაცია და სწორი ეთიკური არჩევანის გაკეთებაა; თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი შემთხვევა მართლაც კლასიკურ მაგალითად იქცეს, როგორც ეს უოტერგეიტთან და პენტაგონის საიდუმლო მასალებთან დაკავშირებით მოხდა. სიტყვის თავისუფლებისა და მედია ეთიკის საკითხებისთვის მსგავსმა შემთხვევებმა ისტორიული მნიშვნელობა შეიძინეს.

მედია ეთიკისთვის ისტორიისა და პრაქტიკის ერთ მთლიან სისტემაში მოქცევა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ახალი ამბების საინფორმაციო სივრცის სხვა ასპექტებთან ინტეგრაცია. ეთიკურ პრობლემებზე საუბრისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამი ძირითადი ფუნქცია უნდა იქნას გათვალისწინებული – ეს არის ახალი ამბების გაშუქება, დარწმუნება და გართობა. ეთიკური პრობლემები თითოეული მათგანის განხორციელების დროს იჩენს თავს. თუ რეალობას ოდნავ მაინც ჩაუფიქრდებით, მაშინ დავინახავთ, რომ სიცრუე, ფულით ცდუნება და სენსაციის წყურვილი ახალ ამბებში, რეკლამებში, „პი-არ“ (PR) კამპანიის დროსაც და გასართობი ჟანრის

გადაცემებშიც არის შესაძლებელი. ნეგატიურზე ორიენტაცია და ძალადობის პროპაგანდა არა მხოლოდ ახალი ამბებისთვის, არამედ გასართობი ჟანრისთვისაც არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ის, რაც მასმედიის ფუნქციონირების ერთი ასპექტისთვის არის მნიშვნელოვანი, ასევე საყურადღებოა დანარჩენისთვისაც. ასე რომ, ერთ სფეროში არსებული პრობლემა გამოძახილს სხვაგანაც პოულობს. სწორედ ამიტომ, ჟურნალისტები, სარეკლამო აგენტები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები და გასართობი ჟანრის გადაცემათა პროდიუსერები ერთი უზარმაზარი კორპორაციის წევრებს წარმოადგენენ, რომლებიც თავისი საქმიანობით სხვა სფეროებსაც ეხებიან. აქედან გამომდინარე, მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საგანგებოდ მედიის სამივე ფუნქცია – ინფორმირება, დარწმუნება და გართობა ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოაქცია.

მედია ეთიკაზე საუბრისას ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ნაბიჯის იდენტიფიკაცია, რომელიც ჩვენს მორალურ მოტავაციას წარმოაჩენს. ეს მოდელი საკვებით შეესაბამება სოციალურ ეთიკასაც, რომელიც საზოგადოების წინაშე ჩვენს სოციალურ პასუხისმგებლობასაც მოიცავს. სწორედ ამიტომ აუცილებელია თითოეული რთული სიტუაციის გაანალიზება, რათა შესაბამისი დასკვნა გავაკეთოთ, რომელიც პასუხისმგებლობის გრძნობით იქნება გაჯერებული. მსგავსი მიდგომა დაგვეხმარება, რომ დღეს არსებული ეთიკური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა მხოლოდ მათი დაფიქსირებით არ შემოიფარგლებოდეს. ეს ასევე ამ საკითხის მიმართ ჟურნალისტთა ინტერესს კიდევ უფრო გააღვივებს და დისკუსიის კიდევ უფრო მაღალპროფესიულ დონეზე წარმოების საშუალებას მოგვცემს. მედია ეთიკა თავისთავად ფაქტებისა და ჩვენებების მიმართ გაცილებით მეტ ყურადღებას, არგუმენტების საფუძვლიანობას და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს, რადგან საკითხის შესწავლა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღებამდე მორალური მოტავაციის აღმოჩენა ზედაპირული დამოკიდებულებით დაუშვებელია.

იმისათვის, რომ ეთიკურ საკითხებზე მსჯელობა პროფესიულ დონეზე მიმდინარეობდეს და მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდეს, აუცილებელია „ეთიკური თვითშეგნების“ ამაღლება, რასაც ამერიკელები “ethical awarness”-ს უწოდებენ; თუმცა ამის განხორციელება საკმაოდ რთულია, რადგან ის ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. რაც უფრო არადემოკრატიული და

დაბალგანვითარებულია ქვეყანა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და მედია ეთიკას ნაკლები ყურადღება ექცევა. „ეთიკური თვითშეგნების“ ამადლება საზოგადოებას დაფარული პრობლემის გამოვლენაში დაეხმარება, რადგან ის ზოგჯერ ზედაპირზე არ დევს და შესაბამისად, იოლად შესამჩნევი არ არის. რაც შეეხება ტყუილსა და ცილისწამებას, ეს პრობლემები შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია, მაგრამ თავად ჟურნალისტები სადავოდ მიიხნევენ ისეთი საკითხების ეთიკურობას, როგორცაა, მაგალითად, იუსტიციის დეპარტამენტიდან გამოქონილი ინფორმაციის გამოყენება, მძარცველის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დასახელება, ახალგარდაცვლილისთვის და მისი ახლობლებისთვის ფოტოსურათების გადაღება ან თუნდაც სამთავრობო პოლიტიკის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება, რასაც საზოგადოებისთვის სარგებელი არ მოაქვს.

ანალიტიკური უნარის განვითარება და მორალური თვითშეგნების ამადლება ძალიან რთული და ძნელად შესასრულებელი ამოცანაა, რომელიც ადამიანის ქმედებების ბევრ ასპექტს მოიცავს. ღრმად, შეგნებულად შესწავლილი ტერმინები, არგუმენტები და პრინციპები, ასევე ზოგადად ამ სფეროში დაგროვილი ცოდნა ეთიკური არჩევანის გაკეთების დროს ჟურნალისტს უფრო მეტად დააფიქრებს და საკუთარი ქმედებების შედეგებზე ზრუნვას აიძულებს.

შესაძლოა ვინმემ, ვინც სოციალურ მეცნიერებათა რადიკალური ფრთის წარმომადგენელია, მედია ეთიკა კრიტიკის ობიექტად აქციოს და განაცხადოს, რომ ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი საუბარია, რაც ადამიანის ცნობიერებაში მენტალურ თამაშებსა და გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, მაშინ, როდესაც status quo ხელშეუხებელი რჩება; თუმცა ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ თავად ეს მოსაზრება კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცევა. ძალიან ბევრი ნაშრომი პროფესიული ეთიკის შესახებ ყურადღებას მხოლოდ საკითხის სემანტიკასა და ცალკეულ შემთხვევათა განხილვაზე ამახვილებს, მაგრამ აუცილებელია, რომ მედია ეთიკა სოციალური ეთიკის კონტექსტში განვიხილოთ, რაც საზოგადოებაში არსებულ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანწილად მოიცავს. მსგავსი მიდგომა ზოგად ეფექტს იძლევა. ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, მედია ეთიკა არ შეიძლება განყენებული სწავლება იყოს და თავისთავად პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მენეჯმენტის, ბიუროკრატიის, რესურსების განაწილების, მედიის გააზრებული ფუნქციონირების და სხვა საკითხებს

მოიცავს. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო პრობლემა განვაზოგადოდ და ჟურნალისტის მიერ ჩადენილი „საპატიო“ არაეთიკური ქმედება (თუნდაც „ვოშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტების ქმედებას უოტერგეიტის საქმესთან დაკავშირებით) სულ სხვა თვალთ დავინახოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკასა და მორალს შორის ტრადიციული განსხვავება არსებობს. ეთიკას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ლიბერალურ დისციპლინას, რომელიც ადამიანის ქმედებას აფასებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესაძლოა ის ცუდად ან კარგად შეფასდეს სამოქმედო პრინციპების შესაბამისად. *eethos*-ის პირვანდელი მნიშვნელობა „საცხოვრის“, „ნათესაყუდელს“, „ჩვეულ მშობლიურ ადგილს“ ნიშნავს, საიდანაც თითოეული ჩვენგანი მომდინარეობს და სადაც ჩვენი ფესვებია გადგმული. *eethos*-დან წარმოიშვა *eethikos*, რომელიც ბერძნულ ენაში ნიშნავდა „მორალის ან მორალისათვის“. ეს სიტყვა ბერძნულ ფილოსოფიურ ტრადიციაში იმ პრინციპების სისტემატიურ სწავლებაში დამკვიდრდა, რომლებიც ადამიანის ქმედებებს უნდა განსაზღვრავდნენ.

მეორე მხრივ, მორალურობა ლათინური წარმოშობის სიტყვაა. ლათინური არსებითი სახელი *mos* (მრავლობითში *mores*) და ზედსართავი სახელი *moralis* აღნიშნავს მანერას, ნირს, ან ჩვეულ ქმედებას. რომაელებს არ ჰქონდათ ის სიტყვა, რომელსაც ბერძნული *eethos*-ის შესატყვისი მნიშვნელობა ექნებოდა. ბერძნებისგან განსხვავებით რომაელები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის შინაგან განწყობას, მის ქმედებათა დაფარულ, სიღმისეულ მიზეზებსა და ძირითად განმსაზღვრელ პრინციპებს. მათი ძირითადი ყურადღება უფრო გარეგნულ ურთიერთობებზე იყო გადატანილი, ვიდრე შინაგან მოტივებზე. შესაძლოა ეს რომაელების წესრიგის, ორგანიზაციისადმი მიდრეკილებით აიხსნას და შესაძლოა კიდევ იმით, რომ რომაელთა გონება ბერძნებისგან განსხვავებით ფილოსოფიაზე ნაკლებად ორიენტირებული იყო. ლათინური სიტყვა *mores* ინგლისურ ენაში მოდიფიკაციისა და ცვლილებების გარეშე შევიდა, რაც ადამიანის საქციელს, ჩვეულ ქმედებას აღნიშნავს. ინგლისურ ლექსიკონში ადამიანის ეთიკა და მორალურობა ერთი და იგივე არ არის. პირველი მათგანი პრინციპების ძირითად სისტემას შეეხება, მეორე კი, უფრო მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

იმისათვის, რომ ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა და მათი პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს, ამერიკელი მკვლევარები პროფესორ რალფ პოტერის სოციალური ეთიკის სქემას იყენებენ, რაც მათ თითოეულ ეტაპზე ჟურნალისტთა მიერ დაშვებული შეცდომებისა და არასწორი ეთიკური გადაწყვეტილების გამოვლენის საშუალებას აძლევს.

- **ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსები**

ტენდენციები, რომლებიც დღეს თანამედროვე ჟურნალისტიკაში შეინიშნება, კიდევ უფრო გვაფიქრებს იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჟურნალისტს აკისრია. პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტებმა უფრო მეტად უნდა გააცნობიერონ, რომ მორალისა და ეთიკის საკითხები თავიდათავია. სწორედ ამაზე დამოკიდებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციის განხორციელება. ამის გარეშე თავისუფლება ანარქიად გადაიქცევა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში ჟურნალისტიკის ზემოქმედებითი ძალა დაკნინდება.

ეთიკურ პრობლემებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვის წინაშეა, უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტი ვალდებული: რედაქციის, სოციალური ჯგუფის, თუ ცალკეული პიროვნების? დასკვნის გამოტანისას უნდა გავითვალისწინოთ ვალდებულებათა მთელი ის წყება, რომელსაც ამერიკელი ჟურნალისტები და პრესის იდეოლოგები ხუთ კატეგორიად ყოფენ:

- **მოვალეობა ერთმანეთის წინაშე.** ამ შემთხვევაში ყველამ საკუთარი სინდისის მიხედვით უნდა იმოქმედოს; არ უნდა დავივიწყოთ, რომ კარიერაში ადამიანებს აიძულებს მხოლოდ პირადი ინტერესებით იხელმძღვანელონ;
- **მოვალეობა ხელმომწერთა წინაშე.** ჟურნალისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ გამოცემას და გარკვეულ თანხას იხდიან მის მისაღებად. აქვე დგება მეორე საკითხი: მცირდება თუ არა ჟურნალისტთა პასუხისმგებლობა აუდიტორიის იმ ნაწილის წინაშე, რომელიც მასმედის ამა თუ იმ სახეობისთვის გადასახადს არ იხდის?

- **მოვალეობა ორგანიზაციისა თუ ფირმის წინაშე.** ხშირად კომპანიის პოლიტიკა გაუმართლებელია და მისი მესვეურები არასწორად მოქმედებენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჟურნალისტის საქციელი მორალურად მისაღები უნდა იყოს. ის სარედაქციო წესდებას უნდა იცავდეს, მაგრამ, პირველ რიგში, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს; თუმცა ამით შეიძლება კომპანიის ხელმძღვანელობას და მის ცალკეულ პირებს დაუპირისპირდეს. დასავლეთში ჟურნალისტთა პასუხისმგებლობას ფირმის, ორგანიზაციის ან კომპანიის წინაშე სხვა ვალდებულებებზე მაღლა აყენებენ; იგულისხმება პასუხისმგებლობა კერძო პირის ან სასამართლოს წინაშე.
- **მოვალეობა კოლეგების წინაშე.** ჟურნალისტთა უპირველესი მოვალეობაა არა მხოლოდ რეპორტაჟების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება, არამედ კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვა.
- **მოვალეობა საზოგადოების წინაშე.** პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი უკავშირდება საზოგადოების სურვილს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს ამა თუ იმ პიროვნებაზე. „საზოგადოების უფლება ინფორმაციის მიღებაზე“ ჟურნალისტიკის ღოზუნგი გახდა. სარეკლამო სააგენტოები თამბაქოს რეკლამირების დროს უნდა ითვალისწინებდნენ იმ ზიანს, რომელიც მას ხალხის ჯანმრთელობისთვის მოაქვს. ბუნებრივია, რომ ამ ფირმების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე ძალიან დიდია.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ზრუნვა სარეკლამო აბრების ქვეშ გამაფრთხილებელი წარწერის მოთავსებით ამოიწურება. იგი იუწყება, რომ მოწვევა მავნებელია ჯანმრთელობისთვის. ანტიმონოპოლიური სამსახური კი სარეკლამო ფირმებთან ერთად კამპანიას ატარებს იმის თაობაზე, რომ 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის მოწვევა მავნებელია. ამ შემთხვევაში კომპანიების მიერ მხოლოდ ფულად მოგებაზე ზრუნვა მორალურად გაუმართლებელია, ვინაიდან მსგავს სიტუაციებში საზოგადოებრივი ინტერესები მაღლა უნდა დადგეს.

ხშირად ტერმინი „საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“ არასწორად არის გაგებული. მაგალითად, როდესაც საუბარია საზოგადოებასთან დაკავშირებულ საპასუხისმგებლო საკითხებზე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ასპექტები: ბავშვთა მდგომარეობა, უმცირესობათა უფლებები და მოქალაქეთა

მოთხოვნები. რა თქმა უნდა, ბაზრის პრინციპები მედიის სამყაროშიც იჭრება და მომხმარებლის მოთხოვნებს, ინტერესებს, მეტად უნდა გაეწიოს ანგარიში. ასე რომ, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, მორალურის გარდა, კომერციულ მხარესაც მოიცავს. დღეს მასმედიას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის სოციალური პასუხისმგებლობა, რაც მას საზოგადოების წინაშე აკისრია. ეს უნდა შეინიშნებოდეს ახალ ამბებში, რეკლამებში, გასართობი ჟანრის ნაწარმოებებში, public relation-ში (საზოგადოებასთან ურთიერთობა) და ა.შ.

ეთიკურ პრინციპებზე საუბრისას, ასევე გასათვალისწინებელია, თუ რომელი სოციალური ჯგუფი ან პიროვნება იღებს სადავო სიტუაციაში გადაწყვეტილებას და რა ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობს. გადაწყვეტილების მიმღები შეიძლება ნებისმიერი ხელმძღვანელი პირი იყოს. მაგალითად, რედაქტორი ან პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც რეპორტიორთა მუშაობას აკონტროლებს, ან გასართობი ჟანრის პროდიუსერები, რომლებიც პროგრამების შერჩევის დროს ხშირად ივიწყებენ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: საზოგადოების რომელი ნაწილის ინტერესებია უფრო მეტად ანგარიშგასაწევი და როგორ უნდა მოხდეს ამ ინტერესების გათვალისწინება? ამ შემთხვევაში ვინ უნდა იტვირთოს მეტი პასუხისმგებლობა: პიროვნებამ თუ საზოგადოებამ? უდავოა, რომ მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება ერთ პიროვნებაზე ან ჯგუფზე გაუმართლებელია. ყოველი ინდივიდი საზოგადოების წევრია და მას გარკვეული ვალდებულებები აქვს. ცალკეული ფორმა თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტი ასევე თავიანთი წილი პასუხისმგებლობის მატარებელი არიან. ინდივიდები ყოველთვის სოციალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან ისინი გარკვეულ ორგანიზაციებში ერთიანდებიან და იზიარებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ამ ორგანიზაციებს აკისრიათ. საბოლოოდ კი, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, მორალური უპასუხისმგებლობისთვის მაინც ცალკეული პიროვნებები ისჯებიან.

ეთიკურ პრობლემებს ყოველდღიურ ცხოვრებაში განუწყვეტლივ ვაწყდებით. გარემო პირობები გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე, ყოფიერება ხომ ცნობიერების განმსაზღვრელია. ყოველდღიურობა თავის მოთხოვნებს გვიყენებს, ცხოვრების დაძაბული რიტმი იძულებულს გვხდის, რომ კრიზისის პირობებში სწრაფი გადაწყვეტილებები მივიღოთ. რამდენად ეთიკურები ვართ ჩვენ ამ დროს? რამდენად ვითვალისწინებთ გარშემომყოფთა ინტერესებს და

გუფიქრდებით ჩვენს საქციელს? მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, ხალხის ნდობას უნდა იმსახურებდნენ. შესაბამისად, მორალურად გამართლებულია თუ არა ის გადაწყვეტილება, რომელსაც მედია იღებს? რამდენად ეთიკურია და ობიექტური ჟურნალისტი რესპოდენტის მიმართ? ჟურნალისტურ ეთიკასთან დაკავშირებით არაერთი კითხვის ფორმულირება შეიძლება. მაგალითად, მედია მკვლევარი რაშუორს კიდერი შემდეგი სახის კითხვას სვამს: „რა განაპირობებს იმას, რომ მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ წმინდა და კეთილშობილური მოტივაცია აქვთ, ასე ხშირად და თან საჯაროდ ორივე შემთხვევაში მარცხს განიცდიან?“ (Kidder, 1995, გვ. XII). პასუხი კი ისევ და ისევ ეთიკური ნორმების უგულებელყოფაა. ეს არის მიზეზი იმისაც, რომ ჟურნალისტები მხოლოდ ჟურმოკრულ ფაქტებს აშუქებენ და პოპულარობის მოპოვების მიზნით სენსაციებს გამიზნულად ქმნიან. ორივე შემთხვევაში კი მედიის ავტორიტეტი საგრძნობლად შერყეულია.

ჟურნალისტური ეთიკა გარკვეულ წესებსა და აკრძალვებს მოიცავს. პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული ქცევის ნორმების, ზნეობრივი პრინციპების დარღვევა კი საზოგადოებრივი აზრის მიერ იგმობა. „შრომის დანაწილებისა და თითოეული პროფესიის თავისებურების გამო საერთო მორალურ-ეთიკურ საფუძველზე წარმოიშობა პროფესიული ეთიკა, რომელიც შეიცავს განაწესს იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელშიც ადამიანი მოღვაწეობს, როგორც პროფესიონალი. მისი არსია ის, რომ ადამიანებმა უზრუნველყონ თავიანთი როლის მაქსიმალურად უკეთ შესრულება მოცემულ პროფესიასთან დაკავშირებით“ (გაგოშიძე, 1996, გვ. 146).

ჟურნალისტური ეთიკის გარდა, არსებობს საექიმო, პედაგოგიური და იურიდიული ეთიკა. ისინი არ არიან ოფიციალურად აღიარებული და ქცევის ნორმების შესახებ დაუწერელ კანონებად გვევლინებიან. იურიდიული კანონების გარდა, ჟურნალისტის პირველი მაკონტროლებელი და შემფასებელი მისი საკუთარი სინდისია. აქ საქმე გვაქვს პროფესიულ ეთიკასთან, ანუ ღირსების კოდექსთან.

კლოდ-ჟან ბერტრანი თავის ნაშრომში „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ ჟურნალისტთა ეთიკურ კოდექსებზე წერს: „ნორვეგიიდან სამხრეთ აფრიკამდე, იაპონიიდან თურქეთამდე, კანადიდან ჩილეამდე – უმეტეს ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური რეჟიმები დიქტატორული არ

არის, დღეს პრესის ეთიკის სულ მცირე ერთი კოდექსი მაინც არსებობს. სხვადასხვა ქვეყნებში ეთიკის კოდექსებს განსხვავებული სახელწოდება აქვთ. ესენია: ღირსების კოდექსი, ქცევის კოდექსი, პრაქტიკის კოდექსი ან ლათინურ ქვეყნებში „დეონტოლოგია“, ზოგიერთ ქვეყანაში მას ჟურნალისტიკის კანონს, ჟურნალისტთა ქარტიას, პრინციპთა ჩამონათვალს, ჟურნალისტთა უფლებებისა და მოვალეობების დეკლარაციას და სხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ” (ბერტრანი, 2004, გვ.57). სწორედ ეს ეთიკური კოდექსები არეგულირებენ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას, მის ურთიერთობებს კოლეგებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან. სხვა საკითხია რამდენად იცავენ ისინი ამ წესებსა და კანონებს, რომელთაც იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. რაზე ამახვილებენ ყველაზე მეტად ყურადღებას ეთიკური კოდექსები? იქედან გამომდინარე, რომ ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ურთიერთობა აქვს ადამიანებთან, როგორც ინფორმაციის წყაროსთან, იგი მოვალეა დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის, ან პირიქით, მითითების შესახებ. შეიძლება რესპოდენტმა ჟურნალისტს ინფორმაცია მხოლოდ გარკვეული პირობით მიაწოდოს. მან კი ეს პირობა არ უნდა დაარღვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან საზოგადოებას უნდა აუხსნას მიზეზები.

როდესაც ჟურნალისტი ინფორმაციის მისაღებად კონტაქტს ამყარებს ადამიანებთან, მის წინაშე მრავალი ეთიკური პრობლემა წამოიჭრება. პირველ რიგში, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მიუდგეს რესპოდენტს, როგორ მოიპოვოს მისი ნდობა და მიიღოს სასურველი ინფორმაცია, ამავე დროს, მან უნდა განაწილოს რესპოდენტი სასაუბროდ, იყოს ტაქტიანი.

ჟურნალისტის კანონიერი უფლებაა მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასმედიის წარმომადგენელი ზომიერად და თავშეკავებულად უნდა მოიქცეს, როდესაც მას ინფორმაციის მოწოდებაზე უარს ეუბნებიან. ყოვლად დაუშვებელია უტაქტობა, უხეშობა, რითიც იგი, პირველ რიგში, თავის თავს აყენებს შეურაცხყოფას. ჟურნალისტური ოსტატობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ უარყოფითად განწყობილი რესპოდენტი დაიყოლიო და დადებითად განაწილოს. მიუკერძოებლობა, ფაქტებისა და მოვლენების არსში წვდომის და ანალიზის უნარი ჟურნალისტის

დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. სამსახურებრივი ეთიკისა და პროფესიული სოლიდარობის დარღვევა იქნება, თუ ჟურნალისტი თანამდებობრივ მდგომარეობას გამოიყენებს და რედაქტირების დროს დაამახინჯებს კოლეგების მიერ მომზადებული მასალის შინაარსს და ამ სახით გამოაქვეყნებს. აგრეთვე, თუ ის კოლეგებს თავს მოახვევს სუბიექტურ მოსაზრებებს, ხელს შეუშლის მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებას. დაუშვებელია კოლეგებისთვის სახელის გატეხა. პროფესიული სოლიდარობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ ჟურნალისტმა ხელი შეუწეოს თანამოკალმეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას, დაეხმაროს მათ ცოდნის გამდიდრებასა და ოსტატობის დახვეწაში.

ჟურნალისტის მიერ სამსახურებრივი ეთიკის დაცვა რედაქციის საიდუმლოს შენახვასა და მის ერთგულებაში გამოიხატება. საქართველოს ძველ კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ (1991) ნათქვამი იყო, რომ „ჟურნალისტი მოვალეა დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა“ (მუხლი 24, პუნქტი D). ამავე დროს ისიც იყო აღნიშნული, რომ ჟურნალისტი მოვალეა უარი თქვას რედაქტორის ან მთავარი რედაქტორის მიერ მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს (მუხლი 24, პუნქტი IV).

საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევად, პირველ რიგში, მცდარი, შეუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება ითვლება. კონფლიქტური სიტუაციის გაშუქებისას ჟურნალისტმა ორივე მხარის პოზიცია უნდა წარმოაჩინოს. მკითხველმა და მაყურებელმა არ უნდა იგრძნოს, რომ ჟურნალისტი რომელიმე მათგანისკენ იხრება და კომენტარს რომელიმეს სასარგებლოდ აკეთებს. მან ნეიტრალური პოზიცია უნდა აირჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აუდიტორიის ნდობას დაკარგავს. პროფესიონალიზმი იმასაც გულისხმობს, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები და დასკვნები არ გააკეთოს. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაუშვებელია ეჭვმიტანილის დამნაშავედ გამოცხადება.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ შემუშავებულ „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსი“^{*} კი მიუთითებს, რომ პიროვნების ღირსებისა და პატივის საწინააღმდეგოდ ითვლება, თუ ჟურნალისტი

^{*} კოდექსი გამოქვეყნებულია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ გამოცემის თარიღის მითითების გარეშე.

სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლამდე თავის მასალაში წინასწარ წყვეტს განსასჯელის დამნაშავეობის საკითხს, ან სხვაგვარად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებს.

კრიტიკული მასალის მომზადების დროს ჟურნალისტმა არ უნდა შეურაცხყოფს კრიტიკის ობიექტი, არ უნდა მიუთითოს ფიზიკურ ნაკლზე. სამწუხაროდ, ლანძღვა-გინების მაგალითებს თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა უხვად იძლევა. მთავარია, რომ ჟურნალისტმა რესპონდენტს მორალური ზარალი არ მიაყენოს. მან წინასწარ უნდა გაიაზროს, თუ რისი გამოქვეყნება შეიძლება და რისი არა. ჟურნალისტს, რომელსაც პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს უამრავ ადამიანთან აქვს ურთიერთობა, არ უნდა დალატობდეს ტაქტის გრძნობა.

დაუშვებელია ყურმოკრულ ფაქტებზე, დაუზუსტებელ ცნობებზე, ჭორებზე, ვარაუდებზე მასალის აგება და სიმართლის გაყალბება. როგორც დღეს საქართველოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მიმოხილვამ გვიჩვენა, ნებისმიერი მსგავსი ქმედება კანონით იკრძალება. 2004 წლამდე მოქმედ კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ (1991) კი ნათქვამი იყო, რომ „ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს, მაგრამ მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით და რასაც მოყვა თვით ჟურნალისტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების დისკრედიტირება, იქმნება ღირსების სასამართლო“ (მუხლი 29). ღირსების სასამართლოს ქმნის ჟურნალისტთა კავშირი ან ნებისმიერი მასობრივი ინფორმაციის საშუალების კოლექტივი. მას შეუძლია დააყენოს პროფესიონალი ჟურნალისტის დასჯის საკითხი (გაკიცხვა, ფულადი ჯარიმა, კავშირის წვერობის დროებით შეჩერება ან გარიცხვა). ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა მსგავს არაფერს ითვალისწინებს და რაც მთავარია ამის შესახებ არაფერია ნათქვამი „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსში“. საგულისხმოა, რომ კოდექსი ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ იქნა შემუშავებული და მასში ამის შესახებ აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული.

კოდექსში განმარტებულია, თუ რა მოეთხოვება ჟურნალისტს, რა არის მისთვის დასაშვები და რა არა. პირველ თავში საუბარია ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ხაზგასმულია, რომ ის ვალდებულია ემსახურის სიმართლეს, იყოს ობიექტური, კეთილსინდისიერი, პატივი სცეს

საყოველთაო ღირებულებებს. კოდექსის ბოლო მუხლიც ჟურნალისტის პასუხისმგებლობას ეხება. მასშია საუბარია იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დამრღვევი ჟურნალისტების მიმართ იყენებენ. ეს არის: ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) ასოციაციიდან გარიცხვა. კავშირმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მომხდარ ფაქტზე პრესაში გამოქვეყნების შესახებ. კონფლიქტური სიტუაციები ყველაზე მეტად მაშინ წარმოიშვება, როდესაც ჟურნალისტს მორალური ზარალის მიყენება, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, შეურაცხყოფა და ცილისწამება ბრალდება. კოდექსში ნათქვამია, რომ ჟურნალისტი მოვალეა გამოაქვეყნოს უარყოფა, ბოდიში მოუხადოს და მორალური ზარალი აუნაზღაუროს დაზარალებულს (მუხლი IV. კეთილსინდისიერება).

კოდექსის მეორე თავში საუბარია იმ გადაცდომებზე, რომლებიც პროფესიული ეთიკის პრინციპებისა და ნორმების დარღვევად ითვლება. ეს არის ინფორმაციის მიღებაზე და აზრის თავისუფლად გამოთქმაზე მოქალაქეთა უფლების დარღვევა, პიროვნების ღირსებისა და პატივის შელახვა და ა.შ. საქართველოს კონსტიტუციის (1995) მე-17 და მე-18 მუხლებშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ადამიანის ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა, თუმცა ზუსტი განმარტება იმისა, თუ ჟურნალისტის მიერ ჩადენილი რომელი ქმედება ითვლება შეურაცხმყოფელად, მხოლოდ კოდექსის მე-11 მუხლშია მოცემული. კოდექსი ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, როდესაც ჟურნალისტი პროფესიულ ღირსებას ღარბავს. ეს არის სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობა, თანამდებობის პირებისგან უპირატესობისა და შეღავათების მიღება, ანგარებით მასალის დაბრკოლება, ან პირიქით გამოქვეყნება, ინფორმაციის მისაღებად შანტაჟის ან პროვოკაციის გამოყენება. კოდექსში ასევე არაფერია ნათქვამი ინტელექტუალურ საკუთრებასა და სხვათა საავტორო უფლებების პატივისცემაზე. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის შელახვაა, თუ ის რაიმე ფორმით გაამჟღავნებს სხვა პირის ფსევდონიმს მისი თანხმობის გარეშე, სხვის ნაწარმოებს მთლიანად ან ნაწილობრივ მითითისებს და საკუთრად გაასაღებს სხვის იდეას, ორიგინალურ თემას თუ სიუჟეტს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, კოდექსში მითითებული უნდა იყოს ჟურნალისტთა, როგორც ავტორთა უფლებების ხელშეუხებლობაზე და აგრეთვე იმაზეც, რომ თავადაც პატივი უნდა სცენ სხვათა ინტელექტუალურ უფლებებს.

„საქართველოს ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსს“ საფუძვლად უდევს საქართველოს კონსტიტუცია (1995), „ჟურნალისტის ეთიკის საერთაშორისო კოდექსი“.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების შესახებ კანონისა“ (1991) და ასევე „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ გარკვეული თავების ზოგადი მიმოხილვა და გახსენება აუცილებელია მედიის სამართლებრივი და თვითრეგულირების ეტაპობრივი განვითარების ლოგიკური ჯაჭვის დასანახად. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ დასრულებულა და მასზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს. ზემოთ განხილული კოდექსი ნათელ წარმოდგენას იძლევა ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ ერთია ამ წარმოდგენების შექმნა და მეორე მათი გათვალისწინება. ის, რომ ეს კოდექსი ნაკლები ქმედითუნარიანობით გამოირჩეოდა, ამას დღეს მედია თვითრეგულირების სფეროში მიმდინარე პროცესებიც ცხადყოფს, რაზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტურმა ორგანიზაციებმა და კავშირებმა ევროპის სულ მცირე 29 ქვეყანაში მიიღეს ეთიკური კოდექსები. თითოეულ მათგანში ყურადღება გამახვილებული ფაქტების გადამოწმების აუცილებლობაზე, მათ სიზუსტესა და ობიექტურობაზე, ჟურნალისტის პასუხისმგებლობასა და პატიოსნებაზე, უდანაშაულობის პერზუმციასა და პიროვნების ხელშეუხებლობაზე, საინფორმაციო წყაროს კონფიდენციალურობასა და პროფესიული საიდუმლოს დაცვაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჟურნალისტთა მოვალეობების ქარტია, რომელიც რომში იტალიური პრესის ეროვნული ფედერაციის მიერ 1993 წლის 8 ივლისს იქნა მიღებული. გარდა ამისა, ზოგიერთმა გაზეთმა სარედაქციო კოდექსი მიიღო. მაგალითად, საფრანგეთში საერთოეროვნულმა გაზეთებმა „ლიბერასიონმა“, „მონდმა“, „კრუამ“ ეთიკური კოდექსები შეიმუშავეს, რომლებმაც რედაქციათა დამოუკიდებლობა, ინფორმაციის სიზუსტე და ობიექტურობა უნდა უზრუნველყონ. ასევე მეტად საინტერესოა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ ვრცელტანინანი ეთიკური კოდექსი, რომელიც ჟურნალისტის პასუხისმგებლობასა და მოვალეობებზე, მისთვის მიუღებელ საქციელსა და შეზღუდვებზე სრულ წარმოდგენას იძლევა.

უმრავლეს შემთხვევაში რედაქციის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისადმი სარედაქციო კოლეგიის უხმო კონსენსუსით წყდება. გაზეთს

არჩეული აქვს გენერალური ხაზი, რომელიც წერილობით არ არის გაფორმებული, მაგრამ ამის შესახებ ყველა ჟურნალისტმა იცის. სრულდება თუ არა დაუწერელი კანონები, ეს მაინც შინაგან ცენზურაზეა დამოკიდებული, რომელიც ჟურნალისტს უფლებას არ მისცემს გაუმართლებელი საქციელი ჩაიდინოს. დღეს ქართული პრესაში ხშირად შეხვედებით ნაჩქარევად მომზადებულ მასალებს, გადაუმოწმებელ ფაქტებს და ისეთ დეტალიზაციას, რომლის გამართლება ბაზარზე არსებული კონკურენციით ყოველად დაუშვებელია. მყვირალა სათაურები, კარიკატურები და ა.შ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რაც ბულვარული ე.წ. ყვითელი პრესისთვის არის დამახასიათებელი. ეს ტენდენცია არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში შეინიშნება.

პროფესიონალიზმი სწორედ ისაა, რომ რთულ სიტუაციებში არ უღალატო საკუთარ სინდისს და სამსახურეობრივ მოვალეობას. სენსაციებზე გამოდევნებამ ის გამოიწვია, რომ შემცირდა ანალიტიკური მასალები, დავიწყებას მიეცა ისეთი ჟანრები, როგორცაა ნარკვევი, ჩანახატი, იშვიათად შეხვედებით კარგ რეპორტაჟებს, ანალიტიკურ სტატიებს. ასე რომ, გარემო პირობები კი არ უნდა ახდენდეს გავლენას მასმედიაზე, არამედ პირიქით, ჟურნალისტები უნდა ცდილობდნენ, რომ ზემოქმედების ყველა საშუალება გამოიყენონ და საზოგადოების გაჯანსაღებაზე იზრუნონ.

ასევე ძალზედ საინტერესოა ამერიკის პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების (SPJ) ეთიკური კოდექსი, რომლის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენელთა დრმა რწმენით საზოგადოების განათლება და მისი დროული ინფორმირება სამართლისა და დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს (Society of ... (SPJ), Code of Ethics).

ჟურნალისტები მოვალენი არიან, რომ სიმართლის ძიების პროცესში უკან არ დაიხიონ და ფაქტები თუ მოვლენები ობიექტურად და მრავალმხრივ გააშუქონ. კეთილსინდისიერი ჟურნალისტი ცდილობს, რომ საზოგადოებას გულმოდგინედ და ღირსეულად ემსახუროს, რაც ჟურნალისტთა მიმართ საზოგადოების ნდობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. პერამბულაში ასევე მითითებულია, რომ საზოგადოების წევრები ეთიკურ ქმედებათა მიმართ თავიანთ პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ და ამ კოდექსით მოცემულ მოსაზრებებს პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობის პრინციპებად და სტანდარტებად აღიარებენ.

კოდექსში ცალკე თავად არის გამოყოფილი სიმართლის ძიება და მისი გადმოცემის საშუალებები, რომელშიც ნათქვამია, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის მოძიების, გაშუქებისა და ინტერპრეტაციის პროცესში ობიექტური, მიუკერძოებელი და თამამი უნდა იყოს. კოდექსში მოცემულია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც მათ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს თავიდან უნდა აიცილონ. საყურადღებოა, რომ პირველ ადგილზე არაობიექტურობა და ფაქტების დამახინჯების თავიდან აცილება დგას.

კოდექსში განსაკუთრებით საინტერესოა ის თავი, რომელიც ჟურნალისტს მისი საქმიანობიდან მიყენებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანას ავალდებულებს. მასში ნათქვამია, რომ ჟურნალისტი, რომელიც ეთიკური კოდექსებით ხელმძღვანელობს რესპოდენტებსა და კოლეგებს პატივისცემით უნდა ექცეოდეს.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი არაანგაჟირებული უნდა იყოს, თუმცა როგორც რეალობა გვიჩვენებს, თუკი საბჭოთა კავშირში ის პოლიტიკურად სახელმწიფოსა და მის იდეოლოგიაზე იყო დამოკიდებული, მისი ნგრევის შედეგად გარდამავალ პერიოდში ჟურნალისტი ეკონომიკურად დამოკიდებული და მედიის ორგანოთა მფლობელების ნება-სურვილისა და პოლიტიკის გამტარებელი გახდა. საკუთრებისა და შესაბამისად დამოკიდებულების ფორმა შეიცვალა, მაგრამ ჟურნალისტური პროფესიის თავისებურებებიდან გამომდინარე, ის მაინც ყოველთვის დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის.

ინფორმაციის მოძიებისას, რა თქმა უნდა კანონიერების ფარგლებში, მოქმედების არა ვიწრო, არამედ ფართო არეალი ყველა ჟურნალისტის სანუკვარი ოცნებაა. სწორედ ამიტომ ეს კოდექსი ჟურნალისტის დამოუკიდებლად მოქმედების აუცილებლობას უსვამს ხაზს. მასში ნათქვამია, რომ პრესის წარმომადგენელი თავისუფალი უნდა იყოს ყველა იმ ვალდებულებისაგან, რომელიც საზოგადოების მოთხოვნას ინფორმაციის მიღებაზე არ უკავშირდება. აქედან გამომდინარე ჟურნალისტის ვალდებულება:

- თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი, რაც შესაძლოა აშკარა ან დაფარული იყოს;
- არ ეწეოდეს ისეთ საქმიანობას და არ იყოს იმ გაერთიანების წევრი, რამაც შესაძლოა ჟურნალისტთა ერთიანობის დარღვევა და ნდობის შერყევა გამოიწვიოს;

- უარი განაცხადოს საჩუქრების, ჰონორარების, შეღავათების მიღებაზე, უფასო მგზავრობებსა და მკურნალობაზე, ასევე უარი განაცხადოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, თუკი ეს ჟურნალისტურ ერთიანობას ზიანს აყენებს;
- გამოაშკაროს გარდაუვალი კონფლიქტები;
- იყოს წინდახედული და თამამი მათთან, ვინც ძალაუფლებას ფლობს;
- დაგმოს რეკლამის ობიექტთა პრივილეგირებული გაშუქება ან მათდამი განსაკუთრებული ინტერესის გამოვლენა, ამავე დროს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ მცდელობას, ვინც ახალი ამბების საშუალებით საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს;
- იყოს წინდახედული იმ საინფორმაციო წყაროებთან, რომლებიც ინფორმაციის საფასურად თანხას ან სხვა სარგებელს ელიან. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ თანხის შეთავაზების პრეცედენტი არ შეიქმნას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კოდექსში გამახვილებულია ჟურნალისტთა პასუხისმგებლობაზე და მოცემულია ზუსტი ჩამონათვალი იმისა, თუ ვის წინაშე არიან პასუხისმგებელი ამ პროფესიის წარმომადგენლები. პირველ რიგში, ესენი არიან მკითხველები, მსმენელები, მაყურებლები და კოლეგები. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტები ვალდებული არიან, რომ ყველა მნიშვნელოვან სიახლესა და საჭირობოროტო საკითხზე საზოგადოებასთან დიალოგი გამართონ. ხელი შეუწყონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვას, თუკი ამას ობიექტური და სამართლიანი საფუძველი აქვს. როგორც ჩანს, თვითკრიტიკულობა და საზოგადოების მხრიდან შენიშვნების მიღება, პროფესიონალი ჟურნალისტების აზრით, პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია. აქ გასაკვირი არც არაფერია, რადგან თუკი მასმედია ხელისუფლებას აფხიზლებს და მუდამ დამკვირვებლის მოდარაჯე თვალთ უყურებს, მასმედიისთვის ამ ფუნქციას საზოგადოება ასრულებს, რაც დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

სწორედ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კოდექსში მითითებულია, რომ შეცდომების შესახებ ჟურნალისტებმა შენიშვნები უნდა მიიღონ და მათ სწრაფ გამოსწორებაზე თავად იზრუნონ. მათ ასევე უნდა გამოაშკარონ ჟურნალისტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არაეთიკური საქციელი და დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები, როგორც ეს

სხვა პროფესიის წარმომადგენლებს მოეთხოვებათ. აქ შესაძლოა ერთი დამატებითი მოსაზრებაც დაერთოს: საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მასზე ზეგავლენის მოხდენის ხელთარსებული რეალური ბერკეტებიდან გამომდინარე, ჟურნალისტებმა ეს სტანდარტები სხვაზე მეტად უნდა დაიცვან და, რა თქმა უნდა, გააცნობიერონ, რომ მათ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

პირველი ეთიკური კოდექსი, რომლითაც პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოება ხელმძღვანელობდა, 1926 წელს გაზეთის გამომცემელთა ამერიკული საზოგადოების მიერ იქნა მიღებული. 1973 წელს მან თავისი საკუთარი კოდექსი მიიღო, რომელშიც ცვლილებები 1984, ხოლო შემდეგ 1987 წელს შევიდა. ზემოთ განხილული ჟურნალისტთა კოდექსი კი პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ 1996 წელს იქნა მიღებული.

სხვა ბევრ საინტერესო მოსაზრებებთან ერთად ეს კოდექსი ყურადღებას ინტერესთა კონფლიქტზე ამახვილებს, რომლის თავიდან აცილება ჟურნალისტთა მოვალეობაში შედის. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში ისინი არაფერ ინტერესთა კონფლიქტის, არამედ ზოგადად კონფლიქტური სიტუაციების ინიციატორები თავად არიან.

თვითრეგულირების მექანიზმების ევროპული გამოცდილების გასაცნობად აღსანიშნავია „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ გამოცემული ზემოთ ერთხელ უკვე აღნიშნული ნაშრომი „ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები“ (2003). მასში მოცემულია ევროპის ქვეყნებში მოქმედი ეთიკის კოდექსების ანოტაცია და ის ძირითადი დებულებები, რომლებიც მათ აერთიანებთ. ესენია ინფორმაციის და კომენტარი გამიჯვნა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, ფაქტების სიზუსტე, ინფორმაციის წყარო, შესწორება, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფარული ჩანაწერები, არასრულწლოვანები, სასამართლო პროცესი, კრიმინალური ამბები, პირადი გამორჩენა, ინტერესთა კონფლიქტი, საავტორო უფლებების დაცვა, რეკლამა, ინტერვიუ, ფოტო, სათაური, საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ა.შ. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შეგვექმნას ევროპის ქვეყნებში ჟურნალისტიკის ეთიკურ პრობლემატიკაზე და ასევე იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რაზეც ჟურნალისტებმა პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ყურადღება უნდა გაამახვილონ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ჟურნალისტთა ეროვნული

კავშირის (NUJ) ეთიკური კოდექსის თანახმად, ჟურნალისტები ვალდებული არიან უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტი შეინარჩუნონ და თავისუფალი პრესის პრინციპები დაიცვან (Bland, Theaker & Wragg, 2000, გვ.17). უფრო ზუსტად რას გულისხმობს მედიის უმაღლესი პროფესიული სტანდარტი? ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაცია ქცევის პრინციპების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა სიმართლის ძიება, ისევე როგორც საზოგადოების მიერ სიმართლის მიღების უფლების პატივისცემა. ამ ძირეული პოსტულატიდან გამომდინარეობს ყველა დანარჩენი და სწორედ მისი უგულვებელყოფა ქმნის ზემოთ მოცემულ ჩამონათვალს („ჟურნალისტური ეთიკა...“ 2003).

მედიის თვითრეგულირების განვითარების თვალსაზრისით ასევე უნდა აღინიშნოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ წამოყენებული ეთიკური ჟურნალისტიკის ახალი ინიციატივა, რომლის ძირითადი პოსტულატია – ხარისხიანი მედია მრავალფეროვნებისა და პლურალიზმისთვის. ის პირველად 2007 წელს მოსკოვში გამართულ ფედერაციის მსოფლიო კონგრესზე მიიღეს და მას შემდეგ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ინდონეზიაში მედია პროფესიონალების შეხვედრებზე განხილვის ძირითად საკითხად იქცა. მისი ძირითადი პრინციპებისა და ფასეულობების ჩამონათვალში აღნიშნულია, რომ თავისუფალი მედია სახელმწიფოებსა და მის ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის წინაპირობაა. ის კიდევ ერთხელ აღიარებს სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცემის ძირითად პრინციპებს, როგორც ეს აღნიშნულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-19 მუხლში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში, ეუთოს, იუნესკოსა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და დადგენილებებში.

ეს ინიციატივა ეთიკური ჟურნალისტიკის ხუთ ძირითად პრინციპს შემდეგნაირად განსაზღვრავს: სიმართლის პატივისცემა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, პროფესიული სოციალური პასუხისმგებლობის ამადლება (დევით არ ავნო!), კოლეგების მიმართ ანგარიშვალდებულება და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. ასევე საგულისხმოა, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკის ეთიკური პრობლემატიკა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში განსაზღვრულია, როგორც პოპულარობისკენ სწრაფვა,

სკანდალურობასა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ სენსაციებზე გამოდევნება, რაც საზოგადოებაში აპათიას, უნდობლობასა და ცინიზმს აღვივებს (International Federation...(IFJ), 2007).

ინიციატივის საპროგრამო ტექსტში ასევე ხაზგასმულია მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხი, რასაც სხვა ეთიკურ კოდექსებში ნაკლები ყურადღება ეთმობა. აქვე აღნიშნულია, რომ სოციალური რევოლუციებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დინამიზმის ეპოქაში, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სადაც პოლიტიკოსები სიტყვის თავისუფლებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობად აღიარებენ, მედია სახელმწიფოსგან წარმოუდგენლად დიდ ზეწოლას განიცდის, რაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით ხორციელდება. თავის მხრივ კი, მედია დაუფიქრებელი და უპასუხისმგებლო ქმედებებით ხელს უწყობს კონფლიქტების გაღვივებას, ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობას; თუმცა წავაწყდებით წინააღმდეგობრივ მოსაზრებებსაც. მაგალითად, მეტად საგულისხმოა ფრაზა – „არა ქცევის კოდექსს კი ეთიკურ ინიციატივას“, რადგან ამ ინიციატივის ავტორთა აზრით, ჟურნალისტების მიერ ნებისმიერი კოდექსი მედიის რეგულირების, ზემოქმედების მოხდენისა და პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის საშუალებად სამართლიანად აღიქმება. ამავე დროს, აქვე საუბარია ქცევის კოდექსების დაცვის აუცილებლობაზე ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტის უზრუნველსაყოფად (International Federation...(IFJ), 2007).

თვითრეგულირების თვალსაზრისით რა უფრო ეფექტიანი იქნება – ქცევის კოდექსები, თუ ცალკეული ინიციატივები, ამას მომავალი გაარკვევს; მაგრამ ის, რომ ჟურნალისტური პასუხისმგებლობის ზრდასთან ერთად, შესაბამისად იზრდება თვითრეგულირების მექანიზმების მნიშვნელობა, ამას ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ამ ახალი ინიციატივის მიღებაც დასტურებს.

ჟურნალისტთა პროფესიულ სტანდარტზე საუბრისას სხვადასხვა მედია მკვლევარი განსხვავებულ პრობლემურ საკითხზე აკეთებს აქცენტს. ამ შემთხვევაში მაგალითად მოვიყვანოთ ორი მედია მკვლევარის რაფაელ ქოჰენ-ალმაგორისა და ჯეკი ჰარისონის მოსაზრებებს. რაფაელ ქოჰენ-ალმაგორი წერს: „მაშინ, როდესაც ვსაუბრობ ახალი ამბების გადაცემის დროს ჟურნალისტთა სიზუსტესა და კეთილსინდისიერებაზე, მე ასევე ვუარყოფ მათ მორალურ ნეიტრალიტეტს დემოკრატიის დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების მიმართ, რომელთა წყალობითაც მედია ფუნქციონირებს

და ყვავის” (Cohen-Almagor, 2005, გვ.71). ჯეკი ჰარისონის აზრით კი, „სამაუწყებლო სექტორში მომუშავე ჟურნალისტები მუდამ ვალდებულნი არიან, რომ მათ მიერ გადაცემული ახალი ამბები ობიექტური და მიუკერძოებელი იყოს, ვინაიდან ახალი ამბების ჟურნალისტიკა მოითხოვს შეფასებას, ანალიზს, და ობიექტურობიდან გამომდინარე, ორივე მხარის არგუმენტირებულად და დაბალანსებულად წარმოჩენას“ (Harrison, 2006, გვ.72). უნდა აღინიშნოს, რომ სამაუწყებლო კომპანიების მისამართით გამოთქმული ეს მოსაზრება არა მხოლოდ მათ, არამედ მედიის ყველა საშუალებას ეხება, ვინაიდან დაუშვებელია, რომ ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, არგუმენტირებული ანალიზი და შეფასება მხოლოდ სამაუწყებლო კომპანიებს მოეთხოვებოდეთ.

საქართველოში თვითრეგულირების განვითარების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს კი „დილის გაზეთმა“ საკუთარი ეთიკის კოდექსი მიიღო, რომელიც ჟურნალისტებისგან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გაზეთის ბოლო გვერდზე შეხვდებოდით სარედაქციო განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ მოხმობილი ფაქტების, ციტატების, საკუთარი სახელების, ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მონაცემების სიზუსტისთვის, აგრეთვე იმისთვის, რომ მასალაში არ იყოს მონაცემები, რომელთა გამოქვეყნება მიზანშეუწონელია... რედაქციამ განხილვის მიზნით შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს“ (სარედაქციო განცხადება, 2000, 21 მარტი, გვ.24). ეს განცხადება თავისთავად მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ რედაქციას მთელი ტვირთი ჟურნალისტებზე გადაჰქონდა, მაგრამ ფაქტების სიზუსტის, საინფორმაციო წყაროს გადამოწმებისა და მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით, ის ჟურნალისტთა პასუხისმგებლობას ზრდიდა.

დღეს რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თბილისში გამომავალ არც ერთ მსხვილტირაჟიან გაზეთს არ აქვს საკუთარი ეთიკის კოდექსი. ეს კანონმდებლობით ბეჭდვურ მედიას არ მოეთხოვება, თუმცა რამდენიმე რეგიონალურ გაზეთს კი ნამდვილად აქვს ეთიკის კოდექსი, მაგალითად, „გაზეთ ბათუმელებს“, „გურია ნიუსს“ (ამ გაზეთის ეთიკის კოდექსი ყოველი გამოცემის მეორე გვერდზე იბეჭდება), „ჩემს ხარაგაულს“, „ახალ გაზეთს“ (ქუთაისი), „გურიის მოამბეს“ და „სამტრედიის მოამბეს“.

პერიოდული გამოცემების მიერ ეთიკური კოდექსების შემუშავების პროცესი კვლავ მიმდინარეობს. მაგალითად, 2008 წლის ნოემბერში „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა“ რეგიონალურ ჟურნალისტებთან სამუშაო შეხვედრა მოაწყო, რომლის მიზანი ეთიკური ნორმების შემუშავება იყო. შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მედია ექსპერტმა ია ანთაძემ განაცხადა: „კანონი არის ძალიან ლიბერალური, რომელიც ჟურნალისტს ბევრ უპირატესობას ანიჭებს. ეს ერთის მხრივ კარგია, მაგრამ მეორეს მხრივ, იქმნება აუცილებლობა, რომ პასუხისმგებლიანმა ჟურნალისტებმა შექმნან მექანიზმი და ნებაყოფლობით შეიზღუდონ უფლებები საზოგადოების მეტი ნდობის მოსაპოვებლად. იმის გამო, რომ რეგიონალური ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხი მაღალია, სწორედ მათი ინიციატივით დაიწყო მუშაობა ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბებაზე“ („რეგიონალური ჟურნალისტები...“ 2008, 18 ნოემბერი). შეხვედრის დასრულებისას ჟურნალისტებმა მიიღეს ერთობლივი მიმართვის ტექსტი კოლეგებისადმი და მათ ეთიკის ნორმების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება სთხოვეს.

პროფესიული სტანდარტისა და მედია ეთიკის საკითხებზე საუბარი ასევე მიმდინარეობდა რეგიონალურ ჟურნალისტებთან გამართულ კიდევ ერთ შეხვედრაზე, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში სიღნაღში გაიმართა. განხილვის საგანი კონფლიქტების გაშუქებისას ჟურნალისტების მიერ გამოყენებული „სიძულვილის ენა“ იყო, რაც ისეთ ფრაზებში გამოიხატებოდა, როგორცაა „სეპარატისტი ოსები“, „აგრესორი რუსები“, „მძარცველი და მაიმუნი ჩრდილოელი მტრები“ და შუღლის გაღვივებას კიდევ უფრო უწყობდა ხელს. შეხვედრაზე ჟურნალისტმა თეა თედლიაშვილმა განაცხადა: „როდესაც წლების წინ შეერთებულ შტატებში „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქცია დაიწვა, ამავე გაზეთის ჟურნალისტებმა სტატია დაწერეს მხოლოდ თვითმხილველი მოქალაქებისა და პოლიციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტებმა შესძლეს სხვადასხვა ადამიანის მოწმედ მოყვანა, რადგან მათ მიერ გადაცემული ახალი ამბავი დამაჯერებელი ყოფილიყო. სხვათაშორის ხანძრის თვითმხილველი ამავე გაზეთის ჟურნალისტების ნახევარზე მეტი იყო, თუმცა სტატიაში არც ერთი მათგანი არ იყო მოხსენიებული. ამ მაგალითით კარგად ჩანს, რომ ჟურნალისტი მის მიერ მოყვანილი ფაქტის დასადასტურებლად მაქსიმალურად უნდა ეცადოს რაც შეიძლება მეტი მტკიცებულება შეაგროვოს“ (წიწიკაშვილი, 2008, 22 ოქტომბერი).

ჟურნალისტთა არაეთიკური ენისა და როგორც ფილოსოფოსი გიგი თევზაძე (2003) აღნიშნავს, „ყვითელი“ წერის სტილის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ქართული მედიის ეთიკურ ნორმებზე და ბეჭდვითი მედიის განვითარების ეტაპებზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ „...ერთსა და იმავე გაზეთში სხვადასხვა სტილისა და პათოსის სტატია ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული დაწყებული ანალიტიკურით, დამთავრებული სრულიად „ყვითელი“ წერის სტილით... განსხვავებული სტილი არა ერთი გაზეთის, არამედ ერთი სტატიის ფარგლებში აირია“ (გვ.22-23). ამის ნათელი მაგალითია გაზეთ „ახალი თაობაში“ 2001 წლის 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული 2 მასალა: „როგორ იპარავდა გურამ აბსანძე კილობით კვერცხს, ხორბალს, შაქარს და ავეჯს“ ქვესათაურით – „ვინ არის „ჩლიქოსანი გურამ აბსანძე, ღლოთი ქობალია თუ პროკურატურა?“ (მეფარიშვილი, 2001, გვ.7) და „ქართველი არასდროს ყოფილა მონა, მას მარადიული ღირებულებები გააჩნია“ ქვესათაურით – „თეატრში წარსული ხელშეუხებლად იგრძნობა“ (ფრიდონაშვილი, 2001, გვ.8). საგულისხმოა, რომ ეს მასალები ერთი საგაზეთო ფურცლის ორ გვერდზეა მოთავსებული და მათი განსხვავებული ჟურნალისტური ენა, პათოსი, სტილი სათაურიდან დაწყებული შინაარსით დამთავრებული ზემოთ ნახსენები ტენდენციის ნათელი დადასტურებაა.

რაც შეეხება სამაუწყებლო კომპანიებს, დღეს მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს მიღებული საკუთარი ქცევის კოდექსი, რასაც მას კანონმდებლობა ავალდებულებს. თავდაპირველად საზოგადოებრივმა არხმა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული „მედიის პროფესიული სტანდარტი“ (2002) მიიღო, რომლის ძირითად დებულებებს წარმოადგენდა: ინფორმაციის, თვალსაზრისის და კომენტარის გამიჯვნა; ინფორმაციის წყარო; პასუხის უფლება და შესწორება; დისკრიმინაცია; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; არასრულწლოვანები; ინფორმაციის მოპოვება; სასამართლო პროცესები კრიმინალური ამბები; პირადი გამორჩენა/ანგარება; ინტერესთა კონფლიქტი; საავტორო უფლებები; რეკლამა; საზოგადოებრივი აზრის კვლევა; ფოტოილუსტრაცია.

როგორც ჩანს, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები დოკუმენტის შედგენისას იმ ძირითადი დებულებებით ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც ევროპის ქვეყნების ეთიკურ კოდექსებშია მოცემული.

2002 წელს „მედიის პროფესიული სტანდარტს“ ხელი მოაწერეს ლიცენზირებულმა სამაუწყებლო კომპანიებმა და ბეჭდვური მედიის რეგონალურმა ასოციაციებმა. მსხვილტირაჟიანი გამოცემებიდან კი ხელმოწერას შეუერთდა მხოლოდ გაზეთი „24 საათი“, მაგრამ ერთია აღიარება და ამის თუნდაც ხელმოწერით დადასტურება... მთავარია ნებისმიერი კოდექსი თუ ხელმოწერა ფორმალური არ აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ ჟურნალისტი ია ანთაძე პროფესიულ ეთიკაზე საუბრისას ამბობდა: „იმის მიუხედავად, რომ ეთიკის კოდექსი ფორმალურად არსებობს, ვერა და ვერ მოხერხდა მისი „გაცოცხლება“. მიზეზი კი ის არის, რომ არც ჟურნალისტები და არც მედია საშუალებების მფლობელები ერთმანეთს არ ენდობიან“ (ანთაძე, 2004, 27 ივნისი).

მოგვიანებით, 2006 წლის ივლისში, „მედიის პროფესიული სტანდარტის“ ხელმოწერებმა ჩამოაყალიბეს მედიის თვითრეგულირების ორგანო – მედია საბჭო. ამ ინიციატივას სკეპტიკურად შეხედნენ სხვა მსხვილტირაჟიანი გამოცემები („ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“), რომლებმაც უარყვეს ეს სტანდარტები და ალტერნატიული თვითრეგულირების ორგანოს – პრესის საბჭოს შექმნის ინიციატივა წამოაყენეს.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი საკუთარი ქცევის კოდექსი 2006 წელს მიიღო, რომელსაც არასავალდებულო, არამედ რეკომენდაციული ხასიათი აქვს: „წინამდებარე კოდექსი ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც ჟურნალისტს, მის შინაგან ეთიკასა და ინტუიციასთან ერთად, კონკრეტულ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში შეუწყობს ხელს“ („საზოგადოებრივი მაუწყებლის...“ გვ-2).

63 გვერდიანი დოკუმენტის შესავალში აღნიშნულია, რომ კოდექსი, ერთის მხრივ, ჟურნალისტის პასუხისმგებლობის და მეორეს მხრივ, საზოგადოების მიერ ამ პასუხისმგებლობის გაკონტროლების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ქცევის კოდექსი საქართველოს სამაუწყებლო სივრცეში ამგვარი ინსტრუმენტის შექმნის პირველი მცდელობაა. იგი ორიენტირებულია, როგორც მომხმარებლის, ასევე მაუწყებლისა და მისი ჟურნალისტების უფლებების დაცვაზე.

როგორც ჩანს, ეთიკური კოდექსები, რომლებსაც გზამკვლევაებისა და რეკომენდაციების სახე აქვთ, არასაკმარისია ქართული მედიის ეთიკური პრობლემატიკის მოსაგვარებლად და საერთო სურათის გასაუმჯობესებლად. მთავარია რამდენად ითვალისწინებენ ჟურნალისტები იმ დებულებებს,

რომლებიც ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის საკითხებს ეხებიან და სასარგებლო რეკომენდაციებს შეიცავენ. საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს მონიტორინგის სამსახური, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მაუწყებლის ეთერში ეთიკის პრინციპების დაცვაა; მაგრამ სამაუწყებლო სივრცეში, მედია ეთიკის განვითარების თვალსაზრისით არსებული პროგრესის მიუხედავად, რამდენიმე წლის მანძილზე ქართულ მედიაში იდგა ქცევის კოდექსის, როგორც ნორმატიული, სავალდებულო აქტის მიღების საკითხი.

„მაუწყებლობის შესახებ კანონის“ (2004) თანახმად, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიას, კანონის მიღებიდან ერთი წლის ვადაში, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, როგორც ნორმატიული აქტი უნდა მიეღო, რომლის დებულებების შესრულება ლიცენზირებული სამაუწყებლო კომპანიებისთვის არა ნებაყოფლობითი, არამედ სავალდებულო იქნებოდა (მუხლი 76. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები). აქედან გამომდინარე, ქცევის კოდექსი 2006 წლის 18 იანვრისთვის უნდა მიეღოთ, მაგრამ მასზე მუშაობა რამდენიმე წელი გაგრძელდა. კომისიამ სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლებთან ერთად კოდექსის სხვადასხვა ვარიანტი განიხილა, რომლის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის წარმომადგენლები.

კოდექსის განსახილველად გამოტანისთანავე, მის შესახებ არაერთგვაროვანი მოსაზრება გამოითქვა. მაუწყებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიტიკოსთა ნაწილმა ის მედიის თავისუფლების შეზღუდვად აღიქვეს. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა კოდექსის შესახებ განაცხადა: „შეუძლებელია ის უწყებამ სავალდებულოდ აქციოს. იდეა, რომ კოდექსი დაიწეროს, კარგია, და, ეს ჟურნალისტებისგან უნდა მოდიოდეს. პრესა არის შემოქმედება და, როგორც არ შეიძლება მწერლობას და მხატვრობას დაუწერო კანონი, ასე პრესასაც ეს არ სჭირდება. უმჯობესია, კოდექსი კარგმა ჟურნალისტებმა გააკეთონ, ვიდრე კარგმა ჩინოვნიკებმა. ეს კოდექსი არის უსაზღვროდ დიდი მოცულობის. ის არ უნდა იყოს იმხელა, რომ მისი წაკითხვა ვერ შესძლო. როგორც კი ჩვენ დაუშვებთ, რომ ვიღაცას ექნება უფლება, მაუწყებლობა თუ გაზეთის გამოცემა შეწყვიტოს, ეს არასწორია“ (გულუა, 2006).

შენიშვნები გამოთქვას ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმაც და ზოგიერთმა მათგანმა „ეს მედიის პუტინიზაცია“ მონათლა, რაც ნამდვილად მიუღებელ შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს. დოკუმენტის შედგენაში „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ლევან რამიშვილი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსს ნორმატიული აქტის სახე ექნება, მისი თქმით, ჟურნალისტები კოდექსში მოცემული ნორმების გამო არ დაისჯებიან: „ეს კოდექსი ჟურნალისტებს დაეხმარება უკეთესი პროფესიონალები გახდნენ. პროფესიონალური მედია კი, უფრო მეტ გავლენას მოახდენს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე. მისი ავტორიტეტი უფრო ამადლდება და ის რეალურად მეოთხე ხელისუფლება გახდება“ (გულუა, 2006). ლევან რამიშვილის თქმით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ არ არის აკრძალვების კრებული, როგორც, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი.

ამ მოსაზრებას კი არ იზიარებდა ჟურნალისტი ნინო ჯანგირაშვილი და აცხადებდა, რომ ქცევის კოდექსი ნორმატიული აქტი არ უნდა იყოს: „მთავარი, რაზეც ვერ ვთანხმდებით, არის ის, უნდა იყოს თუ არა ეს კოდექსი ნორმატიული აქტი. ჩემი მოთხოვნა და ყველა ნორმალური ტელევიზიის მოთხოვნაა, რომ ეს არ უნდა იყოს ნორმატიული აქტი, ანუ სავალდებულოდ შესასრულებელი ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება დიდი პრობლემა, თუ ქცევის საკითხებსა და წამყვანის ჩაცმის საკითხს დამირეგულირებს მარეგულირებელი კომისია, ეს იქნება კატასტროფა. ამ ეტაპზე გვეუბნებიან, რომ ეს იქნება ნორმატიული აქტი, მაგრამ არ დაარეგულირებს ამას მარეგულირებელი და არ იქნება სანქციები. მარეგულირებელი კომისიაც ამას ამბობს, ლევან რამიშვილიც და ბევრი ადამიანი, ვინც ამ კოდექსის თანაავტორია. მაგრამ როგორ უნდა იყოს მაშინ რეგულირება, თუ ეს ნორმატიული აქტია“ (რეხვიაშვილი, 2008, გვ.7).

ზოგადად მედიის თვითრეგულირების მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მიზეზები IREX-ის მიერ ჩატარებულ ქართული მედიის 2006/07 წლების კვლევაშია მოცემული: „საზოგადოებაში არ არსებობს მოთხოვნა ეთიკურ და პროფესიულ ჟურნალიზმზე. თავად მედია და საზოგადოებაც ნაკლებად არის დაინტერესებული მოახდინოს თვითრეგულირების ინსტიტუციონალიზება. ზოგიერთმა გახეთმა დაგმო კიდევ ის, როგორც ცენზურის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. პროფესიული სტანდარტები

მედიაში დღეს შეზღუდვად უფრო არის მიჩნეული, ვიდრე პროფესიონალიზმის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად” (IREX MSI, 2006/07).

კოდექსის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და განაცხადა, რომ ეთიკის კოდექსი ყველა პროფესიის წარმომდგენელს სჭირდება... მაუწყებლის ქცევის კოდექსი კი არ უნდა ზღუდავდეს სიტყვის თავისუფლებას. ჟურნალისტმა ია ანთაძემ კი შეშფოთება გამოთქვა კოდექსის სამუშაო ვერსიის 150-ე მუხლის გამო, რომლის თანახმადაც მაუწყებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს მაუწყებელთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, „ანუ თუ საბჭო ჩათვლის, რომ დაირღვა კოდექსი, დამრღვევმა პასუხის უნდა აგოს, გულისხმობს ლიცენზიის შეჩერებასა და ჩამორთმევას” (გულუა, 2006).

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა კი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესახებ განაცხადა: „ქცევის კოდექსი ტელევიზიებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რადგან, ხშირ შემთხვევებში, ჟურნალისტები კონკრეტული ადამიანების პირად ცხოვრებაში ერევიან. ამ ქცევის კოდექსში თავმოყრილი პუნქტები რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველ რიგში ჟურნალისტური ეთიკა ეს მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების თვითრეგულირების საქმეა. მეორე როდესაც ხდება ადამიანის უფლებებისა და ფასეულობების ხელყოფა ეს უკვე კანონის საქმეა და ის მკაცრ სანქციებს უნდა ითვალისწინებდეს. სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება ეს სანქციები თუ მარეგულირებლის, ეს შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს, მაგრამ ამ სანქციის შემოღება აუცილებელია“ („სახალხო დამცველი: საგადასახადო...“, 2006).

ასეთი მიდგომა თავისთავად სიტყვის თავისუფლების დარღვევად არ განიხილება, ვინაიდან კანონის უზენაესობა და პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სამწლიანი სტატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად სამოქალაქო უფლებების, კერძოდ ინფორმაციის თავისუფლების დაცვა წარმოადგენს. „სახალხო დამცველის სამწლიან სტრატეგიაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება მედიასაშუალებების დაცვას ნებისმიერი შეზღუდვისაგან. დამოუკიდებელი მედია დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და სახალხო დამცველის ოფისი ყველაფერს გააკეთებს მისი დამოუკიდებლობის დაცვისთვის” („საქართველოს

სახალხო დამცველის...“). აქვე მითითებულია მედიის თავისუფლების დაცვის ხელშემწყობი გარემოებები. მათგან პირველი დასახელებულია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა და მათ მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების ცოდნა (კარგად ინფორმირებული ჟურნალისტისგან ხომ ნაკლებად მოსალოდნელია ეთიკური ნორმების დარღვევა).

მეორეა მოსახლეობის ინტერესი მედია საშუალებების მიმართ. საზოგადოების ჩართულობასა და მის ინტერესს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მედიის საშუალებების ფუნქციონირების საქმეში, ვინაიდან ჟურნალისტური საქმიანობის საბოლოო პროდუქტი ინფორმაცია ხალხს, საზოგადოებას ეკუთვნის და შესაბამისად ის მედიის კონტროლისა და მონიტორინგის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მესამედ კი დასახელებულია მეტ-ნაკლებად კომპეტენტური ჟურნალისტთა კორპუსის არსებობა. ეს პუნქტი პირველს ეხმიანება და აზრობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს ინფორმაციის დაცვის კუთხით არსებული ხელშემშლელი ფაქტორები, კერძოდ, თვითცენზურა, როდესაც ჟურნალისტები შეგნებულად ახდენენ კრიტიკული მუხტის შემცირებას და ჟურნალისტური სოლიდარობის განუვითარებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ არსებობს ჟურნალისტური პროფკავშირები; გარდა ამისა აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ გარდა მედიასაშუალებების წარმომადგენელთა უფლებებისა, აუცილებელია მედიასაშუალებების მომხმარებელთა უფლებების დაცვაც, ვინაიდან ისინი შესაძლოა ჟურნალისტთა უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად დაზარალებული აღმოჩნდნენ. ამ საკითხს კი ისევ და ისევ ჟურნალისტურ ეთიკამდე მივყავართ. მესამე ხელშემშლელ ფაქტორად კი მედია საშუალებებზე ხელისუფლების მხრიდან კონტროლის განხორციელების მცდელობა დასახელებული.

ქვეყნის კოდექსის პირველი სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვის დაწყებამდე კი, 2006 წლის აგვისტოში უფლებების დამცველმა საქრთაშორისო ორგანიზაცია „არტიკლ 19“-მა პროექტის ქართველ ავტორებს მოუწოდა, რომ გადაამოწმონ მისი დებულებების შესაბამისობა სიტყვის თავისუფლების საქრთაშორისო ნორმებთან, ვინაიდან კოდექსს საკანონმდებლო ხასიათი ექნება. ამ ორგანიზაციის აზრით, დებულებები, რომლებიც ზღუდავენ სიტყვის თავისუფლებას, უნდა ჩამოყალიბდეს ზუსტი ფორმით და ადვილად გასაგებ

ენაზე, რაც მოქალაქეებს, სამაუწყებლო კომპანიების ჟურნალისტების ჩათვლით, საშუალებას მისცემს არეგულირონ საკუთარი ქმედებები (ARTICLE 19, 2006).

„არტიკლ 19“-მა (2006) თავის კომენტარებსა და რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ კოდექსში ნათლად უნდა გაიმიჯნოს ის წესები, რომლებიც პირდაპირ უნდა იქნეს ძალაში გატარებული და დებულებები, რომლებიც ჟურნალისტებისთვის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენენ, ანუ ზღვარი სავალდებულო შესასრულებელ ნორმებსა და სასურველ პრაქტიკას შორის ბუნდოვანია, რამაც შესაძლოა ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს პრობლემები შეუქმნას. საერთაშორისო ორგანიზაცია ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კოდექსი სხვადასხვა რეგულაციებიდან ამოჭრილი ნაწილების არამყარი ერთობლიობაა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება ძალიან რთული და შეიძლება შეუძლებელიც იყოს.

„არტიკლ 19“-ის (2006) რეკომენდაციით კოდექსიდან უნდა ამოიღონ ყველა რეგულაცია, რომელიც ლიცენზიის მფლობელთა ვებ-გვერდს შეეხება. ეს რეგულაციები არალეგიტიმურია, ვინაიდან ისინი არეგულირებენ მაუწყებლის იმ საქმიანობას, რომელიც ლიცენზიის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული; ასევე უნდა ამოიღონ ყველა ის რეგულაცია, რომელიც შეეხება ლიცენზიის არმქონეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ორგანიზაცია ასევე ურჩევდა პროექტის ავტორებს, რომ გაითვალისწინონ მცირე ზომის ადგილობრივი მაუწყებლების მდგომარეობა, რადგან მათთვის რთული შესასრულებელი იქნება კოდექსში მოცემული მრავალი რეგულაცია და მაგალითად კი მოყვანილია ავსტრალიის გამოცდილება, სადაც მცირე ზომის მაუწყებლები თავისუფლებიან ნაკლებად მნიშვნელოვანი ნორმებისაგან.

სამწლიანი პერიოდის შემდეგ ეროვნულმა კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებელთათვის ქცევის კოდექსის საბოლოო სამუშაო ვარიანტი 2008 წლის 21 ნოემბერს წარმოადგინა, რომლის შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი მაუწყებელი, კერძო სამაუწყებლო კომპანიები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები იღებდნენ. 2009 წლის 12 მარტს კი ეროვნული კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა კოდექსის საბოლოო ვერსია და ინფორმაცია კომისიის მიერ მისი მიღების შესახებ: „დღეს საქართველოს ეროვნულმა კომუნიკაციების კომისიამ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მიიღო“. ეს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახის მაუწყებელს ავალდებულებს დაიცვას თანასწორობის, მრავალფეროვნების და

შემწყნარებლობის პრინციპები. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს მაუწყებლებს დაიცვან არასრულწლოვანთა აუდიტორია მავნე ზეგავლენისგან. ასევე, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ ნორმატიულ აქტზე მუშაობა რამდენიმე წელიწადი მიმდინარეობდა. კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს ეროვნული კომისიის გარდა, აქტიურად მუშაობდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები, შემდეგი ტელეკომპანიები: „რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „კავკასია“ და „მზე“, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები: „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „პედაგოგთა კავშირი“, კავშირი „იბერიანა“, „მედია საბჭო“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი და მოქალაქე გიორგი ყიფიანი... ამ დოკუმენტმა სამართლებრივი ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროში გაიარა“ („მაუწყებელთა ქცევის...“, 2009).

კოდექსში ნათქვამია, რომ მისი მიზანია „ყველა სახის მაუწყებელი, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებელი თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებებს“ (მუხლი 12. კოდექსის მიზანი).

კოდექსი შეიცავს სავალდებულო და არასავალდებულო მუხლებს, ასევე სამაუწყებლო კომპანიებისთვის აწესებს ეთიკურ და ლეგალურ ჩარჩოებს საინფორმაციო და გასართობი ჟანრის გადაცემების მომზადების დროს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გასათვალისწინებლად. ის შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებსაც ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების დროს, ასევე განსაზღვრავს სტანდარტულ პროცედურებს მედიის თვითრეგულირებისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებების მხრივ.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ქცევის კოდექსის განხორციელება, რომ ის ეფექტიან თვითრეგულირების მექანიზმად იქცეს? ეს კი კანონმდებლობაში თავისთავად არის გათვალისწინებული.

„კანონის მაუწყებლობის შესახებ კანონის“ (2004) თანახმად, ეროვნული კომუნიკაციების კომისია უფლებამოსილია ქცევის კოდექსის დარღვევის გამო ლიცენზიის მფლობელთა მიმართ გარკვეულ სანქციებს მიმართოს, რაც გულისხმობს გაფრთხილებას, ჯარიმის დაწესებას, ლიცენზიის შეზღუდვასა და გაუქმებას (მუხლი 71. სანქციები). ქცევის კოდექსის მიღებამდე კი, კომისიას 71 მუხლში მოცემული სანქციების დაწესება არ შეეძლო. კანონი ასევე

ავალდებულებს ლიცენზირებულ კომპანიებს, რომ საჩივრების მიღებისა და განხილვის შიდა მექანიზმი შექმნან (მუხლი 14. საჩივრები). ამასვე იმეორებს ქცევის კოდექსის მე-7 მუხლი. „კანონის მაუწყებლობის შესახებ“ (2004) 52-ე მუხლში კი, აღწერილია საჩივრის შედგენისა და წარდგენის ვადები და პროცედურა. დაინტერესებულ პირს შეუძლია საჩივარი თავად სამაუწყებლო კომპანიაში წარადგინოს, ასევე მიმართოს კომისიას ან სასამართლოს (მუხლი 14. საჩივრები. პუნქტი 2).

ის, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება თვითრეგულირების მექანიზმი, საზოგადოებასა და მის აქტიურობაზეც დიდად არის დამოკიდებული. საზოგადოების მხრიდან კანონით მინიჭებული უფლებების ცოდნა და მათი გამოყენების კულტურის გამომუშავება კი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ინტერესი უნდა გამოიჩინონ თავად ჟურნალისტებმაც, თუმცა მათი დამოკიდებულება ნორმატიულ აქტად ქცეული ქცევის კოდექსის მიმართ შესაძლოა უარყოფითიც იყოს. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის დარღვევის გამო სანქციების დაწესების უფლება მარეგულირებელ კომისიას ეძლევა, ისევე როგორც, შესაძლოა საზოგადოების უნდობლობა გამოიწვიოს სამაუწყებლო კომპანიასა თუ ჟურნალისტზე საჩივრის წარდგენამ ამავე კომპანიასთან არსებულ თვითრეგულირების ორგანოში („მაუწყებელთა ქცევის...“, თავი II. თვითრეგულირება და ანგარიშვალდებულება, მუხლი 7).

2008 წელს რეგიონალური მედიის წარმომადგენლები საერთო ჟურნალისტური ქარტიის – როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი თვითშეზღუდვებისა და ეთიკური ნორმების შემცველი დოკუმენტის – შემუშავების ინიციატივით გამოვიდნენ. ამ იდეის ინიციატორები ამტკიცებდნენ, რომ კანონი ვერ დაარეგულირებს მედიის საქმიანობის ეთიკურ და პროფესიულ საკითხებს და ამიტომ ჟურნალისტებმა ის არაქმედითუნარიანად უნდა მიიჩნიონ. იდეის ავტორებმა ცალკეულ ჟურნალისტებს მოუწოდეს, რომ ამ ქარტიის ხელმომწერები გამხდარიყვნენ.

ჟურნალისტთა ანთაძის აზრით კი, უნდა შეიქმნას როტაციული საბჭო, რომელიც ხელმომწერთა მიერ ქარტიის პრინციპების დაცვას გააკონტროლებს. ქარტიას ექნება თავისი ლოგო, როგორც ხარისხის ნიშანი ეთიკური ნორმების შესაბამისად მომზადებული ჟურნალისტური მასალისთვის. მედია მკვლევარ ზვიად ქორიძის თქმით, ეს ინიციატივა რეგიონალურმა მედიამ ენთუზიაზმით

აიტაცა, რასაც ვერ ვიტყვით თბილისში მომუშავე ჟურნალისტებზე (IREX MSI, 2009).

რეგიონალური მედიის თვითრეგულირების საკითხებით დაინტერესების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში გამომავალმა გაზეთმა „პი-ეს“-მა ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და მედიის განვითარების ფონდის დახმარებით საკუთარი ეთიკის კოდექსი შეიმუშავა, რომელიც საზოგადოებისთვის საჯარო 2008 წლის 20 დეკემბერს გახდა.

საქართველოში მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესი ამჟამადც მიმდინარეობს და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით ძნელი და შესაბამისად ნაადრევია ქართული მედიის პრესტიჟულობასა და ავტორიტეტზე საუბარი. უმაღლესი პროფესიული სტანდარტი მაშინ მიიღწევა, როდესაც თვითრეგულირების მექანიზმების საშუალებით სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტური ეთიკის საკითხების განუყოფლობა კი მედია სამართლის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციებითაც მტკიცდება – იმით, რომ ქართულ სინამდვილეში დღის წესრიგში ეთიკური პრინციპების ნორმატიულ აქტად ქცევის საკითხი დგას.

ლაურა კუტუბიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში „2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები“ (2009) ქართული მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტური ეთიკის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ საქართველოში მედიის თავისუფლება საკმაოდ დიდხანს იყო ასოცირებული „ყველაფრის თავისუფლებისაგან“. ნაშრომის ავტორს ამ საკითხების განსახილველად მოჰყავს ზემოთ ნახსენები არასამთავრობო ორგანიზაცია „არტიკლ 19“-ის მიერ 1993 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი მედიის სამართლებრივი და თვითრეგულირების საკითხების შესახებ, რომელიც 11 ქვეყნის (ავსტრია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, აშშ, საფრანგეთი, შვედეთი) გამოცდილებას ეყრდნობა. ლაურა კუტუბიძე წერს, რომ „მრავალგვარობისა და განსხვავებების მიუხედავად, არსებობს რამდენიმე ძირითადი პირობა, რომელიც საერთოა დემოკრატიული ქვეყნებისთვის პრესის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად: რეგისტრაციის ლიბერალური პირობები (გაზეთის ან ჟურნალის დაარსებისთვის არაა საჭირო მთავრობის ნებართვა), ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, წყაროს კონფიდენციალურობა

და ა. შ. ... პრესის პასუხისმგებლობის განვითარების კვალობაზე, პრესასთან დაკავშირებული კონფლიქტები სამართლებრივი სფეროდან თვითრეგულირების სფეროში ინაცვლებს, რაც პრესის დამოუკიდებლობასთან ერთად, მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს“ (გვ.20).

საერთო ჯამში კი, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის საფუძველი ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებაა, რაც მუშაობის პროცესში ბოროტისა და კეთილის შესახებ სწორი შეხედულების გამომუშავებას და იმ იურიდიული ნორმებისა და მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, რომლებსაც მას საზოგადოება უყენებს. საზოგადოებრივ ბოროტებასთან ბრძოლის კი ორად ორი გზა არსებობს: პოლიტიკური ქმედება და ფაქტების ზუსტი მიწოდება, ანუ ჟურნალისტიკა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რაც თავისთავად და უპირველესად, პასუხისმგებლობის გრძნობას გულისხმობს.

სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტური ეთიკა ისეთივე განუყოფელია, როგორც თავისუფლება და პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ზღუდავს თავისუფლებას და თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს, ჟურნალისტურ საქმიანობაში კი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლებას პროფესიონალიზმი ზღუდავს, რომელიც პასუხისმგებლობის ტოლფასია.

დასკვნა

ისტორიული ასპექტები. სიტყვის თავისუფლების დეონტოლოგიური ასპექტების შესასწავლად და ასევე ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის თანამედროვე სისტემაზე საუბრის დაწყებამდე, აუცილებელია იმის გარკვევა თუ რა გზა განვლო შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე სიტყვის თავისუფლების ღოზუნგმა, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რა ცვლილებებს განიცდიდა და როგორ ხდებოდა მისი ცხოვრებაში ტრანსფორმაცია. ფაქტობრივი და თეორიული მასალის კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ამ პრობლემის მუდმივი აქტუალობისა და სიმძაფრის მიუხედავად და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მედია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს, წარსულში და თანამედროვე ეტაპზე ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები შეინიშნება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა მიმოხილვისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოცდილება დაგროვდა ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად ვასკენით, რომ იმდროინდელი მოთხოვნა პრესის თავისუფლებაზე გულისხმობდა გაბატონებული აზრის შეცვლას შედარებით უფრო მოწინავე იდეებით, რომელიც საკუთარი შეხედულებების გარდა, ყველაფრის მიმართ შეურიგებელი იყო. პრესა, როგორც ბრძოლის იარაღი და ამა თუ იმ ფენის ინტერესთა გამოსატყვის საშუალება, ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდენციურ ხასიათსაც იღებდა. დღევანდელი გაგებით კი, სიტყვის თავისუფლება აზრთა სხვადასხვაობის არსებობასა და განსხვავებული მოსაზრებების პატივისცემას ნიშნავს; თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან სიტყვის თავისუფლების მიმართ თანამედროვე დამოკიდებულება საუკუნეების გამოცდილებამ, შეცდომების გათვალისწინებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია.

პრესის თავისუფლებაზე შექმნილი ფილოსოფიური ტრაქტატები, რომლებმაც ნიადაგი მოამზადეს მასმედიის თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ჩამოსაყალიბებლად, კიდევ ერთხელ ცხადყოფენ იმ ჭეშმარიტებას, რომ დაუშვებელია თანამედროვე პრობლემატიკის კვლევა ისტორიული მოვლენებისა და დოკუმენტური მასალის განხილვის გარეშე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების მაგალითის მოყვანა, სადაც პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლას

ყველაზე მძლავრი ხასიათი ჰქონდა და იმ ნაშრომებისა და პოლემიკური ხასიათის წერილების გაცნობა, რომლებიც აღნიშნული ბრძოლის შედეგად შეიქმნა.

ფილოსოფიური ასპექტები. სიტყვის თავისუფლების ისტორიულ ასპექტს უკავშირდება მისი ფილოსოფიური აღქმა, განსაზღვრა და განმარტება. ხანგრძლივმა ევრო-ამერიკულმა რევოლუციებმა, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ღოზუნგი პრესის თავისუფლება იყო, განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში სახელმწიფო ცენზურის შეზღუდვის თაობაზე ნოვატორული შეხედულებები ჩამოაყალიბეს, რომლებიც ფილოსოფიური ტრაქტატების სახით არის ცნობილი. როგორც შესავალშივე აღინიშნა, მათზე მსჯელობისას ტერმინს – „პრესის თავისუფლებას“ ვიყენებთ, ვინაიდან თანამედროვე გაგებით სიტყვის თავისუფლება წარსულში ბეჭდური მედიის თავისუფლებასთან იყო გაიგივებული. იგივე უნდა აღინიშნოს სიტყვის თავისუფლების ისტორიულ ასპექტებზე საუბრის დროსაც.

პრესის თავისუფლების მოთხოვნის ისტორიული განვითარების კვლევისთვის მნიშვნელოვანია ცენზურის შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ პირველი დასაბუთებული არგუმენტების გაცნობა. ისინი მრავალმხრივ და ერთმანეთისგან განსხვავებულ ფილოსოფიურ შეხედულებებს ემყარებიან და რაც მთავარია, მათ ნიადაგი მოამზადეს მასმედიის თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ჩამოსაყალიბებლად...

პრესის თავისუფლების ფილოსოფიური თეორიების ჩამოყალიბებამდე კი, ძალიან საინტერესო ნაშრომები შეიქმნა ზოგადად თავისუფლების რაობისა და თავისუფლების, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორიის შესახებ. ამ ფილოსოფიურ შეხედულებათა საფუძველზე კი შესაძლოა ვთქვათ – რაც უფრო თავისუფლად მსჯელობს ადამიანი ამა თუ იმ საკითხზე, მით უფრო მეტ აუცილებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი მსჯელობა. უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი ქმედებები და გადაწყვეტილებები ობიექტური კანონზომიერებით ვნებს არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ჟურნალისტთა პროფესიული მოვალეობის შესრულებას ეხება. სწორედ ამიტომ, მათ სრულად უნდა გაიაზრონ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ საზოგადოების წინაშე. სრულყოფილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მთელი სისრულით მოიცავს პასუხისმგებლობასაც და

მხოლოდ დრმა პასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანის საქმიანობას შეიძლება ეწოდოს თავისუფალი.

მე-18 საუკუნეში ინგლისში შექმნილი ფილოსოფიური თეორიების ძირითად დებულებებზე მსჯელობა და ამავე დროს თანამედროვე მედია მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებული პრესის თეორიების განხილვა, რომელთაც მოგვიანებით სოციალური პასუხისმგებლობის თეორიაც დაემატა, ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ დაუშვებელია სიტყვის თავისუფლებაზე საუბარი მისი დეონტოლოგიური ასპექტების გაუთვალისწინებლად. სწორედ ამიტომ ნაშრომში მოცემული ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები, მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული თანამედროვე მიდგომები და არსებული აქტუალური პრობლემები, ერთიან კომპლექსურ სურათს ქმნიან და კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ჟურნალისტთა მაღალი პროფესიული სტანდარტის არსებობის აუცილებლობას.

თანამედროვე ასპექტები – ეკონომიკური დამოკიდებულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებული ტენდენციების კვლევა მეტად მნიშვნელოვანია საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის. თემის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ პარტიული იდეოლოგიის მარწმუნებელთა გათავისუფლებულმა მედიამ დღეს დამოკიდებულების ფორმა შეიცვალა, რის გამოც ამჟამად მედია მკვლევარები თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის მითოლოგიაზე საუბრობენ... თავისუფლების შესახებ არსებული მითის თანახმად კი, მასმედია იმდენად თავისუფალი და დამოუკიდებელია, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელი და მისაღებია განვითარებულ პოლიტიკურ კულტურებში.

სიტყვის თავისუფლების თანამედროვე ასპექტების კვლევას ლოგიკურად საკითხთა ისეთ ფართო სპექტრამდე მიყვავართ, როგორცაა მასმედიაზე ზემოქმედების ბერკეტები და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება, სიტყვის თავისუფლების ეკონომიკური ასპექტები და პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციები მედია და სახელმწიფოს ურთიერთობებში.

ის ფაქტი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის იყო და დღესაც არის ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების იარაღი იმ პირთა ხელში, რომლებიც მათ ფლობენ და აკონტროლებენ, ამას მტკიცება არ სჭირდება. ამავე დროს უდავოა, რომ მასმედიის ზემოქმედება მსმენელის,

მაყურებლის, მკითხველის განწყობაზე, ცნობიერებაზე იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც თავად ეს ადამიანები შესაძლოა მოექცნენ ამა თუ იმ ზემოქმედების ქვეშ... მაგრამ თუ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს სხვანაირად ჩამოვაყალიბებთ, იმ აზრამდე მივალთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის, ყველა დროსა და ქვეყანაში მათი მფლობელებისა და დამფინანსებლების იდეების გამტარებლები იყვნენ და შესაბამისად, მათ მოსაზრებებსა და სურვილებს გამოხატავდნენ.

აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ სახელმწიფო აპარატის, ხელისუფლების შესაზღუდად, კორუფციის აღმოსაფხვრელად და მფლობელებზე მედიის დამოკიდებულების შესასუტებლად, აუცილებელია მართვის უფლების შეზღუდვა და განაწილება, რასაც ასევე მედია მენეჯმენტის სფეროს განვითარებაც ემატება. ეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემოკრატიზაციისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება მასმედიის სუროგატული თავისუფლება, როდესაც მედია ახალ რეალობაში მხოლოდ დამოკიდებულების ფორმას იცვლის.

თანამედროვე ასპექტები მედია და სახელმწიფო. დიქტატურის პირობებში მასმედია ერთპარტიული სისტემის რუპორი იყო, რის ნათელ მაგალითსაც უახლოეს წარსულში კომუნისტური რეჟიმი წარმოადგენდა. დემოკრატიულ ქვეყნებში კი, სიტყვის თავისუფლება ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტიაა, თავად სახელმწიფო კი, ამ თავისუფლების დაცვის გარანტი. ეს ურთიერთდამოკიდებულება კი, მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთპასუხისმგებლობასაც განსაზღვრავს, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაში უნდა აისახოს. ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოშიც კი თავისუფალი სიტყვა საზოგადოების არც ერთ ფენას არ ათავისუფლებს მორალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობისგან - არც მედია საშუალებებს, რომელთა სრულყოფილი ფუნქციონირება დამოკიდებულია თავისუფლების ხარისხზე და არც თავად ხელისუფლებას, რომელიც მისი უპირველესი დამცველი უნდა იყოს.

დემონტოლოგიის კვლევისას მრავალპლანიანი ამოცანის გადაჭრა იმ ობიექტურმა რეალობამ განაპირობა, რომ უახლოეს წარსულში სახელმწიფოს თავისუფლებისთვის ბრძოლა სიტყვის თავისუფლებაზეც აისახა და თითქმის მისი იდენტური გახდა... ეს პროცესები ყველგან მეტ-ნაკლებად მტკივნეულად

მიმდინარეობდა, მაგრამ ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მსგავსი ტენდენციები შეინიშნება. სწორედ ამ ტენდენციების განხილვა და ქართულ სინამდვილესთან მისადაგება, მედიასა და სახელმწიფოს ურთიერთობებში არსებულ კოალიზიებზე საუბარი, სიტყვის თავისუფლების ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხების, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების ერთად თავმოყრა თემის მასშტაბურად განხილვის საშუალებას იძლევა. ეს კი უფლებას გვაძლევს თამამად ვთქვათ, რომ მხოლოდ ის მასმედია, რომელიც გაცნობიერებული აუცილებლობის პირობებში ფუნქციონირებს, მაღალპროფესიული სტანდარტებით, სამართლებრივი ნორმების და ეთიკის ცოდნით გამოირჩევა, შესძლებს ქვეყანაში მეოთხე ხელისუფლების ფუნქციის შესრულებას და ხელისუფლების „გაკონტროლებას“ ქვეყნისა და საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

თავის მხრივ კი სახელმწიფო, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მყარი გარანტი, ისეთ საკანონმდებლო ბაზას უნდა ქმნიდეს, რომ სიტყვის თავისუფლება სათანადოდ დაცული, ხოლო ჟურნალისტთა უფლებები ხელშეუხებელი იყოს, რადგან მასმედიის თავისუფალი ფუნქციონირება და ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის უსაფრთხოება სახელმწიფოს ინტერესში უნდა შედიოდეს.

ურთიერთპასუხისმგებლობისა და ანგარიშგაღებულების ერთიანი სისტემის არსებობის შემთხვევაში კი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების ორივე მონაწილის ასეთი თანამშრომლობის შედეგად, ხელისუფლება და მედია არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი და უფრო მეტიც, სახელმწიფო ინტერესების სამსახურში იქნება, რაც ამ ურთიერთობების სრულყოფილ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. მხოლოდ ეს შეიძლება იყოს მედიის მომავალი განვითარების სასურველი პერსპექტივა, როდესაც სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების ცოდნის გარდა, მედიის მხრიდან არსებობს მოთხოვნა თვითრეგულირებაზე და თავისუფლების ნებელობით შეზღუდვაზე, რისი მოსალოდნელი შედეგიც პროფესიული სტანდარტის ამაღლება და საზოგადოებრივი ინტერესების პირნათელი სამსახური იქნება.

თანამედროვე ასპექტები – სამართლებრივი და ეთიკური ნორმები. დემოკრატიის პირობებში პოლიტიკურ კონტროლს სამართლებრივი რეგულირება ცვლის. სწორედ ამიტომ, სიტყვის თავისუფლების დეონტოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის სამართლებრივი ნორმები, რომელთა

საშუალებითაც მედიის ფუნქციონირების რეგულირება ხდება, ეს იქნება საერთაშორისო დოკუმენტები, ქვეყნის კონსტიტუცია თუ სხვა საკანონმდებლო აქტები. ის გზა კი, რომელსაც საზოგადოება დემოკრატიული ტრანსფორმაციის შედეგად გადის, ნათლად ასახავს ქვეყნის ლოგიკურ განვითარებას სიტყვის თავისუფლების პატივისცემის თვალსაზრისითაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბევრად უფრო სრულყოფილ სამართლებრივ ნორმებში აისახება, საქართველოში კი, ამ ტენდენციამ თავისი გამოხატულება ევროპაში სიტყვის თავისუფლების შესახებ ყველაზე ლიბერალური კანონის მიღებით ჰპოვა.

საქართველოში სიტყვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით არსებული სასამართლო პრაქტიკა კანონის რეალიზაციისა და ინტერპრეტაციის ბევრ მაგალითს გვთავაზობს და წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რამდენად იცნობენ ჟურნალისტები იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მათ საქმიანობას არეგულირებენ, რაც ხშირ შემთხვევაში არასახარბიელო სურათს ქმნის; ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დემოკრატიული კანონების მიღებას, არამედ მათ პრაქტიკულ გამოყენებას და შესაბამის ინტერპრეტაციას. კანონით გარანტირებული უფლებების სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის შექმნა კი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჟურნალისტთა მზადყოფნაზე საკუთარი უფლებების დასაცავად.

სიტყვის თავისუფლების დეონტოლოგიური ასპექტების კვლევა წარმოდგენილია ჟურნალისტური საქმიანობის ეთიკური პრობლემატიკისა და თვითრეგულირების მექანიზმების გარეშე. განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიის გამოწვევად ხომ არა მხოლოდ მედიის სრული მიუკერძოებლობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა რჩება. ასევე კვლავ პრობლემატურია ჟურნალისტთა მიერ პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და სინდისის კარნახით გადაწყვეტილების მიღების საკითხი, რაც ზოგადად პროფესიონალიზმის მახასიათებელია. აზრთა გაცვლის თავისუფლება თავის თავში დიალოგს, ერთმანეთის მოსმენას და ცივილიზებული ფორმით საუბარს გულისხმობს და არა თავისუფლების არასწორად, როგორც ხშირად ამბობენ, ბოროტად გამოყენებას და ლიბერალური კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შეუზღუდავად სარგებლობას. ჟურნალისტი ხომ მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს, მისი სიტყვის ღირებულება კი იმდენად ფასეული და ღირებული, რამდენად დამაჯერებლად უღერს ეს სიტყვა საზოგადოებაში.

ჟურნალისტების მიმართ ნდობის ხარისხი კი მაღალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საზოგადოებასთან ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ეთიკური ჩარჩო, რომელიც საბოლოო ჯამში არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ თავად ჟურნალისტების ინტერესებსაც იცავს. კანონით მინიჭებული უფლების ეთიკური ნორმებით შეზღუდვა და ჟურნალისტთა მიერ სწორედ ამ უფლების გამოყენება ზრდის მედიის მიმართ ნდობას, ჟურნალისტურ სიტყვას კი უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ჟურნალისტს უნდობლობას უცხადებს ის, ვისი ინფორმირებაც მისი უპირველესი მოვალეობაა, რაც მის ძირითად ფუნქციას და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს.

სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში აუცილებლად მივიჩნიე სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტური ეთიკის საკითხებზე კომპლექსურად მსჯელობა. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ მედიის უპირველესი მოვალეობა და სოციალური ფუნქცია, რაც საზოგადოებრივი ინტერესების სადარაჯოზე დგომასა და მის ობიექტურად ინფორმირებას გულისხმობს, ასევე სოციალურ პასუხისმგებლობასაც მოიცავს. ისტორიულ და თანამედროვე რეალობთან, სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ურთულეს გზასთან და დღეს არსებულ გამოწვევებთან გაცნობა ნათელს ხდის, რომ სწორედ მედიის თავისუფლებასთან გაიგივებული პასუხისმგებლობა და გაცნობიერებული აუცილებლობის – ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობის გრძნობის გათვალისწინებით ფუნქციონირება, ანიჭებს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას. სწორედ ამ შემთხვევაში შეიძლება მედია თავისი წვლილის შეტანას დემოკრატიული, ღია, განათლებული და სამართლიანობაზე დაფუძნებული ქვეყნის ევოლუციურ განვითარებაში, რომლის უმაღლესი მოწოდება საზოგადოების ზოგადსაკაცობიო ფასეულობებზე ორიენტაცია იქნება.

ბიბლიოგრაფია

1. კიკნაძე ზ. (2002. აპრილი). HomoLIBER//ქურნალი „თავისუფლება“. თბილისი. №3.
2. ასპანიძე ნ. (2008. 16-17 ივლისი). ქართულ ჟურნალისტიკას დღეს ორი პრობლემა აქვს სიმართლე და ნდობის ფაქტორის აღდგენა//გაზეთი „ვერსია“. №82 (137).
3. სარედაქციო განცხადება. (2000. 21 მარტი)//გაზეთი „დილის გაზეთი“. №61(1181).
4. ლომაძე გ. (2002. 13 მარტი). მასმედია დემოკრატიის ფარი, მახვილი და... საწამლაღვი//გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. №60-61.
5. მეფარიშვილი დ. (2001. 14 იანვარი). როგორ იპარავდა გურამ აბსანიძე კილობით კვერცხს, ხორბალს, შაქარს და ავეჯს“//გაზეთი „ახალი თაობა“. №12.
6. რეხვიაშვილი ნ. (2008. 14-16 ივნისი). უნდა იყოს თუ არა მაუწყებლის ქცევის კოდექსი ნორმატიული აქტი?//გაზეთი „ალია“. №71.
7. სალია გ., ქრისტესელი ა. (1997. მაისი). ამერიკული დესანტი ქართულ პარლამენტში//გაზეთი „გულანი“. №37.
8. ფრიდონაშვილი ნ. (2001. 14 იანვარი). „ქართველი არასდროს ყოფილა მონა, მას მარადიული ღირებულებები გააჩნია“//გაზეთი „ახალი თაობა“. №12.
9. შვეარდნაძე ე. (2002. 3 თებერვალი). „პრესის თავისუფლება და პასუხისმგებლობა საზოგადოების კულტურის ანარეკლია“//გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. №28.
10. ადეიშვილი ზ. (2004). „მედია და კანონი“. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
11. „აუთრონიკ ეი-ჯი“-ს (Autronic AG) საქმეზე გამოტანილი განაჩენი“. (1990 წლის 22 მაისი, სერია №178, პუნქტი 61). „გამოხატვის თავისუფლება ევროპაში“. (2003). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. ტექსტის თარგმანი და რედაქტირება ჭელიძე ლ., ბოხაშვილი ბ., მამუკელაშვილი თ., ევროპის საბჭო. თბილისი: რეგთაიმი.

12. ბერტრანი ჟ.კ. (2004). „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
13. ბოკერია გ., თარგამაძე გ., რამიშვილი ლ. (1997). „90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ“. სადისკუსიო წერილების სერია. თბილისი: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა საქართველო.
14. „გამოხატვის თავისუფლება ევროპაში.“ (2003). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. ტექსტის თარგმანი და რედაქტირება ჭელიძე ლ., ბოხაშვილი ბ., მამუკელაშვილი თ. ევროპის საბჭო. თბილისი: რეგთაიმი.
15. გაგოშიძე შ. (1996). „ჟურნალისტიკის საფუძვლები“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. დუმბაძე მ., გუნაშვილი თ. (2003). „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ“, სადისკუსიო წერილების სერია. თბილისი: საქართველოში მოღვაწე გაეროს ორგანიზაციათა ჯგუფი.
17. თევზაძე გ. (2003). „ეთიკური ნორმები ქართულ მედიაში არსებული ვითარება და შესაძლებელი მომავალი. ქართულ პრესაში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი“. თბილისი: დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრი.
18. კინწურაშვილი თ., რამიშვილი ლ., კოტეტიშვილი ი. (2005). „გამოხატვის თავისუფლება“. ტომი II. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
19. „ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები“. (2003). გამოცემულია ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რედაქტორი კინწურაშვილი თ. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
20. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია“. (1948, 10 დეკემბერი). http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1418&info_id=23909
21. ანთაძე ი. (2004, 27 ივნისი). „ჟურნალისტების პროფესიული ეთიკა“. <http://www.tavisupleba.org/content/article/1535844.html>
22. „გურჯაანის საკრებულო საჯარო ინფორმაციას ბლოკავს“. (2007, 5 იანვარი). <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=525&lang=ge>
23. გულუა ე. (2006, 13 დეკემბერი). „ქართულ მედიას ეთიკის ნორმებს უწესებენ“. <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=487&lang=ge>

24. „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. (2004, 24 ივნისი).
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=72
25. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. (2009, 12 მარტი).
http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986
26. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მიღებულია“. (2009, 12 მარტი),
http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6988
27. „მედის პროფესიული სტანდარტი“.
<http://www.gpb.ge/MediaStandart.aspx?LanguageID=1>
28. მთივლიშვილი გ. (2007, 17 ივლისი). „გაზეთი „იმედი“ საგარეჯოს გამგებლის წინააღმდეგ“.
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=2009&lang=ge>
29. „პრემიერ-მინისტრის ღირსებამ ფასი დაკარგა“. (2004, 7 ოქტომბერი).
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=39&lang=ge>
30. „რეგიონალური ჟურნალისტები ერთიან ეთიკურ ნორმებს შეიმუშავებენ“.
 (2008. 18 ნოემბერი). <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=5536&lang=ge>
31. „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები, სსმ-ის პროგრამებში“. (2006). http://www.gpb.ge/Admin/ApplicationFiles/cb3a5183-17d3-49c3-8595-8d6397efbef4--GPB_Code_of_Conduct.pdf
32. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“. (1999, 25 ივნისი).
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=215
33. „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“. (2004, 23 დეკემბერი).
http://www.gncc.ge/files/7110_6857_962237_მაუწყებლობა.pdf
34. „საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ“. (1998, 18 თებერვალი).
http://www.gncc.ge/files/7110_6862_772404_რეკლამის%20შესახებ%20საქ.%20კანონი.pdf
35. საქართველოს კონსტიტუცია. (1995, 24 აგვისტო).
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23

36. „საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.
(2001, 2 აგვისტო). <http://www.codexserver.com/EC.pdf>
37. „საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. (1991, 10 აგვისტო).
<http://www.parliament.ge/archive/3840/3840-23.pdf>
38. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. (1997, 14 ნოემბერი).
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=126
39. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“. (2009, 9 ოქტომბერი). www.police.ge/uploads/sakanonmdeblobaza/new/12new.doc
40. „საქართველოს სახალხო დამცველის სამწლიანი სტრატეგია, სამოქმედო პერიოდი: 3 წელი“. <http://www.ombudsman.ge/index.php?m=306>
41. „სახალხო დამცველი: საგადასახადო შეღავათები მედიისთვის უნდა გაგრძელდეს“. (2006, 29 დეკემბერი).
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=1823&lang=ge>
42. წიწიკაშვილი ს. (2008, 22 ოქტომბერი). „ჟურნალისტების სიძულვილის ენა კონფლიქტების გაშუქებისას“.
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=3230&lang=ge>
43. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. (2008). „ტოლერანტობა და სამოქალაქო ინტეგრაცია: სახელმწიფო პოლიტიკა“. თბილისი.
44. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია. „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსი“.
45. Bentham J. (1820-1). *On the liberty of the press and public discussion*. London. (In Keane J. (1991). *The Media and Democracy*. UK: Polity Press).
46. Bland M., Theaker A., Wragg D. (2000). *Effective media relations. PR in practice series*. The Institute of Public Relations. Second edition. London: Kogan Page Limited.
47. Christians C.G., Rotzoll K.B., Fackler M. (1991). *Media ethics: Cases and moral reasoning*. New York: Longman Publishing Group.
48. Cohen-Almagor R. (2005). *Speech, media and ethics. The limits of free expression*. New York: Palgrave Macmillan.
49. Harrison J. (2006). *News*. London and New York: Routledge Taylor and Francis Group.
50. Jacquette D. (2007). *Journalistic ethics/moral responsibility in the media. Basic ethics in action*. Pearson Prentice Hall. Upper Saddle River. New Jersey: Pearson Education Inc.

51. Keane J. (1991). *The Media and democracy*. UK: Polity Press.
52. Kidder R.M. (1995). *How good people make tough choices. Resolving the dilemmas of ethical living*. New York: HarperCollins Publishers Inc.
53. Mill J. S. (1977). *On Liberty*, in J.M.Robson (ed.). *Essays on Politics and Society*. Toronto and Buffalo.
54. Milton J. *Areopagitica*. A Speech for the Liberty of Unlicensed Printing to the Parliament of England. Online book retrieved from: <http://www.bookrags.com/ebooks/608/1.html>
55. Peterson T., Jensen J.W., Rivers W.L. (1966). *The mass media and modern society*. Holt, Rinehart and Winston, inc. N.T.
56. Robertson J., Jasinski A. (2006. June 11 - 28). *BBC monitoring media environment assessment*. Tbilisi. Unpublished manuscript.
57. Siebert F.S., Peterson T., Schramm W. (1956). *Four theories of the press*. Urbana: University of Illinois Press.
58. The Celebrated speech of the Hon. T. Erskin in support of the liberty of the press. Edinburg, (1793). in Keane J. (1991). *The media and democracy*. UK: Polity Press.
59. Tindal M. (1904). *Reasons against restraining the press*. London (In Keane J. (1991). *The Media and Democracy*. UK: Polity Press).
60. Traudt P. S. (2005). *Media, audiences, effects. An introduction to the story of media content and audience analysis*. USA: Pearson Education Inc.
61. ARTICLE 19. *Comment on the draft of Georgian broadcasting code of conduct*. (2006). Retrieved from: <http://www.article19.org/pdfs/analysis/georgia-broadcasting-coc.pdf>
62. ARTICLE 19. *Under lock and key: Freedom of information and the media in Armenia. Azerbaijan and Georgia*. (2005. April). Retrieved from: <http://www.article19.org/pdfs/publications/under-lock-and-key.pdf>
63. BCG research in IREX media sustainability index 2005. Retrieved from: http://www.irex.org/programs/MSI_EUR/2005/MSI05-Georgia.pdf
64. Dolidze A. *Systemic problems involved in enacting freedom of information legislation in Georgia 2004/2005 and suggestions of remedying the situation*. Retrieved from: www.osce.org/item/19500.html
65. The Freedom House. *Freedom of the press. Country Report: Georgia*. (2007). Retrieved from: <http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=251&country=7181&year=2007>
66. The Freedom House. *Freedom of the press. Country report: Georgia*. (2008). Retrieved from:

<http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=251&year=2008>

67. *Georgia's new TV ratings system a certified success*. Retrieved from:
<http://georgia.usaid.gov/index.php?m=28&newsid=137>
68. International Center of Professional Journalists (ICPJ). (2001). *Pro media II Georgia: Final Report*. Retrieved from: http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PDABX513.pdf
69. International Federation of Journalists (IFJ). (2007). *Ethical Journalism Initiative*. Retrieved from:
http://www.intermediadialogue.org/Contributions/Ethical_Journalism_Initiative/
70. IREX Media Sustainability Index (MSI). *Europe and Eurasia 2005. The development of sustainable media in Europe and Eurasia*. Retrieved from:
http://www.irex.org/programs/MSI_EUR/2005/MSI05-Georgia.pdf
71. IREX Media Sustainability Index (MSI). *Europe and Eurasia 2006/07. The development of sustainable media in Europe and Eurasia*. Retrieved from:
http://www.irex.org/programs/MSI_EUR/2006/georgia.asp
72. IREX Media Sustainability Index (MSI). *Europe and Eurasia 2009. The development of sustainable media in Europe and Eurasia*. Retrieved from:
http://www.irex.org/programs/msi_eur/2009/georgia.asp
73. Koridze Z. (2008). *Reporting children and media ethics in Georgia: Situation analysis*. Study on Media Ethics and Professional Standards in Reporting on Children in Georgia. Study Commissioned by UNICEF. Available from:
http://www.unicef.org/georgia/media_11129.html
74. Lomjaria N., Kordzaia T., Gobronidze N., Kemertelidze N. (2006). *Freedom of expression in Georgia*. Georgian Young Lawyers Association (GYLA). Retrieved from:
<http://www.gyla.ge/files/publications/s3q0mz2ntk.pdf>
75. McClear R., Koenig M. (September 2004). *Mid-Term assessment of IREX media innovations program*. Retrieved from: http://georgia.usaid.gov/pdf/2_2.pdf
76. Organization for Security and Co-operation in Europe. (OSCE). The Office of the Representative on Freedom of the Media. (2007). *Access to information by the media in the OSCE region: Country reports*. Retrieved from: <http://www.fas.org/sgp/library/osce-reports.pdf>
77. Society of Professional Journalists (SPJ). *Code of ethics*. Retrieved from:
<http://www.spj.org/ethicscode.asp>

78. Сауерс Д. (1999. 8 июля). *Средства массовой информации и мафия*//Санкт-Петербургские ведомости.
79. Ворошилов В. В. (1999). *Журналистика*. Санкт-Петербург: Издательство Михайлова В. А.
80. Гегель Г. В. Ф. (1973). *Учение о праве, долге и религии*//Работы Разных Лет. Издательство Т. П. Москва: Мысль. 33.7-76
81. Домнич М.И. (1960). *Великая французская буржуазная революция и католическая церковь*. Москва.
82. Пронин П.И. (1980). *Свобода печати и пути ее осуществления*. Москва: Издательство Московского Университета.
83. Робеспьер М. (1965). *Проект Декларации прав человека*//Избранные произведения. Т.П. Москва. 33.323-329
84. Руссо Ж.Ж. (1998). *Об общественном договоре. Трактаты*. Москва: КАНОН-пресс. Кучково поле.
85. Засурский Я. Н (1967). *Основные направления в развитии современных буржуазных теорий журналистики*//*Современные Буржуазные Теории Печати*. Сборник статей под редакцией Засурского Я. Н. Москва: Издательство Московского Университета. 33. 3-21
86. Соколов В.В. (1957). *Мировоззрение Бенедикта Спинозы*//Спиноза Б., Избранные Произведения. Т.1. Москва: Государственное Издательство Политической Литературы. 33.5-66
87. Спиноза Б. (1957). *Этика*//Избранные Произведения. Т. I. Москва: Государственное Издательство Политической Литературы. 33.359-619
88. Амосов Ю., (2001). *Свобода СМИ – залог гражданского общества. Общество, политика, власть*. Доклады на 44-ой конференции ПОСЕВА//ПОСЕВ. №3. <http://webcenter.ru/~posevru/nomer/ne01/ne103/ne1036.htm>